პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— საბჭ. საელჩოს თანამშრომლების პროცესი პეკინში.
— უხანის მთავრობის ფულის კურსის განმტკიცება.
— ამერიკის ნალმოსნები მემელში.
—გადადგა ჩინეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში.
— პალესტინაში მომხდარ მიწისძვრის შედეგები.
— საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ბერლინში.
— დრუჟელოვსკის დახვრეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 14 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 158 (1903)

კონსერვატორების პოლიტიკის დამარცხება

საბჭოთა ხელისუფლების მტრები თავისი შავი ზრახვების განხორციელებას მეტწილად კონსერვატიული ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკას უკავშირებენ. რა კი ისეთმა სახელმწიფომ, როგორიც ინგლისია, გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა, რა კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მან დაიწყო აშკარად მტრული მოქმედება და ძალების მობილიზაცია, საბჭოთა კავშირს ხეირი არ დაადგება, მისი დამხობა მოახლოებულია,—აი რას ჩაჩიჩინებენ ისინი იმათ, ვისაც მათი კიდევ სჯერა. ცხადია, რომ ლონდონის მთავრობის შემყურენი მის სიძლიერეზე მეტად გადაჭარბებული აზრის არიან, ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ატყუებენ შეუგნებელ ელემენტებს, თითქო კონსერვატორები „ყოვლადის შემძლენი" იყვნენ, რათა ამ გზით „სიმხნევე" შეიტანონ თითო-ოროლა გზაბნეულთა შორის.

ნამდვილად კი მდგომარეობა სხვანაირია. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ინგლისის მთავრობის სისუსტე უკვე საკმაოდ გამოჩნდა, როცა მან ვერ მოახერხა ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შექმნა. ჩემბერლენი ფიქრობდა, რომ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის ფაქტით ის აიძულებდა დანარჩენ სახელმწიფოებს მის გზას დასდგომოდენ, რომ ამის შემდეგ ვერავინ გაბედავდა საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის შენარჩუნებას და განმტკიცებას. მაგრამ მას „ანგარიში შეეშალა". ინგლისის დიპლომატიის ყოველი ცდა ამ მიმართულებით ჯერჯერობით უშედეგოთ დამთავრდა. ეს მოწმობს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის, მსოფლიო ძლიერება საგრძნობლად შერყეულია და რომ ის წინანდებურად ვერ ახერხებს თავისი პოლიტიკისათვის სხვა ქვეყნების დაქვემდებარებას. ეს ამავე დროს გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მეტად ღრმა ინტერესთა წინააღმდეგობა, რაც შეუძლებელს ხდის მათ შეთანხმებულ მოქმედებას. მრავალ ფაქტებს შორის, ამ წინააღმდეგობის გამოხატულება ბოლო დროს ე. წ. „საზღვაო განიარაღების" კონფერენციის ჩაშლა, კონფერენციის, სადაც ინგლისი და ამერიკა დაუპირდაპირდენ ერთმანეთს.

უფრო მერყევია ბოლდუინის მთავრობის შინაური მდგომარეობა. მისი ზურგი იმდენადაც არ არის საიმედო და მტკიცე, რომ მან შესძლოს შეიარაღებული გამოლაშქრება საბჭოთა კავშირზე. ამის ნათელსაყოფად ბევრი ფაქტის დასახელება შეიძლება. ავიღოთ, მაგ.: დამატებითი საპარლამენტო არჩევნები ინგლისში. 29 ასეთ არჩევნებში 796.745 ხმიდან კონსერვატორებმა მიიღეს მხოლოდ 289.905, ე. ი. 36 პროცენტი. თუ რა დიდი დამარცხებაა ეს კონსერვატორებისათვის, სჩანს აქედან, რომ 1924 წ. არჩევნებში მათ უდიდესი უმრავლესობა გაიყვანეს თემთა პალატაში. დღეს კი ეს უმრავლესობა, რამდენადაც საქმე ამომრჩევლებს ეხება, მათ შემოაკლდათ. ეხლა კონსერვატორების წინააღმდეგ აძლევენ ხმას ბევრი იმათგანიც, ვინც წინეთ მათ ემხრობოდა. ასე რომ უმრავლესობა, რომელიც კონსერვატორებს ჰყავთ თემთა პალატაში, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის გამომხატველი იყოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებისყოფისა. თემთა პალატის კონსერვატიული უმრავლესობა ფაქტიური, ჰაერში გამოკიდული უმრავლესობაა.

მეორე საგულისხმო ფაქტია ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა თვით კონსერვატორებში ლორდთა პალატის რეორგანიზაციის პროექტის გარშემო, რომელიც ბოლდუინის მთავრობამ წამოაყენა. ორასამდე კონსერვატორ დეპუტატმა გაილაშქრა ამ პროექტის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ლორდთა პალატის რეფორმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გაფართოებულ იქნეს მისი უფლებები თემთა პალატის ხარჯზე: წინააღმდეგ არსებულ წესისა, არც ერთ კანონპროექტს არ შეეძლება კანონის ძალა მიეცეს. თუ ის ლორდთა პალატამ უარჰყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლდუინის მთავრობა, მომავალ არჩევნებში დამარცხების მოლოდინში, ცდილობს ძალა-უფლების ცენტრის გადატანას ლორდთა პალატაში და უნდობლობას უცხადებს ინგლისის პარლამენტის „ქვედა სართულს". ამ გზით ის ფიქრობს ხელისუფლების ფაქტიურად შენარჩუნებას, თუნდაც უმცირესობა ჰყავდეს თემთა პალატაში. ამ პროექტს წინააღუდგა თვით კონსერვატორების საგრძნობი ნაწილი, უფრო შორსმჭვრეტელი ნაწილი, რომელსაც ესმის, რომ ის საბოლოო ანგარიშით შეარყევს იმ კონსტიტუციონურ საფუძვლებს, რომლებსაც ინგლისის კაპიტალიზმი ემყარება, და ხელს შეუწყობს მოსახლეობის გამემარცხენებას.

გარდა ამისა ინგლისში დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს ფინანსთა მინისტრის ჩერჩილის ახალმა ფინანსიურმა გეგმებმა, რომელთა მიხედვით დიდდება გადასახადების რაოდენობა, ხოლო გაბერილი სახელმწიფო ხარჯების შემცირება სრულებითაც არ არის გაგულისხმევი. ეს გადასახადები ინგლისის მთავრობას, აშკარაა, პირველ ყოვლისა ესაჭიროება თავის სამხედრო ძალების გასაძლიერებლად.

თავისთავად ცხადია, რომ ინგლისის მუშათა მასები სულ უფრო იმაღლებენ ხმას კონსერვატორების სულთამხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ, მიუხედავად სოციალ-მოღალატეების ცდისა, რომ შეაჩერონ მათი გარევოლიუციონერების პროცესი. კონსერვატორების კანონმა ტრედიუნიონების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი ლამობენ ინგლისის პროფმოძრაობის განადგურებს, გაამწვავა ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის და ის უეჭველად იმის საწინააღმდეგო ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე კონსერვატორები მოელიან, სახელდობრ ინგლისის პროლეტარიატის ძალების დარაზმვას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამას აიძულებს მუშათა კლასს კონსერვატორების შეტევა ფასზე და ის ეკონომიური კრიზისი, რომელიც ინგლისში ძლიერდება. კერძოდ ქვანახშირის მრეწველობის კრიზისი, რაც უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობს. მაღაროების დახურვა და მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა არ მოსჩანს. უმუშევართა რიცხვი მატულობს. ამას თან სდევს მემაღაროეთა კვლავ ამოძრავება. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ იორკშირის მსხვილ სანახშირო რაიონებში სამთამადნო მუშების კავშირის არჩევნების დროს გაიმარჯვეს უმცირესობის მოძრაობამ და კომუნისტებმა, მაშინ, როცა წინედ აქ მემარჯვენე ფრთა იყო გაბატონებული.

ასეთია ინგლისის მთავრობის შინაური მდგომარეობა. მის წინააღმდეგ ამხედრებულია მუშათა კლასი, მას უნდობლობას უცხადებს ე. წ. ფართემოსახლეობის და ბურჟუაზიის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს მდგომარეობა იმდენად არაა საიმედო კონსერვატორებისათვის, რომ თვით მათდამი მეგობრულად განწყობილი ფრანგული ოფიციოზი „ტან" თავის მეთაურ წერილში (2 ივლისის), აღნიშნავს, რომ: „საყოველთაო არჩევნების გამოცხადება დღევანდელ პირობებში ყველაზე მიუტევებელი ავანტიურა იქნებოდა"-ო. რატომ ავანტიურა? ცხადია, იმიტომ, რომ ამ არჩევნებში კონსერვატორები სასტიკად დამარცხდებიან, რადგან მოსახლეობა მას უნდობლობას უცხადებს.

ბოლდუინის მთავრობის ასეთი მდგომარეობის შექმნაში, ეჭვი არ არის, დიდი როლი ითამაშა მისმა ანტისაბჭოთა გამოსვლებმა, მის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტამ. ჯერ ერთი, ამ ნაბიჯმა გააძლიერა ინგლისის სამეურნეო კრიზისი, შემდეგ, მან ვერ მიაღწია ინგლისისათვის სასურველი ეფექტი საერთაშორისო ურთიერთობაში. ამიტომაა, რომ ინგლისის საქმიანი წრეები გმობენ ჩემბერლენების ავანტიურას და მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლებას.

ასეთ პირობებში გასაგები ხდება ლოკერ ლემპსონის შემდეგი განცხადება თემთა პალატაში: „ჩვენ მზად ვართ ვაწარმოოთ ვაჭრობა რუსეთთან და მეგობრული დამოკიდებულება ვიქონიოთ მასთან"-ო. ლოკერ ლემპსონი და საბჭოთა კავშირთან მეგობრობა! ეს უცნაური, შეუსაბამო რამაა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს უტიფარი თვალთმაქცობაა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩემბერლენი ამ „მეგობრობას" ამტკიცებს ანტისაბჭოთა კომბინაციებით სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ ასეთი განცხადება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ გვიჩვენებს იმ მერყევ მდგომარეობას, რომელშიც მოექცა კონსერვატიული მთავრობა მისი რეაქციონური შინაური და ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკის მეოხებით.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჩემბერლენებს რაიმე სისაძაგლის ჩადენა არ შეეძლოთ. საბჭოთა კავშირის მშრომელები ფხიზლად არიან. მათ ღირსეული პასუხი გასცეს მათ ანტისაბჭოთა ოინებს. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს თავდაცვას აადვილებს თვით ის შინაური კრიზისი, რომელსაც ინგლისის მთავრობა განიცდის.

განიარაღება თუ შეიარაღება

განიარაღების კონფერენციის პლენარული სხდომა ჟენევაში გადაიდო განუსაზღვრელი ვადით. ეს ცნობა მოულოდნელი არ არის იმათთვის, ვინც ჟენევიდან მიღებული არა სრული ცნობების მიხედვით თვალყურს ადევნებდა კონფერენციის მუშაობას. მაგრამ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პოლიტიკის მთელი მიმართულების კრიტიკული შეფასებისათვის.

ჯერ კიდევ 24 ივნისს ნიუ-იორკის გაზეთი „უორლდ"-ი სწერდა, რომ ამერიკა მოითხოვს თანასწორ შეიარაღებას და მოახერხებს კიდეც ამ მოთხოვნის განხორციელებას. „მაშინ ეხლანდელი თაობის სახელმწიფოებრივ ხალხისთვის უდიდეს გამოცდათ გახდება შემდეგი ალტერნატივა—შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანასწორობა იქნება თუ არა თანასწორობად კოოპერაციაში, როგორც პარტნიორების, ან და თანასწორობათ კონფლიქტში, როგორც მეტოქეების".

მაშასადამე ამერიკის იმპერიალისტები იმდენად დარწმუნებული იყვნენ კონფერენციის შედეგებში, რომ ისინი უკვე გამოდიოდენ შეიარაღებულ ძალთა თანასწორობიდან და სვამდენ საკითხს მხოლოდ კოოპერაციისა და მეტოქეობის შესახებ. კონფერენციის მთელს მუშაობას საკმაოდ ნათლად ეჩნევოდა ამერიკელ იმპერიალისტების ცდა, მიმართული გათანასწორების მიღწევისაკენ.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" სწერდა: „თუ ინგლისი არ დაეთანხმება შეერთებულ შტატების წინადადებას, მაშინ ჩვენ ავაშენებთ ინგლისის თანასწორ ფლოტს. ჩვენ ვართ—დიდი საზღვაო სახელმწიფო. ჩვენი საგარეო ვაჭრობა არ ჩამოუვარდება ინგლისის საგარეო ვაჭრობას და ამიტომ მას ესაჭიროება ინგლისის თანასწორი ფლოტი". ამ სიტყვებიდან სჩანს ამერიკის იმპერიალიზმის რეალური ეკონომიური უპირატესობა, რომელსაც შეუძლია არა თუ ცაეწიოს, არამედ გაუსწროს კიდეც ინგლისის სამხედრო ძლიერებას, ე. ი. წაართვას ჰეგემონია ზღვაზე.

კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა პროგრამები მდგომარეობენ შემდეგში: ამერიკა მოითხოვდა, რომ ვაშინგტონის კონფერენციის მიერ დაწესებული ნორმა გავრცელებულიყო ყველა სახის გემებზე. ინგლისი მოითხოვდა, რომ ვაშინგტონის ნორმები გავრცელებულიყო მხოლოდ 10.000 ტონაზე მეტი ტევადობის მქონე გემებზე და გაგრძელებულიყო გემების ექსპლოატაციის ვადა. იაპონია მოითხოვდა საზღვაო ძალთა არსებული შეფარდების დატოვებას.

ამ წინადადებებში მოსჩანს მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები. ამერიკის იმპერიალიზმმა, რომელიც უკვე ვაშინგტონის კონფერენციაზე შეედავა ინგლისს ზღვაზე ბატონობაში, ძალეულ შეთანხმების საფუძველზე, მაინც ვერ შესძლო დასწეოდა ინგლისს. ჰეგემონია ზღვაზე ისევე ინგლისის იმპერიალისტების ხელში დარჩა. ძალიან გაიზარდა ამერიკის ვაჭრობა ევროპის ქვეყნებთან და კოლონიებთან, ხოლო ინგლისთან მეტოქეობამ უფრო ფართე ხასიათი მიიღო.

ინგლისის იმპერიალიზმს, რომელმაც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში უთმობდა ამერიკის იმპერიალისტებს, მაგრამ შეინარჩუნა ჰეგემონია ზღვაზე, ამერიკის ეკონომიური ძლიერება იძულებულს ხდის წამოაყენოს ისეთი პირობები, რომლებიც მეტოქეობის შანსებს მისცემდენ ინგლისს, სახელდობრ პირობები, რომლებიც გააძაფებდენ ინგლისის საზღვაო მშენებლობას, წვრილ საზღვაო ერთეულების აგების გამო. დღევანდელი ასეთი პროგრამის შესრულება 10 წლის განმავლობაში მისცემდა ინგლისს 70 მილიონი გირვანქა სტერლინგის ეკონომიას. იაპონიის პოზიცია უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას მიიღოს მონაწილეობა ინგლისისა და ამერიკის მეტოქეობაში.

მართლდება „ჯორნალ ოფ კომერსის" აზრი. „ჯორნალ ოფ კომერსი" სწერდა, რომ „სამთა კონფერენცია ჟენევაში სწრაფად ღებულობს საზღვაო შეიარაღების დარგში მეტოქეობის სახეს". თუ არ მოხდა რაიმე შეთანხმება, ხოლო ეს კი შესაძლებელია, იმიტომ, რომ ამერიკას აქვს მრავალი საშუალება თავის მოქიშპეებზე ზეგავლენის მოსახდენად, მაშინ ჩვენ გავხდებით დღემდე უნახავი საზღვაო შეიარაღების მოწმე.

უამრავ ქვეკომისიების შემდეგ ჟენევის კონფერენციის პლენარული სხდომის გადადება განუსაზღვრელი ვადით მეტად მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიო მდგომარეობისათვის. ინგლისის კონსერვატორების პოლიტიკით გამოწვეულ ომის საფრთხეს უჩნდება მრავალი ახალი კერა.

იმპერიალისტების ერთიანი ან თითქმის ერთიანი ფრონტი ჩინეთში სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამოწურულია წყნაროკეანეს პრობლემასთან დაკავშირებული მწვავე წინააღმდეგობები.

ეს წინააღმდეგობები ძალაში რჩებიან დღესაც, როდესაც ჩინეთის ნაპირებთან და ნავთსადგურებში თავმოყრილია იმპერიალისტურ სახელმწიფოების მოზრდილი საზღვაო ძალები.

კონფერენციის პირველი შედეგია არის „ავი სულის" ხითხითი სოც.-გამყიდველების ცდაზე დააჩრონ ომის საფრთხე საფრთხე, რომელიც იზრდება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში. ჟენევის კონფერენცია—თვალსაჩინო გაკვეთილია იმის, თუ როგორ იკაფავს გზას ახალი ომის საფრთხე ცრუ ფრაზებში განიარაღების შესახებ და თამაშში პაციფისტური ილიუზიებით. მოწინავე, კლასიურად შეგნებულ პროლეტარების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა კლასის ფართე მასებს ხელახლა მოაგონონ 1914 წლის გაკვეთილები, ამართონ ბრძოლის დროშა რეფორმისტებისა და სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ და ლენინისებურად ემზადონ მომავალ განსაცდელისთვის.

„პრავდა".

მოსკოვი, 13 ივლისი.

არჩევნები ირლანდიაში

(წერილი ინგლისიდან)

ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს (?) დაწესების შემდეგ აქ მესამეჯერ ხდება საყოველთაო არჩევნები. ხმის მიცემა პროპორციული წარმომადგენლობის ნიადაგზეა მოწყობილი.

ეს მესამეჯერ არის რომ არჩევნებს უნდა გადაეწყვიტა ხალხის დამოკიდებულება ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებისადმი.

უკანასკნელ არჩევნებმა სასწორი მარჯვნივ გადახარა. მართალია მთავრობის პარტიამ (კონსტიტუციურმა) ხმებიც დაჰკარგა და წარმომადგენელთა რიცხვიც, ხოლო დევალერას პარტიამ (რესპუბლიკელებმა), ისევე როგორც ლაბორისტებმა (მუშათა პარტიამ) მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს. მაგრამ სამაგიეროთ სინფეინერები (უკიდურესი რევოლიუციონერები) სასტიკათ დამარცხდნენ და მათი ბელადი—ქალი მარი მაკსვინი აღარ აირჩიეს კორკში.

გარდა ამისა თუ დევალერას პარტიამ ხმები მოიპოვა და გაუთანასწორდა მთავრობის პარტიას, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ეს პარტია თანდათან მარჯვნივ იხრება. ირლანდიის მუშათა პარტიაც თანამედროვე პირობებში და დღევანდელი ხელმძღვანელობის გავლენით უფრო მემარჯვენეა, ვიდრე მემარცხენე. ამ პარტიის ბელადებმა განაცხადეს კიდეც, რომ თუ რესპუბლიკელები (დევალერას მომხრეები) პარლამენტში შევლენ, ლაბურისტები მთავრობას შეუკავშირდებათო. ეს ადამიანებიც კონსტიტუციონისტები არიან ე. ი. ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების მომხრეები.

ახლანდელ მთავრობას წინანდელ პარლამენტში 60 დეპუტატი ჰყავდა, ახლად—არჩეულში კი მხოლოდ 46 ეყოლება. ვალერისტებმა, რომელნიც დღემდე არასოდეს არ შესულან პარლამენტში, არჩევნებში 44 წარმომადგენელი გაიყვანეს; მუშათა პარტიის წარმომადგენლობა, 14-დან 22-დე ავიდა. რედმონდის მომხრეებმაც შეიძინეს რამდენიმე ადგილი, მაგრამ ისინი მემარჯვენეები არიან და მხოლოდ მომენტს ელიან, რომ მონაწილეობა მიიღონ კოალიციურ მთავრობაში.

საყოველთაო ყურადღება დღეს იქით არის მიპყრობილი, თუ რა გზას დაადგებიან რესპუბლიკელები. დღემდე ისინი უარს ამბობდნენ მორჩილების ფიცი მიეცათ ინგლისის მეფისთვის, როგორც ამას ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება მოითხოვს. ჯერ-ჯერობით იმის ნიშანი არა სჩანს, რომ მათ უარის თქმა უნდოდეს ამ ტაქტიკაზე. თუმცა ახლანდელმა პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას აღარ შეადგენო, მაგრამ როგორც სჩანს ის მზათ არის „ძალდატანებას დაემორჩილოს" და „თავი გასწიროს ქვეყნის სასარგებლოთ"!!! მან ნამდვილი პოლიტიკური კომედია ითამაშა. წარმოიდგინეთ, რომ ვალერისტებმა, როგორც ეს ადვილი მოსალოდნელია ამ ინტელიგენტურ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიისაგან, უარი სთქვეს თავიანთ ანტი-კონსტიტუციურ ტაქტიკაზე, პარლამენტში შევიდნენ და ფიციც მიიღეს. ამ შემთხვევისთვის პრემიერ მინისტრს უზრუნველყოფილი აქვს ფერმერების, რედმონდის მომხრეების და თვით მუშათა პარტიის დახმარება. მას უმრავლესობა ეყოლება.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დევალერას მომხრეები (ე. ი. რესპუბლიკელები) წინანდებურათ პარლამენტის გარეშე დარჩებიან, მთავრობის პარტია, როგორც უძლიერესი, შეინარჩუნებს ხელისუფლებას.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ირლანდიის კრიზისი მოელის ან ვალერა ტაქტიკას არ შესცვლის და უწარმომადგენლოთ დასტოვებს ირლანდიის მოსახლეობის მესამედს, ან პარლამენტში შევა და ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებს: უკანასკნელ შემთხვევაში, ის მოსახლეობა, რომელმაც მის მომხრეებს მისცა ხმა ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების ოპოზიციის გამო, ზურგს შეუბრუნებს რესპუბლიკელებს და ალბათ აღადგენს ბლოკს სინფეინერებთან (უკიდურეს რევოლიუციონერებთან).

თვით დევალერა აცხადებს, რომ აქტიურ კამპანიას ვიწყებ ხელშეკრულების წინააღმდეგო. მაშასადამე მწვავე კრიზისია მოსალოდნელი.

კ. დავიდ.

ლონდონი, 28 ივნისი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ფინ-იუი-სიანის და ტან-შენ-ჩის ღალატს და გომინდანის პარტიის რევოლიუციისაგან თითქმის მთლად გათიშვას ჯერ-ჯერობით არავითარი საგრძნობი მოგება არ მოუტანია ჩინეთის ბურჟუაზიისათვის. პირიქით, ამ ფაქტების შემდეგ სამხედრო მოქმედება სამხრეთელების ჯარისა მეტად შესუსტდა და წინანდელ ბრწყინვალე გამარჯვებების მაგიერ ეხლა, როგორც ჩან-კაი-შის, ისე ფინ-იუი-სიანის ჯარებს წილად ხვდათ მარცხი. მართალია, იყო ცნობა, ვითომ ფინ-იუი-სიანმა შეტევა განაახლა ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ ეს ცნობა არ დადასტურებულა. პირიქით, ჩემბერლენის მიერ ინგლისის თემთა პალატაში გაკეთებული ინფორმაციით ფინ-იუი-სიანის ჯარები იძულებული გამხდარან ლოიანამდე დაეხიათ. რაც შეეხება ჩან-კაი-შის ჯარებს, ამათაც საგრძნობლად დაუხევიათ უკან. ჩრდილოელი მილიტარისტები ჩან-ხუ-ჩანი და სუნ-ფუან-ჩენი თითქმის მთლად განადგურებულნი, ახლა თითქოს წელში სწორდებიან და უტევენ ჩან-კაი-შის.

ამრიგად, სამი უძლიერესი გენერლების შეერთებამ (ჩან-კაი-ში, ფინ-იუი-სიანი და იენ-სი-შანი) სამხედრო მოქმედების გაძლიერების და გაცხოველების მაგიერ სრულებით მოადუნა იგი და მარცხიც მოიტანა. ამასთან ერთად იაპონია აშკარა ინტერვენციის გზას დაადგა.

მეტათ მძიმე კრიზისს განიცდის ჩინეთის რევოლიუცია, უხანის მთავრობის ფაქტიური დაშლის გამო. მაგრამ სულ უკანასკნელ ხანებში თითქოს მოსჩანს ნიშნები იმისა, ეს კრიზისი რევოლიუციამ, შესაძლებელია, დასძლიოს. დღევანდელი დეპეშის ცნობით, ჩან-კაი-შის ჯარში ბოლო ხანებში დეზერტირობამ საგრძნობლად იჩინა თავი და მრავალი ახალგაზრდობა გარბის ამ ჯარიდან ხანკოუში. გლეხთა მოძრაობა არ ცხრება. პირიქით თითქოს მატულობს და უფრო ორგანიზაციული ხასიათს ღებულობს.

ამ მხრით აღსანიშნავია პროვინცია ხუბეის გლეხთა კავშირის ახალი ინსტრუქციები, სადაც იგი დაჟინებით მოითხოვს გლეხთა თვითმართველობის და თავდაცვის ორგანიზაციას. აღსანიშნავია აგრეთვე ძიუ-ძიანში მომხდარი ქალაქების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც მოითხოვს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების აღდგენას. ხანკოუ და ხუბეის პროვინცია კვლავ რევოლიუციის ცენტრს წარმოადგენენ. აშკარაა, რომ ჩინეთის მშრომელ მასების მოძრაობა არ ცხრება. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ჩინეთის ბურჟუაზიის და რევოლიუციის მოღალატე გენერლების მდგომარეობა თანდათან უფრო გართულდება, რადგანაც პეკინის წინააღმდეგ ოპერაციების თუნდაც დროებით შეჩერება, მეტად ცუდ გავლენას იქონიებს სამხრეთელების ჯარზე, იმ ჯარზე, რომელიც სულ სხვადასხვა გვარი ელემენტებისაგან შესდგება და რომელსაც აერთიანებდა მხოლოდ ჩინეთის გაერთიანების იდეა. რომლის დაგვირგვინება პეკინის აღებით უნდა მომხდარიყო. ამ ჯარში უკვე იჩინა თავი განხეთქილებამ და თუ საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩან-კაი-ში იძულებული გახდა იმპერიალისტებთან შეთანხმების გზას დაადგეს, მაშინ მისი ჯარის გახრწნის და დაშლის პროცესი აუცილებლად სწრაფი ნაბიჯით წავა. შესაძლებელია, რომ ამით ისარგებლოს ჩან-ძო-ლინმა და დროებით განამტკიცოს თავისი მდგომარეობა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი იქნება.

საზოგადოთ, ჩინეთის რევოლიუციის კრიზისი ისე მიმდინარეობს, რომ შესაძლებელია მრავალი სიურპრიზების და მოულოდნელი ამბების მოწმენი გავხდეთ. შეიძლება სულ ახლო მომავალში მომქმედ ძალთა ახალი გადაჯგუფება დაიწყოს და მდგომარეობა კვლავ საგრძნობლად შეიცვალოს.

ი. ბედევანიშვილი.

ჩან-კაი-შის არმიაში დაიწყო გახრწნა

ახალგაზრდობა ჩან-კაი-შის არმიიდან გარბის ხან-კოუში

პოლონეთის საპასუხო ნოტა ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო ამ დღეებში გადაეცემა საბჭოთა მთავრობას

საფრანგეთის სახელმწ. მოსამსახურეები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.—მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი

მშრომელი მასები ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

ნანკინის არმიის გახრწნა

პეკინი, 12 ივლისი. ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ **ამ უკანასკნელ დროს ნანკინის არმიიდან ბევრი ახალგაზრდობა გარბის ხანკოუში.**

გაზეთები აცხადებენ, რომ ეს გარემოება იყო ჩან-კაი-შის არმიის უკან დახევის ერთ-ერთი მიზეზი ტიანცზინ პუკოუს რკინის გზის ფრონტიდან. როგორც გოვენის სააგენტო აცხადებს, ჩან-კაი-შის განზრახული აქვს დასძრას სამი კორპუსი ჩანშასკენ, რომ იქიდან დაიწყოს შეტევა ხანკოუზე (ადს).

გლეხთა მოძრაობა

ხანკოუ, 12 ივლისი. **ხუბეის პროვინციის გლეხთა კავშირმა გამოაქვეყნა ახალი ინსტრუქციები, რომლებშიაც მოითხოვს პირველ რიგში საგლეხო თვითმმართველობის, კოოპერატივების და თავდაცვის მოწყობას.** (ადს).

უხანის ფულის კურსი

ხანკოუ, 12 ივლისი. უკანასკნელ დღეებში უხანის ფულის კურსი მნიშვნელოვნურად განმტკიცდა და გაიზარდა. (ადს).

იაპონიის ჯარები

შანხაი, 12 ივლისი. ცზინანფუში (ჩან-ტაზუნ-ჩანის რეზიდენცია) **ჩამოვიდა 1500 იაპონელი ჯარისკაცი.** (ადს).

ცზიუზიანის კონფერენცია

ხანკოუ, 12 ივლისი. ცზიუცზიანში მომხდარმა ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელთა კონფერენციამ დაუგზავნა დეპეშა ნაციონალურ მთავრობას, გომინდანის აღმასრულებელ კომიტეტს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. **დეპეშა მოითხოვს, რომ ცზიანსის მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებს მიეცეს ნებართვა განახლონ თავისი მოღვაწეობა.** (ადს).

ნანკინის სესხი

შანხაი, 12 ივლისი. ნანკინში გამართულმა **საფინანსო თათბირმა დაადგინა გამოუშვას 60 მილ. სესხი** და უზრუნველყოს ის მარილის მონოპოლიიდან ან თამბაქოს გადასახადისაგან მიღებულ შემოსავლით.

მარილის გადასახადის ინსპექტორმა განაცხადა, რომ **სესხის გამოშვება ეწინააღმდეგება უცხოელებთან შეთანხმებას.** (ადს).

„ფინ-იუი-სიანის აგენტები"

პეკინი, 12 ივლისი. უკანასკნელ დროს პეკინში დააპატიმრეს 200 კაცი. ამათში უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობაა. დაპატიმრებულებს აბრალებენ ფინ-იუი-სიანის აგენტობას. 8 ივლისს სწარმოებდა დაპატიმრებულების პირველი დაკითხვა. 30 კაცის მიმართ ბრალდება დამტკიცებულად ჩასთვალეს. (ადს).

შა-სინ-ტუს გადადგომა

ბერლინი, 12 ივლისი. ჩინეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში **შა-სინ-ტუმ** უარი განაცხადა თავის მოვალეობაზე. (ადს).

გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 12 ივლისი. როგორც კი დამთავრდა მუშა ქალების გაფიცვა აბრეშუმის ფაბრიკების ერთ ნაწილში, დაიწყო დანარჩენ ფაბრიკებში. ორი თვის განმავლობაში გაფიცვა მოედო **40 ფაბრიკას. გაფიცულთა რიცხვი 15.000 აღწევს.** (ადს).

შრომის ფედერაციის აღმასკომი

ხანკოუ, 12 ივლისი. პროფკავშირთა სრულიად ჩინეთის ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე **არჩეულია სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი.** აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია სიუ-ჩაოჟენი.

აღმასკომმა დაადგინა დაარსოს განყოფილებები შანხაიში, კანტონში და ტიან-ძინში ამ რაიონების მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელოდ. (ადს).

საალყო წესები ცინდაოში

პეკინი, 12 ივლისი. გაზეთ „მანჯურია დეილი ნიუზის" ცნობებით, **ცინდაოში საალყო წესებია გამოცხადებული.** საღამოს 10 საათის შემდეგ ქალაქში აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იაპონელ მოქალაქეთათვის, რომელთაც აქვთ იაპონიის საკონსულოს სათანადო ნებართვა. ცინდაოს ნავთსადგურში იმყოფება 20-ზე მეტი იაპონური, ინგლისური და ამერიკული სამხედრო გემი. (ადს).

ჩოუ-ი-ჟენის გამოსვლა

პეკინი, 12 ივლისი. უცხოელთა პრესის ყურადღებას იპყრობს ამჟამად შანდუნის პროვინცია, განსაკუთრებით კი იაპონიის მოქმედება ამ პროვინციაში და გენერალი ჩოუ-ი-ჟენის საქციელი.

„ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ი კომენტარიებს უკეთებს ჩოუ-ი-ჟენის გამოსვლას და სწერს: „სუნ-ჩუან-ფანის ყოფილი ხელქვეითი, თვალყურს ადევნებს ჩან-კაიშის და რომ მოიგოს დრო, შესწყვიტა მიმოსვლა შანდუნის რკინის გზაზე. მაგრამ იაპონიის ხელშია ამ გზის ობლიგაციები და თუ მოსალოდნელი იქნება რამე საფრთხე რომელიმე ჯგუფისაგან, ამ გზის ნორმალური მუშაობით დაინტერესებული პირები, მიიღებენ სათანადო ზომებს. (ადს).

ტიან-ძინის დაცვა

პეკინი, 12 ივლისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, ტიან-ძი-ნიდან, რომ უცხო სახელმწიფოების ჯარების მთავარსარდლების თათბირზე, არ იქნა ჯერ ჯერობით მიღებული არავითარი გადაწყვეტილება ტიან-ძინის დაცვის შესახებ. სააგენტო ამტკიცებს, რომ თათბირის მონაწილეთა უმრავლესობას საჭიროთ მიაჩნია დასაცავი რაიონის გაფართოება და ფიქრობენ აუკრძალონ ჩინელ ჯარებს ყოფნა ტიან-ძინის ირგვლივ 27 ვერსის ზონაში; ასეთი გადაწყვეტილებისათვის საფუძველს იძლევა თითქოს, 1901 წლის ხელშეკრულება. (ადს).

15-ის პროცესი პეკინში

პეკინი, 12 ივლისი. შესდგა სასამართლოს რიგი სხდომა, რომელიც არჩევს საბჭოთა საელჩოზე პეკინში თავდასხმის დროს დაპატიმრებულ 15 საბჭოთა მოქალაქის საქმეს.

ირჩეოდა ოგნევის, მალიშევის, ტონკიხის, გამბერგის, ილიაშენკოს, კისელიოვის, სმრაკოვის და დემჩინსკის საქმე.

დამცველებმა აღძრეს საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება სასამართლოს გაარჩიოს საბჭოთა მოქალაქეების საქმე.

დამცველებმა, აგრეთვე, მოითხოვეს ამნისტიის გამოყენება ბრალდებულთადმი. დამცველმა **გუო-დინ-ბაომ** აღნიშნა, რომ ბრალდებულნი წარმოადგენენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს და შეტანილი არიან იმ სიაში, რომელიც გადაცემული აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს. გუო-დინ-ბაოს სიტყვით. პროკურორიც კი დაეთანხმა იმ აზრს, რომ ბრალდებულნი ნამდვილად მსახურობდენ საბჭოთა საელჩოში და ამიტომ, ჩინური კანონების ძალით, ისინი სარგებლობენ ხელშეუხებლობით.

დამცველი **კანტოროვიჩიც** შეჩერდა დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების ქვეშევრდომობაზე ჩინეთის სასამართლოსთვის და აღნიშნა, რომ ორის გარდა, ყველა დანარჩენი ბრალდებულნი ოფიციალურად დაკავშირებულნი არიან საბჭოთა საელჩოსთან.

დამცველმა განაცხადა: „ჩინეთის იუსტიცია ამჟამად მიისწრაფვის საერთაშორისო ცნობისაკენ. და ჩვენ მით უფრო უფლება გვაქვს მოველოდეთ მისგან ყურადღებით მოპყრობას საერთაშორისო სამართლიანობის მოთხოვნილებისადმი. დამცველი მოითხოვს საქმის შეწყვეტას ფორმალურ საფუძველზე.

დამცველების საპასუხოდ სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თითქოს „საბჭოთა საელჩო ბოროტად იყენებდა თავის ხელშეუხებლობას" და თითქოს ბრალდებულნი საიდუმლო მუშაობას აწარმოებდენ.

სასამართლომ უარჰყო დამცველთა შუამდგომლობა და შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

ყველა ბრალდებულებმა უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე საელჩოს სამხედრო ატაშეს ბინაზე აღმოჩენილ დოკუმენტების შესახებ. საელჩოს კლუბში გამართულ კრებების შესახებ ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ამ კრებებზე ირჩეოდა საკითხები, რომლებიც შეეხებოდენ საელჩოს შინაურ ცხოვრებას და სრულიად არ ეხებოდენ ჩინეთს.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლომ მოიწვია ოთხი ჩინელი მოწმე. ერთი მოწმე სამხედრო ქალაქის შიკრიკი, ხოლო სამი—ოხრანკის აგენტი. პირველი მოწმე აჩვენებს, რომ სამხედრო ატაშე, მისი თანაშემწე და აგრეთვე ორი ბრალდებული დაესწრენ იმ კრებას, რომელზეც მონაწილეობას იღებდენ ჩინელი კომუნისტები. დამცველთა შეკითხვების შემდეგ პირველი მოწმე და ოხრანკის სამი მოწმე—აგენტი იბნევიან და იძლევიან არეულ ჩვენებას. (ადს)

უცხოეთის პრესა

ინგლისი და საბჭოთა კავშირი*)

ინგლისის კონსერვატორებს, როგორც ფრანგები იტყვიან, არა აქვთ კარგი პრესა, მათ მიერ ურთიერთობის შეწყვეტის გამო საბჭოთა კავშირთან. ვერ იწონებენ მათ ნაბიჯს თვით ისეთი გაზეთები და ისეთი ჟურნალისტები, ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც ერთბაშად მტრულად არიან განწყობილი ბოლშევიკებისადმი. არაფერი ურთიერთობის შეწყვეტიდან არ გამოვა, ინგლისი ვერ მოახერხებს უკან გაიყოლიოს სხვა სახელმწიფოებიო —ამბობენ ისინი. დაჟინებით იმეორებს ამ აზრს **„ნოიე ფრაიე პრესე"**-ში ვლადიმირ გრაფ დორმესონი , გაზ. „ტან"-ის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი. ის სწერს ვენის ზემოხსენებულ გაზეთში (26 ივნისი) შემდეგს:

„ისმება საკითხი: არიან თუ არა მხოლოდ ბოლშევიკები დამნაშავე იმ სიძნელეებისათვის, რომლებსაც განიცდის ინგლისი. **ჩემის აზრით უდიდეს შეცდომაში ჩავარდებოდა ის, ვინც იფიქრებდა, რომ, რადგან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დასტოვეს ინგლისი, ამიტომ იქ ყოველისფერი რიგზე დარჩა და ინგლისელების შინაური საქმე ნორმალურად მიდის.** ინგლისის კონსერვატიული პარტია, რომელიც წესიერების უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს ევროპაში, ძალიან შეცდებოდა თუ ამით მოიტყუებდა თავს და დამშვიდდებოდა... ნამდვილად კი ინგლისის მთელი უბედურება, მისი სიძნელენი **იქიდან წარმოსდგება,** რომ ის განიცდის მძაფრ კრიზისს, რომლის მიზეზია **სრულიად დაძველებული ორგანიზაცია მისი ინდუსტრიისა, მისი სრული ჩამორჩენილობა,** რომელიც საშუალებას უსპობს მას იმუშაოს სრული ნაყოფიერებით და მეტოქეობა გაუწიოს სხვა მრეწველ ქვეყნებს... ასეთ პირობებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ კონსერვატორების მთავრობამ პასპორტები დაუბრუნა საბჭოთა წარმომადგენლებს და უთხრა გამეცალეთ აქედანო".

ავტორი დარწმუნებულია იმაშიც, რომ ვერც სხვა ქვეყნებზე მოახდენს გავლენას ინგლისის გადაწყვეტილება, ვერ აიძულებს ის ამ ქვეყნებს გაჰყვენ მას.

„შესწყვეტს თუ არა საფრანგეთი ურთიერთობას საბჭოებთან? **ჩემის აზრით არა.** არ შეიძლება შესცვალოს მან თავისი პოლიტიკა იმიტომ, რომ ინგლისმა შესცვალა თავისი, მით უმეტეს, რომ **ახალ არჩევნებს ინგლისში შეუძლია სულ სხვანაირი მდგომარეობა შექმნან** და ხელახლა აღადგინონ **ძველი მდგომარეობა".**

ავტორი დარწმუნებულია იმაშიც, რომ არც გერმანია გაჰყვება ინგლისს. საერთოდ ის ამბობს:

„მე ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლებელია საბჭოთა წინააღმდეგ სახელმწიფოების „ერთიანი ფრონტის" შექმნა და შეთანხმებული „ჯვაროსნული ომი" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შეუძლებელია სახელმწიფოთა ეს ერთიანი ფრონტი საბჭოთა წინააღმდეგ იმიტომ, რომ ბოლშევიკების საკითხი **სხვა-და-სხვა ნაირად დგას სხვა-და-სხვა ქვეყანაში** და რომ ამ ქვეყნებს ერთნაირად არ ეშინიათ ბოლშევიკების".

---

*) ვინაიდან ტეხნიკური მუშაკების დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული „უცხოეთის პრესა" სრულიად დამახინჯებულად გამოვიდა (ერთი აბზაცი მთლად გამოტოვებულია, დანარჩენების თანამიმდევრობა დარღვეული და ამიტომ მთელი შენიშვნა აბნეული)—ამიტომ ხელმეორეთ ვბეჭდავთ მას.

რედ.

პოლონეთის საპასუხო ნოტა

ვარშავა, 12 ივლისი. „კურიერ ჩერვონნი" იტყობინება, რომ შაბათს მოსკოვში მიემგზავრება პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში **პატეკი,** რომელიც თან წაიღებს პოლონეთის საპასუხო ნოტას. გაზეთის ცნობით, პოლონეთის მთავრობა ფიქრობს, რომ „ატმოსფერის დაძაბულობა, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა მეორე ნოტის კილოთი უკვე განვლილად ჩაითვლება, და დადგა დრო, როცა შეიძლება დამშვიდებით გარკვეულ იქნეს ყოველგვარი გაუგებრობა".

პრესის კილო უკანასკნელ დღეებში საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ პრესას სიგნალი მისცეს დაწყნარებისათვის. (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

სოციალ-მოღალატე

პარიზი, 12 ივლისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე დეპუტატმა **დიანმა** შეიტანა წინადადება ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებთათვის საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა. **სოციალისტების ლიდერმა ბლიუმა გაილაშქრა წინადადების წინააღმდეგ. წინადადება უარყოფილია 319 ხმით 212-ის წინააღმდეგ.** (ადს).

ჯამაგირის გადიდების საკითხი

პარიზი, 12 ივლისი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში **პუანკარე გამოვიდა განცხადებით, რომ ის კატეგორიულ წინააღმდეგობას გაუწევს მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მოსამატებლად ასიგნობათა გადიდებას.** მაგრამ კომისიამ მაინც დაადგინა გასცეს დამატებითი ჯილდო 1926 წლის აგვისტოდან, როგორც ამას შეპირებული იყო მთავრობა.

„ჟურნე ენდუსტრიელ"-ი აცხადებს, რომ **სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების საკითხს შეუძლია გამოიწვიოს კაბინეტის გადადგომა,** ვინაიდან დეპუტატები იმის შიშით, რომ არ აამხედრონ თავის წინააღმდეგ სახელმწიფო მოსამსახურეთა მასა არჩევნების წინ, ვერ გაბედავენ ასიგნობის წინააღმდეგ ხმის მიცემას. მაშინ მთავრობა დასვამს ნდობის საკითხს. სოციალისტები აცხადებენ, რომ ისინი ხმას მისცემენ ასიგნობათა გადიდებას. (ადს).

პარიზი, 13 ივლისი. დეპუტატთა პალატა არჩევს საკითხს სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატების შესახებ. იმ სოციალისტ-დეპუტატების საპასუხოთ, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეთა თვალსაზრისს იცავდა, პუანკარემ განაცხადა: „საქმე იმაშია, გაიგოთ, თანახმაა თუ არა პალატა სახელი გაუტეხოს ფინანსიური გაჯანსაღების საქმეს გაუთვალისწინებელ ხარჯების მხარის დაჭერით? პალატამ უნდა აირჩიოს ორში რომელიმე: მომჭირნეობა, ან მფლანგველობა, ფინანსიური წესიერება, ან უწესრიგობა!

მთავრობა აყენებს საკითხს ნდობის შესახებ, მოითხოვს რა თავის წინადადების მიღებას".

რუმინეთის საგარეო პოლიტიკა

ტიტულესკუს გულახდილობა

ვენა, 12 ივლისი. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიტულესკუმ უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

„რუმინეთის საგარეო პოლიტიკა ემყარება მშვიდობიანობის დაცვის სურვილს, რისთვისაც საჭიროა სრული რწმენა საერთაშორისო მდგომარეობის სიმტკიცეში. ამიტომ მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა 1921 წელში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების წესების დაცვა. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ უცვლელი დარჩეს ევროპის დღევანდელი რუკა.

რუმინეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს კავშირის განმტკიცებას მცირე ანტანტის ქვეყნებსა და პოლონეთთან, რომელთა ინტერესებიც უთანხმდება რუმინეთის ინტერესებს და აგრეთვე საფრანგეთსა, იტალიასა და, განსაკუთრებით ინგლისთან, რომელმაც ხელი შეუწყო რუმინეთის ეროვნული მთლიანობის განხორციელებას.

ამ მხრივ რუმინეთის ინტერესები უთანხმდება ინგლისის ინტერესებს და ამიტომ რუმინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ინგლისთან კავშირის გაღრმავება". (ადს).

არჩევნების საბოლოო შედეგები რუმინეთში

ვენა, 12 ივლისი. რუმინეთის სენატის არჩევნების შედეგები ასეთია: ლიბერალებმა მიიღეს 96 მანდატი, ნაციონალურ გლეხურმა პარტიამ 17, გერმანელ-უნგრელთა ბლოკმა 2 მანდატი. (ადს).

ინგლისი და გერმანია

„ტან" ჩემბერლენის ბერლინში ჩასვლის შესახებ

პარიზი, 12 ივლისი. „ტან" ეხება ჩემბერლენის გამოსვლას ინგლისის პარლამენტში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩემბერლენის სიტყვიდან სჩანს, რომ მას ახლო მომავალში განზრახული აქვს ბერლინში ჩასვლა.

„ჩემბერლენის ეს სიტყვები,—სწერს გაზეთი,—უსათუოდ ცოცხალ გამოხმაურებას ჰპოვებენ ბერლინში და განსაკუთრებით მოსკოვში, რომელსაც საბუთი აქვს ყურადღება მიაქციოს ყველაფერს, რაც კი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინგლისის და გერმანიის პოლიტიკის დაახლოება". (ადს).

სამთა კონფერენციაზე

პარიზი, 12 ივლისი. პარიზის ამერიკულ გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ უკანასკნელ მომენტში სამთა კონფერენსიაზე მოხდა შეთანხმება ამერიკის წინადადებების მიხედვით დამხმარე კრეისერების საერთო ტონაჟის შესახებ. სადავო რჩება კრეისერების სიდიდის და ზარბაზნების კალიბრის საკითხები. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის

ურთიერთობა

პარიზი, 12 ივლისი. „მატენი" აქვეყნებს თავის კორესპონდენტ კორაბოს ცნობას ვილნოდან იმის შესახებ, რომ **პილსუდსკის განზრახვა აქვს შესთავაზოს ლიტვას კავშირი მისთვის ვილნოს ოლქის დათმობის საფუძველზე.** (ადს).

მუშების გამარჯვება

ვარშავა, 12 ივლისი. კომუნალური არჩევნები ზგერჟში დასრულდა შემდეგი შედეგებით: **მთავრობის მიერ გაუქმებულმა მუშათა მემარცხენე ფრთის სიამ მიიღო 2.290 ხმა,** პოლონეთის სოციალისტური პარტიის სიამ—661 ხმა.

საბჭოთა სპორტსმენების

გამარჯვება

ბერლინი, 12 ივლისი. დასრულდა მუშათა სატენისო სასპორტო ორგანიზაციების საერთაშორისო შეჯიბრი. მამაკაცთა და ქალთა ერთგულ და წყვილობრივ შეჯიბრში ყველა პირველი ადგილები დაიჭირეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მთელი ბურჟუაზიული პრესა და, აგრეთვე, სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს"-იც აღიარებენ საბჭოთა სპორტსმენების ლამაზ თამაშს და მაღალ ტეხნიკას. „ფორვერტს"-ის აღიარებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის სცდილობდა სხვა ქვეყნების სპორტსმენების ამხედრებას საბჭოთა სპორტსმენების წინააღმდეგ იმით, რომ თითქოს საბჭოთა სპორტსმენებს უფრო თბილად და მეტი ზეიმით შეხვდენ, ვიდრე სხვა ქვეყნების სპორტსმენებს. (ადს).

ლიტვა-საბჭოთა კავშირის

ხელშეკრულების 7 წლის თავი

კოვნო, 13 ივლისი. **7 წლის შესრულების გამო ლიტვა - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების დღიდან 1920 წ., 13 ივლისს, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კოვნოში აროსევმა წარმომადგენლობაში მიიღო ლიტვის მთავრობა. სრულუფლებიანი წარმომადგენელი აროსევი, ლიტვის პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი ვოლდემარასი მიესალმენ ერთმანეთს. თავის სიტყვებში ისინი აღნიშნავდენ ლიტვა - საბჭოთა კავშირის მეგობრობას, 1920 წ. დადებულ ხელშეკრულების და 1926 წ. დადებულ საგარანტიო ხელშეკრულების მნიშვნელობას. (ადს)**

კომუნისტური მიტინგი

პარიზში

პარიზი, 13 ივლისი. კომუნისტების მიერ გამართულ მიტინგზე აუარებელი ხალხი მოვიდა მიტინგის მონაწილეებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს სემარს, რომელიც ციხეში უნდა დაბრუნდეს, და კაშენს, რომელიც დროებით განთავისუფლებულია. სემარმა წაიკითხა პოლიტიკურ პატიმართა წერილი. შრომის უნიტარული კონფედერაციის წარმომადგენელმა როკამორამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ბრძოლა ომის მზადებასთან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია რუსეთისა და ჩინეთის რევოლიუციის დაცვის და პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა. დასასრულ რეზოლიუცია მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას. დარბაზის გარეთ დარჩენილმა 8.000 კაცმა ცალკე გამართა მიტინგი. (ადს)

ამერიკის ნალმოსნები

მემელში

ბერლინი, 12 ივლისი. აგვისტოს დამდეგს მემელის ნავთსადგურში მოელიან ამერიკის ნალმოსნებს. (ადს).

მიწისძვრა პალესტინაში

ლონდონი, 12 ივლისი. რეიტერის სააგენტო იძლევა დაწვრილებით ცნობებს პალესტინაში მომხდარ მიწისძვრის შესახებ. იერუსალიმში მოკლულია 30 დაჭრილია 70 კაცი. დაზიანებულია ომარის მეჩეთი; „უფლის საფლავის" ეკლესიის გუმბათი გაიბზარა და შესაძლებელია ჩამოინგრეს კიდეც. დანგრეულია ინგლისის უმაღლესი კომისრის ლორდ პლუმერის კერძო სადგომი. უბედურ შემთხვევების შესახებ ცნობებს იძლევიან 20 ქალაქიდან. ქ. ნუბულუსში მოკლულია 62 და დაჭრილია 250 კაცი. ბაზარი დანგრეულია. რამლეხში მოკლული 12 და დაჭრილია 25 კაცი და ამმანში (ტრანსიორდანია) მოკლულია 8 კაცი. ქაიროდან იუწყებიან, რომ ტრანსიორდანიიდან ჩამოსული მფრინავის გადმოცემით დაღუპულთა რიცხვი აღწევს 300 კაცს. შიშით მოცულნი ბედუინები გაიქცნენ უდაბნოში. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

სრული დატვირთვით

ვარშავა, 12 ივლისი. ბიალა პოლეს სკაიში განაახლა მუშაობა აეროპლანების ქარხანამ, რომელიც დღემდე უმოქმედოთ იყო დაკვეთების უქონლობის გამო. ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს. (ადს)

მიწისძვრა სამხრეთ ავსტრალიაში

ლონდონი, 12 ივლისი. მელბურნიდან მიღებული ცნობით, ვიქტორიის რაიონში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა აღნიშნულ რაიონს. (ადს)

ირლანდიის იუსტიციის მინისტრის მოკვლის გარშემო

ლონდონი, 13 ივლისი. დუბლინიდან იუწყებიან, რომ ირლანდიის იუსტიციის მინისტრის ოჰიგგინსის მკვლელობის საქმეზე შეპყრობილია 10 კაცი. პლინკეტმა ბრალდებულთა სახელით განაცხადა, რომ როგორც მას, ისე დანარჩენ ცხრა ბრალდებულს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მკვლელობასთან და გამოსთქვამს აზრს, რომ ისინი პოლიტიკური მოსაზრებებით არიან შეპყრობილნი. (ადს)

საბჭოთა მეცნიერები პარიზში

პარიზი, 13 ივლისი. საბჭოთა კავშირთან სამეცნიერო კავშირის საფრანგეთის კომიტეტმა პარიზში მყოფ საბჭოთა მეცნიერებს გაუმართა სადილი. სადილს დაესწრენ მთელი რიგი ფრანგი და საბჭოთა მეცნიერები — კრილოვი, ლაზარევი, ლუზინი და სხვ., მათ გარდა სადილს დაესწრნენ, აგრეთვე, ამხ. რაკოვსკის მეუღლე, საფრანგეთის ელჩის საბჭოთა კავშირში ერბეტის მეუღლე და სხვ. (ადს)

საფრანგეთ-გერმანიის საბაჟო ხელშეკრულება

პარიზი, 13 ივლისი. მოლაპარაკება გერმანია-საფრანგეთს შორის საბაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ დამთავრდა შეთანხმებით, საფრანგეთის მხრით რამოდენიმე დათმობის შემდეგ. მიუხედავათ ამისა, გერმანიის დელეგაციამ გამოითხოვა თავისი მთავრობისაგან ნებართვა ხელისმოწერისათვის. (ადს),

დრუჟელოვსკის დახვრეტა

ხარკოვი, 13 ივლისი. სრ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა არ შეიწყნარა დრუჟელოვსკის შუამდგომლობა პატიების შესახებ. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. (ადს)

კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ ლორდთა პალატაში

ლონდონი, 13 ივლისი. ლორდთა პალატა შეუდგა მთავრობის კანონპროექტის განხილვას პროფკავშირების შესახებ. ოპოზიციის მიერ პირველ მუხლში შეტანილი შესწორებები უარყოფილია. კონსერვატორების მიერ შეტანილ შესწორებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია შესწორება, რომლის მიხედვით უნდა გაფართოვდეს ის მუხლი, რომელიც უკრძალავს პროფკავშირებს მონაწილეობის მიღებას პოლიტიკურ მოძრაობასა და ორგანიზაციებში. მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა განუცხადა, რომ მთავრობის მიერ ამ შესწორების მიღება იქნება მუშათა მოძრაობის უდიდესი შეურაცყოფა ამ პროექტის თემთა პალატაში განსახილველად წარდგენის მომენტიდან. (ადს)

იაპონია მხარს უჭერს სუნ-ჩუან-ფანს

შანხაი, 13 ივლისი. ჩინეთის პრესა აშკარად ბრალსა სდებს იაპონიას სუნ-ჩუან-ფანისათვის ხელის შეწყობაში. პეკინის მთავრობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწეთაგანმა „ჩიკაგო- ტრიბუნ“-ის კორესპონდენტს განუცხადა: „იაპონია ფულს აძლევს სუნ-ჩუან-ფანს და აწვდის მას ყოველგვარ სამხედრო იარაღს. სუნ-ჩუან-ფანის წარმომადგენელი—შანხაის ყოფილი მერი მიემგზავრება იაპონიაში იმ მიზნით, რომ შეუთანხმდეს ტანაკას, რომელიც სუნ-ჩუან-ფანს დაჰპირდა ფულს—იმ პირობით, თუ სუნ-ჩუან-ფანი ნებას მისცემს იაპონიის ჯარებს დაიკავონ შანდუნის რკინის გზა, რომელისთვის თავის დროზე არ არის გადახდილი სესხის სარგებელი.

ამით იაპონია ორ მიზანს ისახავს: უპირველეს ყოვლისა, არ გაუშვას პეკინის ჯარები ჩრდილოეთისაკენ და მეორეს მხრით ხელში ჩაიგდოს რკინის გზა, იაპონიას აშინებს ფინ-იუ-სიანი, რომელიც, იაპონიის აზრით, სცდილობს ხელში ჩაიგდოს პეკინი კი არა, არამედ მანჩჟურია. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ავიომოდელის რეკორდი

ნოვო-სიბირსკი, 13 ივლისი. დამთავრდა ციმბირის ავიამოდელების შეჯიბრი. კანსკის მცხოვრებ ლესნოვის მოდელი გადაფრინდა 481 მეტრს სივრცეზე და მით აიღო საკავშირო რეკორდი. (ადს).

სამხედრო პოლიტიკური აკადემიის გამოშვება

ლენინგრადი, 13 ივლისი. მოხდა ამხ. ტოლმაჩოვის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის საზეიმო გამოშვება. სულ აკადემია დაამთავრა 159 პოლიტმუშაკმა. ზეიმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბუბნოვი, რომელიც მოუწოდებდა ქვეყნის თავდაცვისადმი ყურადღების გაძლიერებისაკენ. (ადს).

კონკურსი სოფლის საუკეთესო მსროლელებზე

მოსკოვი, 13 ივლისი. თავდაცვა-ავიაქიმის გაზეთი „ნასტრაჟე“ „კრესტიანსკაია გაზეტა“-სთან ერთად აცხადებს კონკურს სოფლის საუკეთესო მსროლელებზე. კონკურსი გაიმართება ამ წლის შემოდგომაზე. კონკურსის მიზანია გამოიჩინოს საუკეთესო მსროლელი გლეხები, გამოაცოცხლოს მსროლელთა წრეების მუშაობა სოფლად და დაეხმაროს ხასროლო სპორტის გავრცელებას სოფელში. (ადს).

გავაძლიეროთ კამპანია

მოსკოვი, 13 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭოს კულტგანყოფილებებში გაიმართა იმ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების თათბირი, რომელთაც უშვებენ კავშირების ც. კ. თათბირმა აღიარა, რომ პროფესიონალურ გამოცემათა მეტი წილი არ აქცევს სათანადო ყურადღებას სამხედრო პროპაგანდასა და ქვეყნის თავდაცვას.

თათბირმა აღიარა, რომ ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. (ადს).

შეწირულების შეგროვება უკრაინაში

ხარკოვი, 13 ივლისი. უკრაინის სხვადასხვა ქალაქებიდან მიღებულ ცნობებით, დიდი წარმატებით მიმდინარეობს შეწირულების შეგროვება თვითმფრინავების ასაგებად. მოელიან, რომ ესკადრილიის ასაგებად შეაგროვებენ 1 მილიონ მან. მეტს. (ადს).

ბურიატო-მონღოლეთის რესპუბლიკის ოთხი წლისთავი

ვერხნეუდინსკი, 13 ივლისი. დიდი ზეიმით იქნა გადახდილი ბურატ-მონღოლეთის რესპუბლიკის არსებობის ოთხი წლისთავი. გაიმართა შეჯიბრი და ეროვნული თამაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ასი ვერსიდან ჩამოსულმა ბურიატებმა. (ადს).

ღირსეული სასჯელი

ლენინგრადი, 13 ივლისი. ბალტიის ფლოტის ტრიბუნალმა განიხილა ბალტიის ფლოტის ყოფ. კამანდირის, ინგლისის დახვრეტილ ჯაშუშის კლეპიკოვის ცოლის საქმე. კლეპიკოვას ბრალად ედებოდა სამხედრო ჯაშუშობაში მონაწილეობა. პირველად ტრიბუნალმა კლეპიკოვას მიუსაჯა სამი წლით დაპატიმრება. უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ტრიბუნალის განაჩენი გააუქმა და საქმე გადასცა განსახილველად იმავე ტრიბუნალს სხვა შემადგენლობით. ტრიბუნალმა კლეპიკოვას მიუსაჯა დახვრეტა. (ადს).

სიცხე მურმანში

ლენინგრადი, 13 ივლისი. მურმანის ნახევარ კუნძულზე სიცხე 40 გრადუსს აღწევს. ამის გამო დაიწყო ტყის ხანძრები. (ადს).

გადაფრენა ქვეყნის გარშემო

რიბინსკი, 13 ივლისი. მოსკოვში გაემგზავრა კაზარინოვი, რომელმაც მოიგო ქვეყნის გარშემო გადაფრენა. მოსკოვიდან კაზარინოვი გაფრინდება ბერლინში. კაზარინოვის ფრენა ქვეყნის გარშემო გაგრძელდება სამი თვე.

ნავთის მონოპოლია ესპანეთში და ჩვენი ნავთის ექსპორტი

ბაქო, 12 ივლისი. ესპანეთში ნავთის მონოპოლიის გამოცხადებასა და „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის კორესპონდენტის ცნობის გამო, რომ ესპანეთის მთავრობამ აკრძალა საბჭოთა ნავთის პროდუქტების შეტანა ესპანეთში, ნავთის სინდიკატის ახლო-აღმოსავლეთის კანტორის გამგემ ამხ. მელიქოვმა ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა შემდეგი:

„საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტი ესპანეთში დაიწყო პორტუგალიაში ნავთის პროდუქტების ექსპორტის დროს 1926 წ. ბაქოს ნავთის პროდუქტების რეალიზაცია ესპანეთში და პორტუგალიაში სწარმოებს ბანკ „არიეს“-ის საშუალებით. უკანასკნელი ხელშეკრულების თანახმად ყოველწლიურად ასაღებს 55.000 ტონა საბჭოთა ნავთის პროდუქტებს. ნავთის ზოგიერთი პროდუქტების მოთხოვნილება ფირმის მიერ სცილდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნავთის პროდუქტების ექსპორტის რაოდენობას. ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა ნავთის პროდუქტები კარგი ღირსების აღმოჩნდა და ფართო ბაზარი ჰპოვა ესპანეთში. აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში ესპანეთში და პორტუგალიაში გატანილია 17.733 ტონა ნავთის პროდუქტები, რომელთაგან 14.000 ტონას შეადგენს ბენზოლინი.

უცხოეთში გატანილ საბჭოთა პროდუქტების საერთო რაოდენობასთან შედარებით, ექსპორტი ესპანეთსა და პორტუგალიაში უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

მიმდინარე საოპერაციო წლის 9 თვის განმავლობაში გატანილ 1.047.000 ტონა ნავთის პროდუქტების საერთო რაოდენობიდან, ესპანეთზე და პორტუგალიაზე მოდის სულ რაღაც 15.036 ტონა, რაც საერთო ექსპორტის ერთ მესამედს შეადგენს.

ამრიგად, იმ შემთხვევაშიაც კი თუ ესპანეთში აკრძალული იქნება საბჭოთა ნავთის პროდუქტების შეტანა, რაც ჩვენ მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია, ამ ბაზრის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტის რაოდენობაზე (ადს).

რა ხდება უცხოეთში.

შეერთებული შტატების ვაჭრობა საბჭ. კავშირთან

ციფრობრივი ცნობები ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ დიდ ინტერესს წარმოადგენს.

1913 წ. მთელი სავაჭრო ბრუნვა მეფის რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის შეადგენდა 48 მილიონ დოლარს, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა კი 1923-24 წ. უდრიდა 54 მილიონ დოლარს, 1924-25 წ.—118 მილიონ დოლარს, 1925-26 წ.—79 მილიონ დოლარს. ერთი სიტყვით სავაჭრო ბრუნვა ორივე სახელმწიფოს შორის საშუალოდ ორჯერ აღემატება ომის წინადროინდელ ნორმას.

1923 წ. პირველი იანვრიდან 1926 წ. პირველ ივლისამდე, ე. ი. 3 ნახევ. წლის განმავლობაში, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა გამოიხატა 265 მილიონ დოლარში. აქედან 232 მილიონი დოლარი მოდის შეერთებული შტატებიდან საბჭ. კავშირში გამოტანილ საქონელზე, 33 მილიონი მანეთი კი—საბჭოთა კავშირიდან შეერთებულ შტატებში გატანილ საქონელზე.

მთავარ ორგანიზაციებს, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ შეერთებულ შტატებთან, წარმოადგენენ „ამტორგი“ (ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სააქციო საზ-ბა), საფეიქრო სინდიკატი, ცენტროსოიუზი და „სელსკოსოიუზი“.

თავისი სამი წლის მუშაობის განმავლობაში (1924 წ. პირველი მაისიდან 1927 წ. პირველ მაისამდე) ამტორგის საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციები გამოიხატა 92,9 მილიონ დოლარში. აქედან ექსპორტი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 65.3 მილიონ დოლარს, ექსპორტი საბჭ. კავშირიდან—27.6 მილიონ დოლარს.

ამტორგი საბჭოთა კავშირში გზავნიდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, უმთავრესად ტრაქტორებს. ამტორგის საშუალებით საბჭოთა კავშირში (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში) გასაღებულია არა ნაკლებ 27.000 ტრაქტორისა. ომამდი კი მთელი ყოფ. მეფის იმპერიის ტერიტორიაზე მუშაობდა სულ არა უმეტეს 500 ტრაქტორისა.

მანქანები და სხვა მოწყობილობა საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის ამტორგმა შემოიტანა 16,9 მილიონი დოლარის. აქედან ლითონის დამმუშავებელ მრეწველობისათვის შემოტანილია 7,2 მილიონი დოლარის მოწყობილობა, ნავთის მრეწველობისათვის—4,9 მილიონი დოლარის, სამთო მრეწველობისათვის—1,2 მილიონი დოლარის, ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობისათვის—1,2 მილიონი დოლარის და სხვ.

საფეიქრო სინდიკატმა სამ ნახევარი წლის განმავლობაში შეერთებულ შტატებში შეიძინა 1,200.000 შეკვრა ბამბა, ღირებული 150 მილიონ დოლარათ. ეს ბამბა საბჭოთა კავშირში გადაგზავნილი იქნა 170 გემით.

ცენტრო-სოიუზის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები შეადგენს 16 მილიონ დოლარს, სელსკოსოიუზის—5,5 მილიონ დოლარს. ორივე ეს ორგანიზაცია შეერთებულ შტატებში იძენს სამრეწველო ნედლეულს, საბჭოთა კავშირიდან კი გააქვს სასოფლო სამეურნეო ნედლეული.

საბჭოთა კავშირიდან გატანილ ნედლეულში პირველი ადგილი უჭირავს ბეწვეულს, მეორე—შავ ქვას, რომლის ექსპორტი განუწყვეტლივ იზრდება ჰარიმანის საკონცესიო წარმოების („ქართული მარგანეცი“) მუშაობის გაფართოებასთან ერთად.

ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა არ ამოიწურება მხოლოდ ვაჭრობით. ამერიკელი სპეციალისტი-ინჟინერები, საბჭოთა მთავრობის მიპატიჟებით, ახლა მონაწილეობას იღებენ საბ. კავშირის სამრეწველო აღმშენებლობაში. მხოლოდ დონის სანახშირო მრეწველობის სამმართველომ („დონუგოლ“) უკანასკნელ ხანებში სამი ხელშეკრულება დასდო ამერიკის მსხვილ ტეხნიკურ ფირმასთან, რომლებიც თავიანთ სპეციალისტებს გზავნიან სანახშირო მრეწველობის გადასახალისებელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ. კუპერის ცნობილი საინჟინერო ფირმა „დნეპროსტროის“ კონსულტანტია. სხვათა შორის, „დნეპროსტროისათვის“ საჭირო მოწყობილობათა ნაწილი შეერთებულ შტატებშია დაკვეთილი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტა, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას.

აღმოსავლეთში

საბჭოთა საქონელი არაბეთში

ინგლისის ვაჭრობას, რომელიც დღემდი მონოპოლიური უფლებებით სარგებლობდა არაბეთში საშიში მეტოქე გამოუჩნდა საბჭოთა საქონლის სახით. 1914 წ. ომის დაწყების შემდეგ შეწყდა ვაჭრობა მაშინდელ რუსეთსა არაბეთის ქვეყნებს შორის. 13 წლის შემდეგ რუსეთის საქონელი მივიდა არაბეთში საბჭოთა მარკით. საზოგადოება „რუსო-ტიურკ“-მა აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის დახმარებით გადასდგა პირველი ნაბიჯი სავაჭრო ურთიერთობის აღსადგენად. საბჭოთა კავშირსა და არაბეთს შორის. ამ მიზნით „რუსო-ტიურკმა“ გაგზავნა ჯედდაში საბჭოთა საქონლის ნიმუშების გამოფენა.

ნიმუშების გამოფენა რაღაც უჩვეულო რამ არის არაბეთისათვის. ინგლისის იმპერია და იტალია, რომელსაც ინგლისის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა დღემდი არაბეთთან ვაჭრობის მხრივ, ვაჭრობას უფრო მარტივი წესებით აწარმოებენ: მთელ ნაგავს, მთელ უვარგის საქონელს, ყველაფერ იმას, რის გასაღებაც არ შეიძლება საკუთარ ქვეყანაში ამ იმ ქვეყნებში, სადაც კარგსა და ცუდს არჩევენ, გზავნიან არაბეთში იმ იმედით, რომ „უგნური“ არაბი და სალოცავად ჩამოსული ბებრები ყველაფერს გაასაღებენ.

არც ერთ ინგლისელ ან იტალიელ კომერსანტს აზრათ არ მოსვლია პატიოსანი ვაჭრობის წარმოება ამ ხალხთან, კარგი ღირსების საქონლის მიწოდება და მით უფრო თავის საქონლის ნიმუშების ჩვენება წინასწარ, რომ აღმოსავლეთელ მომხმარებელს საშუალება მისცემოდა წინდაწინვ გასცნობოდა იმ საქონელს, რომელიც მას ესაჭიროება.

ამიტომ საბჭოთა საქონლის ნიმუშების გამოფენის მიღებამ არაბეთში სენსაცია გამოიწვია ეს ამბავი რაღაც ისეთი არაჩვეულებრივი იყო არაბეთისათვის, რომ საგონებელში ჩააგდო ჯედის საბაჟოს უფროსიც კი რომელმაც არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როგორ მიეღო ეს გამოფენა. მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონდა მის პრაქტიკაში და მან ვერ გადაეწყვიტა აეღო თუ არა ამ საქონელზე დაწესებული ბაჟი. დიდი ფიქრების შემდეგ მან გადასწყვიტა აეღო ბაჟი და მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების ჩარევის შემდეგ, იმის შემდეგ, როცა მას აუხსნეს, თუ რას ნიშნავს ეს გამოფენა რომლითაც დაინტერესებულია თვით მეფე, მან ხელი აიღო თავის განზრახვაზე.

გამოფენა მოწყობილია საბჭოთა საკონსულოს შენობაში, რომელზეც აღმართულია საბჭოთა, ოსმალეთისა და გეჯასის დროშები. ეს უკანასკნელი გარემოება (ის, რომ გამოფენის შენობაში ფრიალებს გეჯასის დროშაც) განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ამაში ხედავს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პატივისცემას არაბეთის ხალხის დამოუკიდებლობისადმი.

გამოფენის შესახებ მოსახლეობას ამცნეს გაზეთების და ფურცლების საშუალებით. ამავე მიზნით გამოყენებულ იქნა წმინდა ადგილობრივი წესი: თუ რამეს გამოცხადება სურთ საჯაროდ, ქირაობენ კაცს, რომელსაც აძლევენ განცხადების ტექსტს და ის მას ხმამაღლა კითხულობს მოედნებზე, სადაც ხალხი თავს იყრის.

ჯედდის მოედნებზე მთელ რიგ დღეების განმავლობაში ისმოდა ასეთი მოწოდება:

„...ბოლშევიკურ საკონსულოში მოიტანეს ბოლშევიკური საქონელი: შაქარი, ფქვილი, ჭურჭელი,—იჩქარეთ ნახოთ ყველაფერი, შესვლა უფასოა“.

გამოფენის შენობა ყოველდღე სავსე იყო მნახველებით, მოდიოდენ ოფიციალური პირები, რომ ენახათ ეს უჩვეულო „ბოლშევიკური გამოფენა“, სადაც ფრიალებდა გეჯასის დროშაც, მოდიოდენ მოქალაქეები, რომ დაეთვალიერებიათ მშვენიერი მანუფაქტურა, მოდიოდენ ვაჭრები, რომ შეეძინათ საქონელი.

ბითუმათ მოვაჭრეებს იერიშები მიჰქონდათ გამოფენაზე, რომ მთლიანად თავის ხელში ჩაეგდოთ საქონელი და შემდეგ აწეულ ფასებში გაეყიდათ. მაგრამ გამოფენის ხელმძღვანელები მათ ანკესზე არ წამოეგენ.

შაქარი წვრილი პარტიებით მიეცა წვრილ ვაჭრებს, ფქვილი რამოდენიმე დღით ნისიათ მიეცა მეფურნეებს.

მეორე დღეს ბაზარში და ყველა გზაჯვარედინზე გაისმოდა—„ეიშ მოსკოფი“ (მოსკოვის პური).

რამდენიმე დღეში „ეიშ მოსკოფი“-მ ისე გაითქვა სახელი, რომ სხვა პური არ საღდებოდა.

ფქვილისა და შაქრის ფასები დაეცა, რადგან წვრილ ვაჭრებს საშუალება მიეცა თავი დაეღწიათ შუამდგომლობისაგან და ფასი დაეკლოთ ამ პროდუქტებზე.

ფასების დაკლებამ იმ პერიოდში, როცა ჯედდა სავსეა მლოცველებით. როცა ჩვეულებრივ საქონლის ფასები ზღაპრულად იზრდება, სრული რევოლიუცია მოახდინა ბაზარზე. მოსახლეობა ლოცავდა „ბოლშევიკურ საქონელს“. სპეკულიანტების ბანაკში კი არევ-დარევა გამეფდა. ისინი დათმობაზე წავიდენ. დასთანხმდენ იმ პირობებზე, რომლებსაც საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლები უყენებდენ მათ დასაწყისში. მაგრამ გვიანი იყო: საბჭოთა საქონელი მთლიანად გასაღდა.

საბჭოთა ვაჭრობის პირველ ნაბიჯებს არაბეთში სრული წარმატება ახასიათებს.

რამდენიმე დღის განმავლობაში (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) საბჭოთა საქონელმა მოიპოვა ნდობა და მტკიცე ბაზარი.

არაბეთ-საბჭოთა ვაჭრობის განვითარების საძირკველი ჩაეყრილია.

რ. გ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული!

თბილისის პროლეტარიატი თავდაცვისათვის

კრება რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში

12 ივლისს, ნაშუადღევის ორ საათზე შესდგა რკინის-გზის მთავარი სახელოსნოების ყველა საამქროების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 2400 მუშა.

თავდაცვის კვირეულისა და მასში მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. საბაშვილმა.

გაუკეთა რა მოკლე მიმოხილვა, საერთაშორისო მდგომარეობას, მომხსენებელი ვრცლად შეეხო თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობას. დასასრულ მომხსენებელმა შემდეგი განაცხადა:

იმ დროს, როდესაც ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებს გააფთრებულ კამპანიას და ყოველ დღეს მოსალოდნელია დამოკიდებულების კიდევ უფრო გართულება, ჩვენ არ შეგვიძლია გულხელ დაკრეფილები ველოდოთ, თუ როდის მოახდენენ ჩვენზე თავდასხმას მსოფლიო მტაცებლები, თუ ჩვენ 1918-1919-1920 წლებში აშკარათ და ფარულათ გვებრძოდა 14 სხვა და სხვა სახელმწიფო და ვერ შესძლეს ჩვენი დამარცხება, მით უმეტეს ვერაფერს დაგვაკლებენ დღეს, თუ ყოველგვარ მოსალოდნელ საფრთხეს ჩვენ მომზადებულნი შევხვდებით. ეს კარგათ იცის ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ, რომელმაც დროებით შეკვეცა ავანტიურის მადა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლავ არ შეეცდება ჩვენს ჩათრევას ომში, ამისათვის უნდა გავაძლიეროთ თავდაცვითი სამზადისი. საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა გაიღოს თავისი წვლილი „ავიოქიმის“ სასარგებლოთ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ერთხმად იქმნა გამოტანილი შემდეგი

რეზოლიუცია

მოვისმინეთ რა ამხ. საბაშვილის მოხსენება თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ, ა.-კ. რკინის-გზების სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება აღნიშნავს უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ცდას გამოიწვიონ ახალი იმპერიალისტური ომი და ამით ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ ერთსულოვნათ მზადა ვართ ხელი შეუწყოთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, კერძოთ—კი თავდაცვის მიზნით ავიაქიმის აღორძინებას, რისთვისაც საერთო კრება **ადგენს**: გადაიდოს ერთდროულათ მთელი თვის ხელფასიდან 1 პროცენტი ანარიცხი ავიაქიმის გასაძლიერებლად და ასეთივე 1 პროცენტ ანარიცხის გამოღებაზე გამოწვეულ იქნეს ტრამვაის პარკის, არსენალის და 26 კომუნარის სახელობის სახელოსნოს მუშა-მოსამსახურენი.

ჩვენ მზადა ვართ ხელი შეუწყოთ მშვიდობიან აღმშენებლობას და აგრეთვე პირველი გამოძახილისთანავე პასუხი გავსცეთ საბჭოთა კავშირის მტრებს.

ძირს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხის ხელმძღვანელ პროლეტარიატის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას და მის შტაბს მე-3 ინტერნაციონალს.

გავაასკეცოთ ზრუნვა თავდაცვის საქმეზე

ტრამვაელთა კრების ხმა

გუშინ საღამოს ტრამვაის მუშაკთა საზაფხულო კლუბში ამხ. ზ. მაჩაიძის თავმჯდომარეობით შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება წითელი არმიის ნაწილებთან ერთად. კრებაზე მოხსენებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მიხ. კახიანი, რომელმაც გაარკვია რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, შეეხო ომის საშიშროებას, დაახასიათა საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა და აღნიშნა თეთრი ემიგრაციის და კერძოდ საზღვარ-გარეთ გადახვეწილ ქართველი მენშევიკების ანტი-საბჭოთა „მოღვაწეობა“.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

ილაპარაკეს აგრეთვე მუშებმა ამხ. არველაძემ, ამფიმიადიმ და სოსონაშვილმა.

დასასრულ, მოხსენების გარშემო კრებამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება, საერთაშორისო და ს. ს. რ. კ. საშინაო მდგომარეობის შესახებ არსრაიონის მუშა-მოსამსახურეთა კრება აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში კაპიტალისტური სამყარო, ინგლისის შუბლმაგართა სახით აშკარად ემზადება ომისათვის

უტიფარი თავდასხმებით და ულტიმატუმებით, თეთრ ნაძირალთა ტერორით და ბატონ მენშევიკების და თეთრი ემიგრაციის პროვოკაციებით და შპიონაჟით სცდილობენ ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობის ჩაშლას და მუშათა კლასის ჩათრევას ახალ ხოცვა-ჟლეტაში.

მტრების ამ უტიფარ მოქმედებაზე ჩვენი ხელისუფლება და მასთან, ერთად მთელი მუშათა კლასი მტკიცედ უპასუხებს: „ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა, მაგრამ ომისათვის მზათა ვართ“.

ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალს მტრის ყოველგვარ მოქმედებას. და უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ყურადღება თავდაცვის ამოცანებისადმი, უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ კავშირი წითელ-არმიასთან და ლოზუნგი მოსახლეობის გასამხედროების შესახებ უნდა განვახორციელოთ ბოლშევიკური სიმტკიცით.

თითოეულმა მუშამ და გლეხმა უნდა გააკეთოს ყოველივე რაც კი შეუძლია სამხედრო მრეწველობის განვითარების საქმეში. შექმნას ახალი ესკადრილიები, ტანკების ახალი რაზმები და განამტკიცოს პროლეტარული თავდაცვის საფუძველი. ფართო მშრომელი მასები ჩვენ უნდა ჩავაბათ თავდაცვა ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოებაში. მაქსიმალური ყურადღების მიქცევა ამ ორგანიზაციებისადმი და მისი გამაგრება მშრომელთა სახელმწიფოს თავდაცვის საუკეთესო თავდებია.

სადარაჯოზე დგომა, საშიშროებისათვის პირდაპირ თვალებში ცქერა და მზად ყოფნა მტრის მოსაგერიებლად—აი დღევანდელი დღის მოწოდება.

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას—მსოფლიო რევოლიუციის შტაბს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, პროლეტარული რევოლიუციის ამ ერთგულ და დაუღალავ დარაჯს!

გაუმარჯოს თავდაცვა ავიაქიმს—მუშათა და გლეხთა წითელ ლაშქრის დასაყრდენს და მებრძოლ რეზერვს!

მტკიცედ ვდგევართ მშრომელთა სახელმწიფო სადარაჯოზე

(მიტინგი ორჯონიკიძის სახ. კლუბში)

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში 13 ივლისს საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2.500 კაცამდე.

ამხ. ლ. ღოღობერიძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

მოვისმინეთ — რა ამხ. ლ. ღოღობერიძეს მოხსენება, მთავარ სახელოსნოების, დეპოსი, სართნოდო ფარეხის, მთავარ საწყობის, სატელეგრაფო სახელოსნოების, სტამბის, და საქონლის სადგურის მუშების კრება აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბები, როგორიცაა ინგლისთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. ამხ. ვოიკოვის მოკვლა, კაპიტალისტების აგენტების ამოძრავება საბჭოთა კავშირის შიგნით (ლენინგრადის კლუბში აფეთქება, ამხ. ოპანსკის დაღუპვა და მთელი რიგი კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციების აღმოჩენა და სხვა) არის მაჩვენებელი იმისა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები, აწარმოებენ სისტემატიურ შემოტევას მსოფლიოში ერთად ერთ პროლეტარულ სახელმწიფოზე. საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში იმპერიალისტური სახელმწიფოებს ჰქონდათ ამოცანად საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

მიუხედავად იმპერიალისტების პროვოკატორული მოქმედებისა. განსაკუთრებით ინგლისის შუბლმაგარი კონსერვატორებისა, საბჭოთა კავშირი დაუცხრომლივ აწარმოებდა და აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას. მთელი რიგი ახალ ქარხნების აშენება, ქვეყნის ელექტროფიკაცია, სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება არის საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, რომ მუშურ სახელმწიფოს არ სურს ომი, რომ იგი მთელ თავის ძალას ახმარს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. ისე როგორც ბურჟუაზია, მენშევიზმი და მისი წარმომადგენლები — ქართული ემიგრაცია ჟორდანია - რამიშვილის მეთაურობით ყოველ ღონისძიებას ხმარობენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მთელი ქვეყნის სოციალ გამყიდველები მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით იმის მაგივრად, რომ მხარი დაუჭირონ მუშურ სახელმწიფოს ომის საფრთხის დროს, ცდილობენ მოსპონ მსოფლიოში ერთად ერთი მუშური სახელმწიფო და მხარში უდგიან თავიანთ ნაციონალურ ბურჟუაზიას (გენ-საბჭოს წერილი მოსკოვში მონარქისტების დახვრეტის გამო.)

დეე იცოდნენ მათ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელიც არის თავის ქვეყნის ბატონ - პატრონი, აღარ წამოეგება ჟორდანია-რამიშვილის ანკესზე. ჩვენ ლენინის რაიონის მუშები ომის საფრთხის ხანაში უცხადებთ მსოფლიო პროლეტარიატს, რომ ომი არა გვსურს, მაგრამ თუ მას ჩვენ ძალით მოგვახვევენ ყველანი, როგორც ერთი დავდგებით ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს დასაცავად.

დეე, იცოდნენ მათ, რომ მუშათა კლასმა იცის თავისი მონაპოვარების დაცვა, თავდაცვის გაძლიერებით.

ყველანი თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებაში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

ძირს საერთაშორისო ბურჟუაზია და მისი ლაქია მენშევიკები!

არსრაიონის მუშების კრება

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა არსრაიონის მუშა - მოსამსახურეთა კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. **ლუკაშინის** მოხსენება **საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვის საკითხების შესახებ.**

მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ერთი მხრით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის და მეორე მხრით ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის. უკანასკნელ ხანებში ეს წინააღმდეგობა ისეთ მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ ომის საფრთხე დღითი დღე რეალური ხდება. სწარმოებს მოურიდებელი მზადება ომისათვის, რომლის გამოსაწვევად საკმაოა სულ მცირე საბაბი.

საბჭოთა კავშირის მზადება თავდაცვისათვის — არის საუკეთესო საშუალება საერთაშორისო მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. რაში უნდა გამოიხატოს ჩვენი მზადება თავდაცვისათვის?

უპირველეს ყოვლისა ჩვენი სახალხო მეურნეობა, მთელი ჩვენი ეკონომიკა უნდა მომზადდეს მოსალოდნელ ომისათვის. ომის წარმატებით წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქვეყანა ორგანიზაციულად მომზადებული დახვდეს მოსალოდნელ ომს. გეგმიანობა, ერთიანი სისტემა მეურნეობისა არის აუცილებელი პირობა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ასამაღლებლად. აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული მშრომელთა ყურადღება და ენერგია.

ამხ. ლუკაშინის მოხსენების შემდეგ ამავე საკითხზე სიტყვები წარმოსთქვეს მუშებმაც. დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მშრომელ მასებს მასიური ჩაწერით თავდაცვის საზოგადოებებში და ენერგიულ მუშაობით სამეურნეო ფრონტზე გააძლიერონ მშრომელთა რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობა.

კრება ხელოსანთა კლუბში

გუშინ საღამოს 7 საათზე ხელოსან - თვით მშრომელთა კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართა თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედების წევრებისა და წარმოება - დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიძღვნილი იყო თავდაცვის კვირეულისადმი.

კრებაზე, საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **რატნეკი**, რომელმაც აღნიშნა იმპერ-ტურ სახელმ-ოების მზადება ახალი ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების სამზადისი თავდაცვისათვის უდიდესი საწინდარია ახალი სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ. ამიტომ ყველა მუშა და ყველა გლეხი ჩაბმული უნდა იქნეს თავდაცვის გაძლიერების საქმეში.

მოხსენების შემდეგ გამართულ აზრთა-გაცვლა გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბახტაძემ, ბაროდინმა, რეზნიკმა, მზარეულიშვილმა და სხვ.

ამხ. ბახტაძემ კრებას აცნობა, რომ სახკინმრეწვის მუშა - მოსამსახურეთა დადგენილებით გადაწყვეტილია შეიძინონ ცალკე აეროპლანი, რომლისთვისაც უკვე სწარმოებს ფულის შეგროვება. გარდა ამისა, ისინი შეუდგენ აგრეთვე მთელ რიგ საგიტაციო კინო სურათების გამოშვებას თავდაცვის საკითხების შესახებ. ამხ. ბახტაძის განცხადებას კრება ხვდება ხანგრძლივ ტაშით.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ ხელი შეუწყონ თავდაცვის გაძლიერების საქმეს და გაიღონ თავის წვლილი „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდის გასაძლიერებლათ.

გავაძლიეროთ თავდაცვა

მუშკორთა მოძრაობის ძირითად ამოცანას საბჭოთა კავშირში შეადგენს საზოგადოების ყოველივე უარყოფითი და დადებითი მხარეების მხილება, მისი სააშკარაოზე გამოფენა სხვადასხვა სახით და, უმთავრესად, ყოველდღიური გაზეთის ფურცლებზე აღნიშვნა ნაკლის თავის დროზე გამოსწორების მიზნით.

ამასთან მუშკორი ერთი წუთითაც არ უნდა ივიწყებდეს დღევანდელი პოლიტიკური მომენტის არც ერთ მხარეს და განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა უდგეს სათავეში ფაბრიკა-ქარხნების დაცვის საქმეს. მუშკორი—იგივე წითელარმიელი არის თავის ფაბრიკაში, მას იარაღად კალამი მომართული და მომზადებული უნდა ჰქონდეს, სანამ წითელ კალამს გასცვლიდეს საჭიროების დროს ვინტოვკაზე.

მუშკორს ფაბრიკა-ქარხნებში ევალება აგიტაცია-პროპაგანდა აწარმოოს მუშათა მასებში და როგორც მოწინავე ელემენტი სახელმწიფო და საზოგადოებრივ სადარაჯოზე. ის თვით უნდა აჩვენებდეს მაგალითს დანარჩენ მასებს, რომ საჭიროების დროს მთელი მუშათა ჯგუფის დარაზმვას ხელი შეუწყოს და გაუადვილოს პარტიულ ორგანიზაციას დასახული მიზნების განხორციელება და სიტყვა საქმეთ აქციოს.

დღეს საბჭოთა კავშირი თავდაცვის კვირეულს ატარებს და ცდის პროლეტარიატის უნარიანობას მომავალ ბრძოლაში. ყველამ ვიცით, რომ მთელი ბურჟუაზია ღრენით შემოჰყურებს ერთ-ერთ მუშურ-გლეხურ საბჭოთა კავშირს, ვინც კი ადევნებს თვალყურს ყოველდღიურ სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოცემულ რადიო ამბებს, აშკარად მიხვდება, რომ კაპიტალისტური ქვეყნები არ მოისვენებენ, სანამ არ დაანთებენ მსოფლიოში იმპერიალისტური ომის მეორე უსაშინელეს კოცონს, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, საბჭოებისაკენ იქნება მიმართული.

თვით საერთო ეკონომიური მდგომარეობა ბურჟუაზიულ ევროპისა ისეთია დღეს, რომ არ შეიძლება „ნეიტრალური“ დარჩეს თუგინდ სრულიად უმნიშვნელო პატარა სახელმწიფოც კი.

კაპიტალისტები არავითარ პროვოკაციას არ ერიდებიან, რომ ომში ჩაგვითრიონ და გამოგვეწვიონ სისხლისმღვრელ ავანტიურაში, რათა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის საქმე შეაფერხონ და არევ-დარევა შექმნან ჩვენს რიგებში, ვინაიდან ისინი გრძნობენ, თუ რა მოელით მათ საბჭოთა სოციალ. აღმშენებლობის გაფართოვებით და ჩვენი საკუთარი დოვლათის დაგროვებით.

ამიტომ ყოველდღიურ სამეურნეო და სოციალისტურ მშენებლობის დროს თავდაცვის კვირეულს უდიდესი ყურადღება ექცევა დღეს.

ამ თავდაცვის სადარაჯოზე მუშკორი პირველი უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის ისევე, როგორც სხვა დროს.

მუშკორი უ—ნი.

ფინანსიური თავდაცვისათვის

მოსკოვი, 13 ივლისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში „თავდაცვის კვირეულის“ შესახებ საბჭოთა კავშ. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე, ამხ. **კუზნეცოვი** შეეხო საბჭოთა კავშირის მდგომარეობას ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ **განხეთქილება ძლიერ მცირედ დააზარალებს ჩვენს იმპორტს და ექსპორტს.** ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დასჭირდება მხოლოდ გეგმების ხელახალი შედგენა და მეტი ყურადღების მიქცევა იმ ბაზრებზე, რომლებიც დღემდე საკმაოდ არ იყო შესწავლილი.

„ბევრად უფრო მნიშვნელოვანია—განაცხადა ამხ. კუზნეცოვმა—ჩვენი საგარეო სავაჭრო ოპერაციების კრედიტების უზრუნველყოფა. ჩვენ ვაყენებთ საფინანსო თავდაცვის ლოზუნგს, რომელმაც უნდა აგვინაზღაუროს საფინანსო კრედიტების შემცირება. ყველა ჩვენი სამეურნეო მუშაკები უნდა განიმსჭვალონ ამ ლოზუნგით სამეურნეო გეგმების შედგენის დროს. **საჭიროა ყოველმხრივ შევამციროთ არანაყოფიერი ხარჯები; უნდა გავაძლიეროთ კაპიტალური მშენებლობა მრეწველობაში, ტრანსპორტში და კერძოდ ისეთ წარმოებებში, რომლებიც შეიძლება მალე ავამუშავოთ.**

მაგრამ საფინანსო თავდაცვის ლოზუნგი უმთავრესად მიმართულია მოსახლეობის ფართო მასებისადმი. არც ერთი კაპეიკი არ უნდა დარჩეს უქმად. მოსახლეობის მიერ შემონახული მთელი თანხები უნდა მოექცენ სახელმწიფოებრივ სესხების და შემნახველ სალაროების ფონდში. თუ ეს გაფანტული წვრილი თანხები თავს მოიყრიან მუშურ-გლეხური მთავრობის ხელში, ისინი მოგვცემენ საშუალებას მძლავრად წავსწიოთ წინ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა და გადავლახოთ ის დაბრკოლებანი, რომლებსაც უქმნიან ჩვენს მშენებლობას შუბლმაგარი კონსერვატორები“. (ადს).

კვირეული წითელ ყაზარმაში

№ ქართ მსრ. ლეგიონში.

თავდაცვის კვირეულის ჩასატარებლად ლეგიონში დაარსებულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია: რომლის მიერაც შემუშავდა კვირეულის ჩატარების გეგმა.

ასეულების ლენინის კუთხეებში ეწყობა საუბრები, ხმა-მაღლა კითხვა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხის ირგვლივ; წითელარმიელები დაწვრილებით ეცნობიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მზადებას ომისათვის, მათ შეიარაღებას, სამხედრო ტეხნიკას და სხვა.

ლეგიონის მასშტაბით მოწვეულ იქნა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობის შესახებ.

ლეგიონთან მოწყობილია სასროლო ტირი სადაც ყოველდღიურად სწარმოებს სროლა. რომელშიაც წითელარმიელთა გარდა იღებენ მონაწილეობას მუშა-მოსამსახურენიც.

კვირეულის დამთავრებისას ლეგიონის კლუბში, კლუბის წრეების მიერ გაიმართება დიდი საღამო, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენება თავდაცვის საკითხის ირგვლივ, დრამწრის მიერ შესრულებულ იქნება რამოდენიმე ინსცენიროვკა მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით.

ზეთის სახელ ქარხნის სამხედრო კუთხეში, რომელიც მოწყობილია № ლეგიონის მიერ, ლეგიონის ძალების მიერ ჩატარდება საუბრები თავდაცვის საკითხის შესახებ. სამხედრო კუთხე მორთულია სათანადო ლოზუნგებით და პლაკატებით.

წითელი არმიის და ფლოტის სახლში

წითელი არმიის და ფლოტის სახლში თავდაცვის კვირეულის ჩატრება დაიწყო 10 ივლისიდან.

11 ივლისს მოწყობილ იქნა დიდ საღამო სხვადასხვა გასართობებით, რომლის შემოსავალი გადაიდო თვითმფრინავის ასაგებათ.

15 ივლისს წითელი არმიის და ფლოტის სახლის საზაფხულო შენობაში არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო გააკეთებს მოხსენებას თემაზე „მომავალი ომების ხასიათი და წარმოება“.

16 ივლისს ნაჩვენებ იქნება შ-ქის გაზეთი შემდეგ თემაზე „ახალი—სამხედრო ტეხნიკაში“.

სახლის როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო შენობაში გამოფენილია დიაგრამები, რომელიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ომისათვის მზადების სურათს და ახასიათებენ მათ ჯარების შემადგენლობას და სხვა. მრავლად არის აგრეთვე სათანადო პლაკატები და ლოზუნგები

კვირეულის ქრონიკა

ადგილებზე

თავდაცვის კვირეულის კამპანიამ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობა გამოაცოცხლა და გააცხოველა.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ:

გორის მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა კვირეულის წარმატებით ჩასატარებლად. 16 და 17 ივლისს ჩატარებული იქნება ყულაბებით ფულის შეკრება, საღამო-სეირნობა, წარმოდგენები. ფულის შეკრება იწარმოებს მაზრის ყველა თემებში (ბორჯომი, სურამი, ხაშური და სხვა)

ამასთანავე მუშა-მოსამსახურეთა შორის მიმდინარეობს კამპანია, „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდში დღიური ხელფასის გადასარიცხად. მოწყობილია ავიაქიმიური რაზმი და ორი სანიტარული წრე.

მორაპნის მაზრაშიაც კვირეული დიდის გაცხოველებით ტარდება. მოწყობილია და ეწყობა ახალი უჯრედები. ფართოდ მიმდინარეობს საზოგადოებაში ახალი წევრების ჩაწერა.

ტარდება ფულის შეკრება ყულაბებით, თანხების გადადება „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდში და სხვა.

17 ივლისს ეწყობა საჰაერო-ქიმიური ომის ინსცენიროვკა. ამისათვის საჭირო მასალები უკვე გადაგზავნილია.

სიღნაღის სამაზრო თავდაცვა-ავიაქიმმა გადასწყვიტა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით თვითმფრინავ „ქიზიყური მუშტი ჩემბერლენს“-ის აგება საკუთარ საშუალებებით. ადგილობრივი გლეხობა ამ ახალ საქმეს დიდის ენტუზიაზმით შეხვდა. მიმდინარეობს ამისათვის თანხების შეგროვება.

გუშინწინ სამხედრო აეროპლანმა მოახდინა საგიტაციო ფრენა მაზრაზე, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა. სამაზრო თავდაცვა-ავიაქიმმა სასწრაფოდ მოაწყო აეროპლანების დასაშვები მოედანი.

10.000 ნიღაბი

საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმმა შეისყიდა 10.000 გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი, რომელსაც გაანაწილებს რესპუბლიკანურ თავდაცვა-ავიაქიმის რაზმებს შორის.

ა.-კ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის საღამო

16 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბში (მუშტაიდი) გაიმართება ამიერ-კავკასიის და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბების საღამო-სეირნობა. გარდა კონცერტისა, კინოსი და სეირნობისა ჩატარდება სამხედრო ტეხნიკის დემონსტრაცია. მოეწყობა აზევრავ აეროპლანის გამოფენა. ნაჩვენები იქნება სამხედრო-საინჟინერო ძალების მუშაობა, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის მუშაობა, სასოფ.-სამ. იარაღების დემონსტრაცია და მოწყობილი იქნება სამხედრო ლიტერატურის კიოსკი.

ნაჩვენები იქნება სამხედრო ძაღლების მუშაობა და მოეწყობა საკავშირო საშუალებათა ექსპონატების გამოფენა.

არტილერიის დარგში უჩვენებენ: ბატარეის მუშაობას—საარტილერიო მუშხუნების სროლა. იარაღების მსახურთა მუშაობა, იარაღების შენიღვა, ნამკვირებელ პუნქტების მუშაობა, მუშაობა მიდამოებში, მოწყობილი იქნება საარტილერიო ექსპონატების გამოფენა.

საინჟინერო ძალების დარგში მოეწყობა ხიდების და ბლინდაჟების გამოფენა და უჩვენებენ ამფეთქებელ გუნდის მუშაობას.

ნაჩვენები იქნება შენიღბულ გუნდის მუშაობა და გაზებისაგან თავდაცვის დემონსტრაცია, იქნება სასროლო ტირი და სხვა.

ამასთანავე მოწყობილი იქნება ფეიერვერკი. საღამო დაიწყება 6 საათზე.

დღეს

მოეწყობა საღამო-სეირნობა: ტრამვაელთა, მეტყავეთა და ხელოსანთა კლუბებში. შემოსავალი მოხმარდება თავდაცვის საქმეს.

„ძალათ მაცხონეობა“ თუ საჭირო ღონისძიება

(სამაზრო ბიუჯეტის გარშემო)

ცნობილია, რომ საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი ფრიად დეფიციტიანია. ეს დეფიციტი, მაგალითად, 1925—26 წ. უდრიდა — 6.487 ათას მანეთს, ანუ ბიუჯეტის 43,7 პროცენტს. მიმდინარე სამეურნეო წელში დეფიციტის რაოდენობა გამოიხატება—5.815 ათას მანეთში, ანუ 32,1 პროცენტით (უთბილისოდ).

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ მთელი რიგი პირობების გამო საკავშ. ცენტრი დიდის დაგვიანებით არკვევს იმ თანხის საბოლოო ჯამს, რომელიც რესპუბლიკებს ეძლევა ყოველწლივ საერთო სახელმწიფო სახსრებიდან საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად. ამ ორი უკანასკნელ სამეურნეო წელში დახმარების (დოტაციის) საბოლოო ჯამი გამოირკვა მხოლოდ მაისის თვეში, ე. ი. მერვე სამეურნეო თვეში. რა შედეგი ჰქონდა და რა შედეგი აქვს წელსაც ჩვენს დეფიციტიან ბიუჯეტს ასეთ პირობებში?

პირველი შედეგი რასაკვირველია. უარყოფითი ხასიათისაა: მაზრის ხელისუფლება ფაქტიურად ვერ სარგებლობდა და სათანადოთ ვერ იყენებდა იმ საბიუჯეტო უფლებებს, რომელიც მას მინიჭებული აქვს მოქმედ კანონით, ე. ი. მაზრის მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი ფაქტიურად ცხოვრებაში არ ტარდებოდა და მისი ძალა შეჩერებული იყო მანამდე, სანამ ცენტრი საბოლოოდ არ ჩამოაყალიბებდა თვითეულ მაზრის დეფიციტის რაოდენობას, 2) ბიუჯეტი ხელმეორეთ და საბოლოოდ მუშავდებოდა და მტკიცდებოდა დეფიციტის გამორკვევის შემდეგ, ე. ი. მაისში - ივნისში, 3) მთელი ადგილობრივი მეურნეობა 8—9 თვის განმავლობაში სრულიად გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი კმაყოფილდებოდენ სრულიად შემთხვევით და ყოველივე გეგმის გარეშე.

ზედმეტია მტკიცება იმის, თუ რა საზარალო იყო და არის კიდევაც მეურნეობისათვის ის წესი, როდესაც მისი ჩვეულებრივი მოთხოვნილებების და მისი ზრდა - განვითარების გეგმა მტკიცდებოდა თითქმის სამეურნეო წლის დამლევს. ამიტომ საქართველოს ფინსახკომმა საჭიროდ და შესაძლებლად სცნო წამოეყენებინა პროექტი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ჩვენი შედარებით ეკონომიურად მძლავრი მაზრები მომავალ საბიუჯეტო წლიდან მაინც საკუთარ ფეხზედ დაეყენებინა.

ფინსახკომის ამ პროექტს გამოეხმაურა ჩვენს პრესაში მხოლოდ გორის მაზრა ამხ. ვასო ქურდაძის სახით. ამხ. ქურდაძის წერილი, „კომუნისტში“ 1927—28 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის აგების შესახებ, უნდა ჩაითვალოს მეტად სასურველ და სასიამოვნო მოვლენად მით უმეტეს, რომ ამ შინაარსის წერილით გამოსვლა ჩვენს პრესაში ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკისა პირველი მაგალითია.

მაგრამ თვით წერილის შინაარსი და ამხ. ვასო ქურდაძის მოსაზრებანი არ არის სწორი და სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით. საქმე იმაშია, რომ ფინსახკომის პროექტი სხვათა შორის, გორის მაზრას აკუთვნებს საქართველოს მაზრების ისეთ ჯგუფს, რომელნიც თავისი ეკონომიკით იმდენად მძლავრნი არიან, რომ მათ შეუძლიათ მომავალი სამეურნეო წლიდან ააგონ გეგმა საკუთარ შემოსავალზე და იმდენად შემცირებულ დოტაციის ჯამზე, რომლის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შეძლებთ თავის დროზე. ფინსახკომის პროექტით გორის და სხვა რამოდენიმე მაზრას სრულიად უნდა მოესპოს პირველ ოქტომბრიდან საერთო დოტაცია და დროებით უნდა შეენახოს მხოლოდ ის მიზნობრივი დახმარება, რომელიც მაზრას ეძლევა პირველ და მეორე საფეხურის მასწავლებელთა ხელფასისათვის, ე. ი. გორის მაზრას მომავალ სამეურნეო წლიდან სრულიად კი არ ესპობა სახელმწიფო დახმარება, არამედ ნაწილობრივად უმცირდება ის და ეს შემცირება ყოვლად უმტკივნელო, ნორმალური და გასაგებია, ვინაიდან გორის მაზრის მეურნეობის თანდათანობითი აღდგენა - გაჯანსაღებას შედეგად მოსდევს ყველა ადგილობრივი საშემოსავლო წყაროების ზრდა. იმ ჭეშმარიტებას, რომ გორის მაზრა შედარებით სხვა ჩვენ მაზრებთან უფრო მძლავრია, რომ გორის მაზრის მეურნეობა საერთოდ თანდათან ძლიერდება, ჯანსაღდება და მაგრდება, რომ ამას შედეგად მოსდევს ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდაც—ამ ჭეშმარიტებას არ უარყოფს თვით ამხ. ვასო ქურდაძეც და ამ მიზეზებით გამოწვეულ დახმარების შემცირებაც საერთო სახელმწიფო სახსრებიდან მას ნორმალურად მიაჩნია. აი, რას სწერს ამხ. ვასო თავის წერილში: „ხსენებული (ე. ი. გორის) მაზრა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ერთი ძლიერი ეკონომიური ერთეულია. აქაური მცხოვრებნი უმთავრესად სასოფლო მეურნეობას მისდევენ და ისინი ნივთიერად შეიძლება ითქვას არც ისე სუსტები არიან. ყოველივე ეს ნათლად გამოსჭვივის სახელმწიფო გადასახადების ზრდა - განვითარებიდან“. შემდეგ: „რაც შეეხება ფაბრიკა - ქარხნებს და სხვა წარმოებებს, არც ამ მხრივ არის მაზრა ჩამორჩენილი“. თუმცა შემდეგში ამხ. ქურდაძე აღნიშნავს, რომ უმთავრესი ფაბრიკა - ქარხნები მაზრის განკარგულებაში არ იმყოფება, მაგრამ თუ რა დიადი ეკონომიური ფაქტორია ფაბრიკა - ქარხნების არსებობა ამა თუ იმ მაზრაში და რა რეალური შემოსავალი აქვს ადგილობრივ ბიუჯეტს ამ წყაროდან სავადასახადო სახით,ამაზედ ამხ. ქურდაძე არაფერს ამბობს.

„მაზრის აღმასკომმა თავისი ბიუჯეტის განსამტკიცებლად, განაგრძობს ამხ. ქურდაძე, ბევრი რამ გააკეთა, რასაც მოწმობს ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა და საუბვენციო თანხების შემცირება. ეს ზრდა სრულიად ნორმალური გზით მიმდინარეობს“.

ჭეშმარიტებაა ყოველივე აქ აღიარებული და ჩვენ მხოლოდ ადგილის უქონლობის გამო საშუალებას ვართ მოკლებულნი გამოთქმულ დებულების დასადასტურებლად მოვიყვანოთ ზოგიერთი საყურადღებო ციფრები გორის ბიუჯეტიდან. მაშასადამე, გორის მაზრა თვითონაც ამოწმებს იმ გარემოებას, რომ მაზრა ეკონომიურად შედარებით სხვა მაზრებთან მძლავრია, რომ საშემოსავლო წყაროები წლითი-წლამდე იძლევიან ზრდას, რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და ყოველივე ამასთან დაკავშირებით მცირდება დოტაცია და, რომ ეს შემცირება ნორმალური იყო, ვინაიდან მომავალ სამეურნეო წელშიაც არაფერი მოხდება ისეთი კატასტროფიული, რაც ხელს შეუშლის გორის მაზრაში ბიუჯეტის ჩვეულებრივ ზრდას. — რატომ უნდა გადაიქცეს ეს ჩვეულებრივი მოვლენა „ძალათ მაცხონებათ“.

მომავალი სამეურნეო წლიდან, ფინსახკომის აზრით, გორის და სხვა მსგავს მაზრებს კიდევ უნდა შეეკვეცოთ დახმარების საერთო ჯამი იმ ანგარიშით. რომ საკუთარი შემოსავლის ზრდამ აუნაზღაუროს შემცირებული დოტაცია და იმავე დროს შემოსავლის ზრდის განსაზღვრულ ნაწილი მოხმარდეს მაზრის მოსახლეობის კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებების ზრდას და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას. დოტაციის მორიგი შემცირება სრულიად უმტკივნელო იქნება მაზრისათვის, ვინაიდან ამ შემცირების ჯამი მაზრის საერთო შემოსავლის ზრდასთან შედარებით შესამჩნევათ ნაკლები იქნება. უდეფიციტო ბიუჯეტს უნდა მოჰყვეს მთელი რიგი დადებითი შედეგებისა, რომელთაგანაც აღსანიშნავია შემდეგი უმთავრესი: გორის და სხვა ასეთ მაზრებს ახალი სამეურნეო წლისათვის უკვე ექნებათ მაზრის მიერ საბოლოოდ დამტკიცებული გარკვეული საოპერაციო გეგმა.

მთელი ადგილობრივი მეურნეობა სამეურნეო წლის დაწყებისთანავე ისაზრდოებს თანახმად მიღებულ მტკიცე გეგმისა და გარდა ამისა, როგორც თვით ამხ. ქურდაძე ამბობს, „უდეფიციტო ბიუჯეტი მაზრის აღმასკომის აქმიანობას უფრო გასაქანს მისცემს, მაზრას გამოიყვანს ფინანსიურ „ოპეკიდან“, რომელსაც იგი ამჟამად განიცდის და სამოქმედო ხელს უფრო გაუშლის; უდეფიციტო ბიუჯეტი მომასწავებელი იქნება იმისა, რომ მაზრის მიეცემა საშუალება თავისი მოთხოვნილებები თვითვე დააკმაყოფილოს“. მაშასადამე, ამ მხრივათაც ფინსახკომის პროექტსა და ამხ. ქურდაძის მოსაზრებათა შორის არავითარი, გაუგებრობა და უთანხმოება არ არსებობს. ერთად ერთი ძირითადი უთანხმოება გამოიხატება მხოლოდ იმ საკითხში, თუ რა დროიდან უნდა იყოს გადაყვანილი გორის მაზრა უდეფიციტო არსებობაზე.

ფინსახკომის აზრით, რომელიც დაყრდნობილია გორის ბიუჯეტის და მაზრის მეურნეობის ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ზრდა - განვითარებაზე, ასეთ ვადათ უნდა ჩაითვალოს მომავალი სამეურნეო წელი, ხოლო ამხ. ვასო ქურდაძის აზრით კი, ფინსახკომის პროექტის განხორციელება აღნიშნულ ვადისათვის სრულიად უდროო და „ძალად მაცხონეობა“ იქნება. წერილში გამოთქმული აზრის თანახმად უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა 1927—28 წლ. იძულებულს გახდის მაზრაღმასკომს „შეანელოს მუშაობა მიწათმოქმედების დარგში და შეაფერხოს გლეხებისადმი აგროდახმარების აღმოჩენის საქმე“.

მაზრის მიერ გამოთქმული აზრისა და მისი შიშის გამოსარკვევად მივმართოთ თვით გორის მაზრის ოფიციალურ მასალას — 1926—27 წ. ბიუჯეტს. მიმდინარე წლისათვის გორის ადგილობრივი ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი წარმოადგენდა შემდეგ სურათს: ბიუჯეტის საერთო ჯამი უდრიდა 1,301 ათას მანეთს, რომლიდანაც 419 ათასი მანეთი უნდა დაფარულიყო დოტაციით. დოტაციის შემცირების შემდეგ ა.-წ. მაისში. გორის მაზრამ გადაამუშავა თავისი ბიუჯეტი და ცენტრში, ფინსახკომში, წარმოადგინა შემდეგი სახით: ბიუჯეტის საერთო ჯამი—1.431 ათასი მანეთი, ე. ი. ბიუჯეტი, მიუხედავათ იმისა, რომ დოტაცია შემცირებულ იქნა 90.000 მანეთით, გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში 130 ათასი მანეთით. მაშასადამე. დოტაციის 90.000 მან. შემცირებას არავითარი ზიანი არ უნდა მიეყენებინა მაზრის მეურნეობისათვის, ვინაიდან შემცირების შემდეგ მაზრამ გადაათვალიერა თავისი საშემოსავლო წყაროების შესაძლებლობანი, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთარი შემოსავლის სრულიად რეალური გადიდება 233 ათას მანეთით. ამ თანხამ სავსებით შეავსო შეკვეცილი დოტაცია და ამის გარდა გაადიდა სამაზრო ბიუჯეტი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, 130 ათასი მანეთით.

ამისთანა ხელშემწყობ პირობებში უეჭველია, არც ერთი მნიშვნელოვანი ხარჯი, რომელზედაც შესტკივა გული ამხ. ქურდაძეს, არ უნდა შემცირებულიყო. პირიქით, ამხ. ქურდაძეს მიერ ჩამოთვლილი ხარჯები უნდა გადიდებულიყვნენ. ამიტომ საინტერესოა, თუ როგორ გამოიყენა და როგორ გაანაწილა მაზრამ ზედმეტი შემოსავალი მაზრის სხვადასხვა მოთხოვნილებათა შორის.

აი, ზოგიერთი ცნობები. რომელიც ამოღებულია მაზრის მიერ 1926—27 წლ. დამტკიცებულ ბიუჯეტებიდან (ათას მანეთებში):

ხარჯები	შემცირებამდე	ბიუჯეტის შემცირების შემდეგ	მეტი	ნაკლები
ადმინისტრატიული . . .	305.6	375.7	70,1	—
დავალიანების	—	61,2	61,2	—
ჯანმრთელობის	107,0	85,9	—	21,1
სასოფლო მეურნეობა . .	71,2	59,6	—	11,5
ადგილობრივი მრეწველობა.	17,3	14.6	—	2,7

ეს ცნობები განმარტებას არ მოითხოვენ და ცხადყოფენ იმას, რომ ეგრედწოდებული „მიწათმოქმედების დარგში მუშაობის შენელებას, გლეხებისადმი აგრო-დახმარების და ექიმობის აღმოჩენის საქმის შეფერხებას ადგილობრივი მრეწველობის განვითარების და განმტკიცების უკან დახევას“ და სხვ. ხშირად არავითარი კავშირი არ აქვს უდეფიციტო ბიუჯეტის არსებობასთან და ჩვენს სინამდვილეში კიდევაც შესაძლებელი ყოფილა, რომ ბიუჯეტის 130 ათასი მანეთით ზრდას შედეგათ მოსდევს ადმინისტრატიული ხარჯების შესამჩნევი ზრდა და ამავე დროს პირველ ხარისხოვანი მოთხოვნილებების შეკვეცა.

მეტად საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ბიუჯეტის გადამუშავების შემდეგ გორის მაზრაში შესამჩნევად გაიზარდა ასეთი ხარჯები, როგორიც არის, მაგალითად, ხელფასი, საკანცელარიო და მივლინების ხარჯები, ყრილობის და კონფერენციის ხარჯები მოულოდნელი ხარჯები და სხვა.

ამის შემდეგ რასაკვირველია, უსაფუძვლო საშიშროებათ უნდა ჩაითვალოს ამხ ქურდაძის აზრი იმის შესახებ, ვითომც მომავალი წლიდან მხოლოდ ფინსახკომის პროექტის წყალობით შეილახება გორის მაზრის გლეხობის ინტერესები. მიმდინარე წელმა ეს აზრი და საშიშროება სავსებით უარყო, როგორც დავინახეთ ბიუჯეტიდან მოყვანილ მოკლე ცნობებიდან.

რომ სიტყვა უფრო არ გავაგრძელოთ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: გორის და სხვა ანალოგიურ მაზრების მეურნეობის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარეობს ადგილობრივი შემოსავლის ნორმალური ზრდა იმ რაოდენობით, რომელიც მაზრას საშუალებას მისცემს მომავალ წლისათვის ისეთი ბიუჯეტი ააგოს, **რომელიც დამყარებული იქნება უმთავრესად საკუთარ ეკონომიურ ნიადაგზე.** ჩვენ ვამბობთ: **უმთავრესად** იმიტომ, რომ სპეციალური მიზნობრივი დახმარება მასწავლებლებისათვის ჯერ-ჯერობით მაზრებს უნდა შეენახოს. ამიტომ ფინსახკომის პროექტი არ გულისხმობს მომავალი წლიდან სრულიად უდეფიციტო ბიუჯეტებს.

იმ ქაოტიური მდგომარეობის სრულიად აღმოსაფხვრელად, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ და რომელიც მეტად დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ადგილობრივ მეურნეობას, ფინსახკომის პროექტი უნდა ჩაითვალოს არა „ძალათ მაცხონეობათ“, არამედ სრულიად დროულ ღონისძიებათ, რომლის განხორციელებას თან უნდა მოჰყვეს საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის საერთო გაჯანსაღება.

ვ. ორჯონიკიძე.

პარტიული ცხოვრება

სადელეგატო კრებების გადარჩევა

(საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ცირკულიარი)

მოსკოვი, 13 ივლისი. საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ მიმართა ყველა ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალურ და საკავშირო კომპარტიის საოლქო საგუბერნიო კომიტეტებს ცირკულიარით სადელეგატო კრებების გადარჩევის შესახებ.

ცირკულიარში ნათქვამია: „დელეგატების მომავალი გადარჩევა მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ მშრომელი ქალების ფართო წრეების ყურადღება მივაპყროთ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოჭრილ მორიგ ამოცანებს. **მშრომელმა ქალებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას, საბჭოების გამოცოცხლებას, მომჭირნეობის რეჟიმს და ფასების დაკლებას.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კამპანიის იმ მიზნით გამოყენებას, რომ მუშა და გლეხ ქალების მასები ჩაბმული იქნან თავდაცვა-ავიაქიმის პრაქტიკულ მუშაობაში წითელარმიის აქტიურად დასახმარებლად.

აუცილებლად უნდა განემარტოს მუშა და გლეხ ქალების მასებს, რომ ქვეყნის თავდაცვითი უნარის გაძლიერება, მისი სამხედრო ძლევამოსილების გაძლიერებასთან ერთად, მოასწავებს აგრეთვე ყოველნაირი სახის სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებას.

აღმოსავლეთის რესპუბლიკებსა და ოლქებში დელეგატ ქალების გადარჩევის კამპანიის ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ქალთა მასების ჩაბმა ქვეყნის თავდაცვისა და სოციალისტური მშენებლობისთვის წარმოებულ აქტიურ მუშაობაში და აგრეთვე საზოგადოებრივი მუშაობაში აღმოსავლეთის მშრომელ ქალების მონობის უღლისაგან განსათავისუფლებლად. (ადს).

საჭიროა წინასწარი მომზადება

დღეს იბეჭდება საკავშირო კომპარტიის ცეკას ცირკულიარი სადელეგატო კრებების გადარჩევის შესახებ. როგორც ვიცით სადელეგატო კრებების წარსული წლების გადარჩევები ბევრ შემთხვევაში მოიკოჭლებდენ იმ მხრივ, რომ კრებებზე არ ესწრებოდა მშრომელ ქალთა სათანადო რიცხვი, კრების დღის წესრიგი არ იყო შესაფერისად შედგენილი, რომ მას მიეზიდა ქალთა მასები და რაც უმთავრესია გადარჩევა არ ყოფილა მჭიდროთ დაკავშირებული პარტიის ძირითად ამოცანებთან. თუ გადარჩევები იყო დაკავშირებული მიმდინარე კამპანიებთან, ზევრჯერ ამ კავშირს უფრო ფორმალური და ზერელე ხასიათი ჰქონდა.

საკავშირო კომპ. ცეკას ცირკულიარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადელეგატო კრებების არჩევნების კამპანიაში ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმოს მიმდინარე საჭირბოროტო ძირითად საკითხებს, როგორიცაა: **საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება, მომჭირნეობისა და ფასების დაკლებისათვის ბრძოლა და საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება.**

მთავარი, რაზედაც უნდა იზრუნონ ამ შემთხვევაში ქვედა ქსელის პარტორგანიზაციებმა და განსაკუთრებით ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებმა, ეს ისაა, რომ სადელეგატო კრებების არჩევნებმა ამ საკითხებთან დაკავშირებამ არ მიიღოს ფორმალური ხასიათი.

ამისათვის საჭიროა საკითხები უმეტეს ნაწილად დაახლოებულ იქნან ადგილობრივ სინამდვილესთან, გაშუქებულ იქნენ კონკრეტიულად ამა თუ იმ წარმოების, ან თემისა და სოფლის პირობების მიხედვით. ეს უფრო დააინტერესებს მშრომელ ქალებს პარტიის ძირითადი საკითხებით და ხელს შეუწყობს სადელეგატო კრებების არჩევნების აქტიურად ჩატარებას.

რომ არჩევნები ასეთი წესით ჩატარდეს, საჭიროა წინასწარი მუშაობა. უნდა დამუშავებულ იქნას ქალთა საარჩევნო კრების დღის წესრიგი, უნდა შერჩეულ იქნას შესაფერი მომხსენებელი, მოეწყოს წინასწარი კრება ქალთა აქტივისა და სხვა.

თუ მოსამზადებელი მუშაობა სათანადოთ იქნა ჩატარებული, აშკარათ შეიძლება ითქვას, რომ სადელეგატო კრებების არჩევნების საქმე სანახევროზე მეტად წარმატებითადაა გადაწყვეტილი.

ვ. ბ—ე.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკული საკითხები

(ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი)

გუშინ საღამოს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ლენინის რაიონული კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: უჯრედების საანგარიშო კამპანიის შედეგები, რომლის გარშემოც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გუდავაძე.

მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა უჯრედების მიღწევები. ამ ბოლო დროს უჯრედებმა შესძლეს გეგმიანი მუშაობის წარმოება, რასაც შესაფერი ნაყოფი მოაქვს. ამასთან ერთად მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლულევანებებს.

პარტიის ზრდა ვერ იყო ნორმალური. პარტია ჩვენს რაიონში უკანასკნელ თვეებში ან სულ მცირე პროცენტით იზრდებოდა — ან კიდევ მეტად მოსამსახურეების ხარჯზე. უკანასკნელ ხანებში — პარტიის ზრდის საკითხი მოგვარდა. აღებულია კურსი პარტიაში დაზგის მუშების მოსაზიდავად. პარტიულ აღწერას გამორჩა 40 წევრი. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ 1924-წ. 25 წ. პარტიაში ჯგუფურად შედიოდენ მუშები და ამ სტიქიური დენის დროს მექანიკურად შევიდენ პარტიაში ისეთი პირებიც, რომელთაც დიდი სურვილი პარტიაში შესვლისა არ ჰქონდათ.

აღწერის გარეშე დარჩენილთა შორის 36 კაცი პარტ-აღწერამდის გარიცხულნი იქნენ პარტიიდან, როგორც პასიური ელემენტები. რაც შეეხება მუშაობის განაწილებას აქტივის შორის —აღნიშნავს ამხ. გუდავაძე — ეს საქმე ვერ არის მოგვარებული. ეხლა რა მასიურ მუშაობას, მომხსენებელი ამბობს — თუ უჯრედების ღია კრებებზე, შერჩეულ არ იქნა ისეთი საკითხები, რომელნიც დააინტერესებს უპარტიო მუშებს. შეუძლებელია მასიური მუშაობის გაღრმავება. მსხვილ ქალაქების წარმოებაში შემოღებულია შესვენების დროის ხმამაღალი კითხვა გაზეთების და სხვა ჟურნალების. ჩვენში კი დღემდის ეს ვერ მოგვარდა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კომკავშირის ხელმძღვანელობის საკითხზე და ამბობს, რომ კომკავშირიდან ხშირია საყვედურები პარტხელმძღვანელობის შესახებ.

ჩვენ გვყავს რამდენიმე ამხანაგი მიმაგრებული კომკავშირზე, მაგრამ მათი მუშაობა დამაკმაყოფილებელი არაა. ამიტომაა, რომ კომკავშირელები გაიძახიან: „ჩვენ არ გვინდა სტუმრები —მოგვეცით ხელმძღვანელები". ეს გარემოება ჩვენს წინაშე სვამს საკითხს კომკავშირში პარტხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

მოხსენების გარშემო ვრცელ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ლ. შქარაშვილმა, ვოლსკიმ, განიშანმა, ვოიკოვმა, ბეჟანოვმა, ნონიკაშვილმა, ათაბეგოვმა, თეზაძემ, მელიქაძემ და ბატაძემ. პლენუმმა მოისმინა ამხ. გუდავაძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი უჯრედების მუშაობის გაცხოველებისათვის.

ნ. ფურცელაძე.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობის შედეგები

(მე-4 რაიონის პლენუმი)

გუშინ, აღმასკომის დარბაზში გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) თბილ. ორგანიზაციის მეოთხე რაიკომის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) პოლიტ-სკოლების მუშაობის შედეგები და 2) პარტიაში მისაღებ ამხანაგების დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ხანაიკინა,** რომელმაც აღნიშნა თუ როგორი წარმატებით მიმდინარეობდა ამ წელში პოლიტ-სკოლებში მეცადინეობა. დასაწყისში—ამბობს მომხსენებელი—ჩვენ გვქონდა 40 სკოლა. ამ სკოლების ქსელში მოხვედრილი იყო შვიდასამდე კაცი.

ნორმალური სკოლები იყო—20, მათში ირიცხებოდა—300-მდე კაცი. საღამოს სკოლები—6, მათში—150 კაცი. დასაწყისში—განაგრძობს მომხსენებელი—ადგილი ჰქონდა მეცადინეობაზე სისტემატიურ დაუსწრებლობას. რაც შეეხება ბინების საკითხს,—ამბობს, იგი — ამ მხრივ მდგომარეობა კარგი იყო, მეცადინეობა იმართებოდა სასწავლებლის შენობებში.

გადადის რა სახელმძღვანელო ლიტერატურის საკითხზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ —თ. კ. მიერ გამოგზავნილი სახელმძღვანელოები იმდენად რთული იყო, რომ ისინი არ შეეფერებოდა მსმენელთა განვითარების დონეს. ამასთანავე ხელმძღვანელთა შემადგენლობაში უმთავრესად პ.-მგ. ამხ. იყო, რომელთაც ხშირად უხდებოდათ მივლინებაში ყოფნა და ამის გამო რამოდენიმე სკოლაში ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლას.

მეთოდიური ხელმძღვანელობა ორი ხაზით მიმდინარეობდა: მეთოდ-თათბირების მოწვევით და მეთოდ-ბიუროს მუშაობით.

იყო აგრეთვე სკოლების გამომკვლევთა ინსტიტუტი, ამრიგად გამოყოფილი იქნა 20 სკოლა, აღსანიშნავია, რომ მე-2 საფეხურის პარტსკოლის პროგრამა იმდენათ რთული იყო, რომ მისი დამუშავება სკოლებში ძნელი ხდებოდა. სკოლების მასიური გამოშვება კი ჩატარდა მაისის და ივნისის თვეებში. გამოშვება, მოხდა თბილ. კომიტეტის დირექტივის თანახმად, გამოყოფილ კომისიების საშუალებით, სულ გამოშვებულია 400-მდე კაცი. ზოგიერთ სკოლებში გამოშვება არ ჩატარდა, რადგანაც მათ ვერ მოასწრეს პროგრამის სავსებით ამოწურვა. ამასთანავე არსებულ 4-ლენ-წრიდან გამოშვება მოხდა 2 წრეში.

პლენუმის მიერ აღნიშნულ საკითხის გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც იგი საჭიროდ სთვლის მომავალ სასწავლო პერიოდში იმ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას, რომელიც გვქონდა საანგარიშო პერიოდში.

დასასრულ პლენუმმა განიხილა მიმღებ კომისიის ოქმები პარტიაში მისაღებ ამხანაგების დასამტკიცებლათ.

ვ. დ—ძე.

რა აფერხებს მუშაობას

(ჯურყვეთი, გურია)

თემის პარტიულ კომიტეტს პ.-გ. მდივანი, რომ მან დააყენოს პარტ. მუშაობის საქმე შესაფერ დონეზე, უნდა იყვეს ეკონომიურად რამენაირად მაინც უზრუნველყოფილი. ის არ უნდა იყვეს დატვირთული ოჯახური საქმეებით დღიურ საზრდოს შოვნისათვის.

ჯურყვეთის თემის პარტ. ორგანიზაცია შედარებით ძლიერ ორგანიზაციათ ითვლება, რომლის ისტორია იწყება 1917 წლიდან.

ჩვენ თემკომის მდივანს უკვე ორი წელია აღარ ეძლევა ჯამაგირი. ეს გარემოება, ცხადია, უარყოფით დაღს ასვამს პარტ. მუშაობის საქმეს.

მიზეზად ჯამაგირის შეწყვეტისა მომჭირნეობას ასახელებენ, მაგრამ მომჭირნეობა, სადაც ეს საქმის დაბრკოლებას გამოიწვევს, ვგონებ არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

კარგი იქნება თუ გურკომი ამის გამო რაიმე ზომებს მიიღებს.

ყმელი.

საბჭოთა აღმშენებლობა

თბილისის კეთილ-მოწყობა

ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სახის სამუშაოები: მოიკირწყლა ქუჩები 1500 კვადრატ. საჟენის მანძილზე, ასფალტით მოიგო პლეხანოვის პროსპექტი 300 კვად. საჟენზე; შეკეთდა და ახლად დაიდო ქვაფენილები; გაყვანილ იქნა ერთი ვერსის მანძილზე ქალაქის კანალიზაციის მაგისტრალი, ვაკეში გაითხარა წყალშესაკრეფი არხები 47 დესეტინის მანძილზე, ხოლო სუნჟენის რაიონში 40 დესეტინის მანძილზე. იქვე გაყვანილია ღობე ერთი ვერსის მანძილზე. დაითესა და დაირგო მამადავითის მთაზე და სუნჟენის რაიონში 70 დესეტინამდე.

ამჟამად მიმდინარეობს და მალე დამთავრდება 26 კომუნარის სახელობის ბაღის ზედა ნაწილის შეკეთება; განახლდა [illegible], აბასაბასის და ყოფილ ექსარხოსის ბაღები.

ახლად შენდება ბაღი ყოფილ გოგილოს აბანოსთან.

შეკეთდა ქალაქის მთავარი [illegible]: შეკეთდა შენობა ვერაზე ცეცხლისმქრობელთა რაზმისათვის, პირველი რაიკომისათვის შენდება შენობა ნაძალადევში, მთავრდება ქალაქის მესამე საავადმყოფოს შენობის აგება და სხვა.

სააღმშენებლო ქვის ქარხანა

ამას წინეთ ქუთაისში გაემგზავრა სპეციალისტთა კომისია გეოლოგ გეინტუმის ხელმძღვანელობით, რომელსაც თბილისისა და ქუთაისის აღმასკომის დავალებით უნდა მოეხდინა ქუთაისის მახლობლად მდებარე რაიონების გეოლოგიური გამოკვლევა სააღმშენებლო და საფილაქნე ქვების ქარხნის გახსნის მიზნით.

კომისიამ დაათვალიერა გელათის, სოფ. კურსების (ტყიბულის ახლო), ოფირჩხეთის და კიბულას უბნებში მდებარე ქვის ბუდობები და გამოარკვია, რომ საუკეთესო ხარისხის საფილაქნე ქვა და სააღმშენებლო ქვის მასალა მოიპოვება ოფირჩხეთში, კიბულაში, ქვა-თავაში და სოფ. კურსების მახლობლად. აღნიშნულ რაიონებში ქვის მარაგი ბევრია.

ქვის ნიმუშები ჩამოტანილია თბილისში და ახლო ხანში ამ ნიმუშებს გაგზავნიან ლენინგრადში გამოსაცდელად. ქვების ნიმუშების გამოცდის შემდეგ, ზაფხულის მიწურულში, გადაწყვეტილია, ადგილობრივ გაიგზავნოს გეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის ქვის ბუდობების საკითხებს. შედგენს ყველა აღნიშნულ რაიონების გეოლოგიურ რუქებს და წარუდგენს თავის დასკვნებს ქუთაისისა და თბილისის აღმასკომებს.

საბოლოო გამოკვლევების დასრულების შემდეგ თბილისის და ქუთაისის აღმასკომები, თანახმად მათ შორის დადებული ხელშეკრულებისა, შეუდგებიან ქვის დასამზადებელი ქარხნის აგებას.

ფანერის ახალი ქარხანა სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის სატყეო აგარაკები ცნობილია საუკეთესო ჯიშის წიფლის ტყეებით. ერთად-ერთი გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის (ცხინვალში) მთავარ მასალას წარმოადგენს წიფლის ხე, რომლიდგანაც ქარხანა ამზადებს მაგიდებს, სკამებს, ტახტებს და სხვა ავეჯეულობას. მაგრამ სამხრეთ-ოსეთის წიფლის ტყეების საექსპლოატაციოდ საკმაო არ არის მხოლოდ ცხინვალის ქარხანა. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მომავალ სამეურნეო წლიდან თვით სატყეო აგარაკში აშენდეს და მოეწყოს ფანერის ახალი ქარხანა.

ქარხნის პროექტის შედგენა მინდობილი ჰქონდა პროფ. როდერს, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე თბილისის ხის დასამუშავებელი დიდი ქარხნის პროექტის შედგენა. პროფ. როდერის პროექტით სამხრეთ-ოსეთში უნდა აშენდეს ისეთი ქარხანა, რომელიც თავის პროდუქციით დააკმაყოფილებს ახლო აღმოსავლეთის და ხმელთა შუა ზღვის სანაპიროების ბაზარს.

ქარხნის ასაგებ ადგილად არჩეულია საფალავანის სატყეო აგარაკი, რომელიც განსაკუთრებით უხვია საუკეთესო ჯიშის წიფლის ხეებით.

სვანეთის სიმდიდრეები

გუშინ სვანეთიდან დაბრუნდა სამთო მრეწველობის ტრესტის მმართველის მოადგილე ი. ელბაქიძე და გეოლოგი ბახტაძე, რომლებიც გაემგზავრენ სვანეთში მაისის ბოლო რიცხვებში.

ი. ელბაქიძის გადმოცემით მათ გამოიკვლიეს სვანეთში მდებარე მადნეულობის დღემდე ცნობილი ყველა ბუდობები და აღმოაჩინეს ახალი მადნებიც. გამოკვლეული და დათვალიერებულია სპილენძის, ტყვიის, გოგირდის, ალმადანის და ოქროს მადნეულობა. როგორც ახლად აღმოჩენილი, აგრეთვე უკვე ცნობილი მადნების ნიმუშები ჩამოტანილია თბილისში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თავდაცვის კვირეული

ახალციხე, 12 ივლისი. თავდაცვის კვირეულის მეორე დღეს მთელს მაზრაში მოწვეულ იქნა ქიმიური მრეწველობისა და თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებათა უჯრედების სხდომები, რომლებზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები თავდაცვისათვის ქვეყნის მომზადების შესახებ.

მოხსენებების შემდეგ მოხდა წევრების ჩაწერა თავდაცვის საზოგადოების უჯრედებში, მშრომელთა წრეებში, ქიმიურ რაზმებში და სხვ.

იქვე ვრცელდებოდა ლიტერატურა. (ადს)

გრიგალი გორში

გორი, 12 ივლისი. **12 ივლისს, საღამოს 5 საათზე ქარელის, გომის, წითელ ქალაქის, კავთისხევის, ქვემო-ჯავის, შინდისის, ტყვიანის, მეჯვრის-ხევის და ქალაქ გორის რაიონებს და საველეთიდან გადაუარა გრიგალმა და სეტყვამ. დანგრეულია რამდენიმე სახლი. გრიგალმა ბევრ სახლს გადახადა სახურავი, ბევრი ხეა მოთხრილი. საგრძნობლად დაზარალდა ბაღები და ნათესები.**

ზარალის გამოსარკვევად არჩეულია სპეციალური კომისია. (ადს)

აჭარისტანი

უცხოელი მეზღვაურები

ბათომი, 12 ივლისი. წყალზე მომუშავეთა კავშირის კედლის გაზეთ „დევიატი ვალ"-ში უკანასკნელ დროს თანამშრომლობა დაიწყეს საზღვარგარეთელ გემების მეზღვაურებმა. გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ჰოლანდიის გემ „კატენდრეხტ"-ის და ინგლისური გემ „ლიუცელლუმ"-ის მეზღვაურთა წერილები. წერილები შეეხება როგორც პოლიტიკურს, ის პროფესიონალურ საკითხებს. (ადს).

სანაოსნო სპორტი

ბათომი, 12 ივლისი. სანაოსნო სპორტის სექციის ფლოტილია შევსებულია ამ დღეებში ჩაშვებული ორი ახალი იალქნიანი გემით, რომლებიც აშენებულია ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს და პროფსაბჭოს ხარჯზე. (ადს).

საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვება.

წერილები

ხულიგანი სანდრო ორაგველიძე

(რესპუბლიკის პროკურორის საყურადღებოთ)

ა.-კ. რკინის გზის ნავთსადგურის სამსახურს დაუვალებია ვინმე სანდრო ორაგველიძისთვის მუშების შეგროვება სადგურ ევლახში ნავთსადენის მილებზე სამუშაოთ.

მოქ. ორაგველიძე ამ მიზნით გაემგზავრა თავის სოფელში ლანჩხუთში. ეს ვაჟბატონი იმდენად გაკადნიერდა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც კი დაარწმუნა თავის კეთილსინდისიერობაში და შეცდომაში შეიყვანა. მოიწვია მიტინგი, გაუკეთა მოხსენება გლეხებს, რომ ვინც მოისურვებს ჩემთან წამოსვლას ევლახში სამუშაოდ, თითო მუშა დღეში მიიღებს შვიდი მანეთიდან ცხრა მანეთამდე. საწყალი გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბევრმა განაცხადა სურვილი წასვლაზე. გადაიღეს სურათები და მოწმობებთან ერთად გადააბარეს მოქ. ორაგველიძეს. პირველი პარტია რიცხვით ორმოცდაათი კაცი 23 ივნისიდან უკვე მზად იყვენ წასასვლელად. წინასწარ ყველა გააფრთხილა, რომ რაკი მოწმობები მე მაქვს ყველასი, ეხლა წასვლაზე უარის თქმა ყოვლად შეუძლებელია და თუ ვინმემ გაბედა უარის თქმა ვაი მისი დღე, ორ დღეში მილიცია კარზე მიადგება და თითოეულს ჯარიმას გადაახდევინებს 25 მანეთამდე. ასეთი სიტყვების შემდეგ ზოგი სიხარულით და ზოგი შიშით გაყვენ ორაგველიძეს. მატარებელში ჩასხდომის დროს გამოუცხადა გლეხებს, რომ თბილისში ჩასვლისთანავე მიიღებთ სახარჯო ფულსო. როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიც ტყუილს მოკლე ფეხი დაურჩა. მშიერი გლეხები ჩავიდენ თბილისში, მათ ერთი კაპეიკიც არ მისცეს ისე გაუძახეს ევლახში. აქ კი უბედურება უბედურებას დაემატა: არც ბინა, არც საჭმელი, არც სასმელი არ იშოვება. ხუთი მაური დაურიგეს მუშებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ სამუშაო იარაღებიც აღარ იყო. სამი დღე ეყარენ მოტყუებული გლეხები სადგ. ევლახის ბაქანზე კოღოების საწუწნავად. ამ უბედურების დროს ორაგველიძე გაუძვრა გლეხებს და თბილისში ამოყო თავი. სიმშილით დახოცილი გლეხები ისევ უკან წამოვიდენ და თბილისში მიადგენ ნავთსადენის სამსახურს, რომლის უფროსმა კატეგორიული უარი განაცხადა მუშებისთვის ასეთი ხელფასის მიცემაზე. ორაგველიძის სიტყვები გამოდგა მტკნარი სიცრუე. პირში ჩალა გამოვლებული გლეხები გაბრუნდენ თავიანთ სახლში. დღეს ვაჟბატონი ორაგველიძე ღიმილით აცხადებს—აბა როგორ ფიქრობდით, გაკეთება და აშენება ხომ არ გინდოდათო.

ჩვენ, გლეხები მოვითხოვთ ასეთი ხულიგნური მოქმედებისათვის ორაგველიძე და კამპანია მიეცეს პასუხისგებაში.

ორმოცდაათი გლეხის მინდობილობით

გ. კომახიძე, ი. ფირცხალაიშვილი.

არხი გაფუჭდა, საჭიროა შეკეთება

(სოფ. ხიდისთავი, გორის თ.)

ამ სოფლიდან 21 წელს გასჭრეს არხი და გაიყვანეს წყალი სოფელ დუესისათვის.

ეს არხი ზარალის მეტს არაფერს წარმოადგენს სოფელ დუესისათვის.

უვარგისათაა გაჭრილი, წყალი ვერ მოძრაობს არხში, რადგან არხი არის სწორად გაჭრილი და ზოგან დიდი აღმართი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ არხის მიზეზით დიდი მამულები გაუფუჭდა სოფელ ხიდისთავის გლეხკაცობას, ზოგს ერთი ჩარექი ვენახი ჰქონდა და ისიც ამ არხმა დაიჭირა, მაინც ხიდისთავის გლეხკაცობა შეგნებულად შეხედა და არხის გაყვანისთვის ხელი არ შეუშლიათ. სამწუხაროთ გაკეთების მაგივრად არხი გაფუჭდა, არხი დაუქმდა, რადგან სათავე, რომელიც მტკვართან იყო შეერთებული, წყალდიდობამ მოშალა და მისი გაკეთებაც აღარ შეიძლება. არხში ჩადის წვიმის წყალი, რომელიც დგას მთელს 8—9 ვერსის მანძილზე. გაჩნდა კოღო და იწამლება მთელი სოფლები.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს გორის სამაზრო აღმასკომმა და ეს საქმე გამოასწოროს.

გაბო ხარატიშვილი.

სოფლის ქრონიკა

(შორაპანის მაზრა)

— **ხიდის შეკეთება.** შორაპნის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ქვაცხის ხიდის ხარჯთაღრიცხვა და გეგმა დამტკიცებულია და ახლო მომავალში შეუდგებიან გაკეთებას. ქვაცხის ხიდი აერთებს ჩხარის და ქვიათურის გზატკეცილს და ემსახურება, როგორც შორაპნის მაზრას, ისე მეზობელ მაზრების გლეხობას.

— **განზრახულია მარელისის და მოლითის ხიდების დამთავრება** თვითდაბეგვრითი საშუალებით, რაზედაც მიღებულია სათანადო ზომები.

— **აფრასიონ მერკვილაძის სახელობის 4 წლედი.** პრეზიდიუმის დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატიდან გამოგზავნილი 500 მან. მოხმარდება ს. პალა-ტყის 4 წლედს და მას ეწოდება ძველი რევოლიუციონერის აფრასიონ მერკვილაძის სახელი.

— **იარმარკობა.** სამაღმასკომმა დააკმაყოფილა ბოსლევის თემსაბჭოს შუამდგომლობა ბოსლევში იარმარკის გახსნის შესახებ.

— **ახალი ელსადგური.** სამაღმასკომმა დაამტკიცა ხელშეკრულება დადებული თბილისის აღმასკომთან ქ. ზესტაფონში ახალი 150 ცხენის ძალიანი აგრეგატის დადგმის შესახებ.

მუშათა ცხოვრება

თბილისის საქონლის სადგურში

ზაფხულის პერიოდში თბილისის სადგურში ბარგის გაგზავნა-გამოგზავნამ, დაცლამ და სხვ. ძლიერ ფართო ხასიათი. ხშირია შემთხვევა, როცა მრავალი საქონელია მისაღები და გადასაგზავნი, საბარგო კონდუქტორებს კი 45 წუთი აქვთ ბარგის მისაღებად. მეტი რომ იმუშაონ, არავინ არ აძლევს ზედმეტ ნაშრომს და 45 წუთში კი ყველას ვერ ასწრებს; ამას ისიც ერთვის, რომ ვაგონები არაა საკმაო. შედეგი კი ისაა, რომ ბევრი ბარგი რჩება გადაუგზავნელი. 8 ივლისს დარჩა უამრავი ბარგ-საქონელი, რომელზედაც სათანადო ოქმიც შეადგინეს. ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს სადგურის უფროსს და მის თანამშრომლებს. დაზარალებული რჩებიან ბარგის პატრონებიც, რომლებიც თავის დროზე არ ღებულობენ მას. ზარალობს აგრეთვე რკინის გზაც და მუშებს ხომ ორმაგი მუშაობა უხდებათ.

ამ გარემოებას სასწრაფოთ უნდა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი—ლი.

ჩვენი რედკოლეგიის მუშაობა

(კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი")

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს კედლის გაზ. რედკოლეგიამ ამას წინეთ მოაწყო ქარხნის კედლკორების საერთო კრება, სადაც განიხილეს ძველი კოლეგიის მუშაობა და ახალი მუშკორთა წრის გამოყოფა. ძველი რედკოლეგიის ანგარიშიდან გამოირკვა შემდეგი: წინანდელი სარედაქციო კოლეგიაში 7 კაცი შედიოდა. პირველ ხანებში ყველამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი კედლის გაზეთის გამოშვებას, მაგრამ, სამწუხაროთ, შემდეგ გაზეთის გამოშვება დაეკისრა 2-3 კაცს. მიუხედავად ამ არანორმალურ მდგომარეობისა, კედლის გაზეთი სისტემატიურად გამოდიოდა. ძველ სარედაქციო კოლეგიას გამოუშვია თორმეტი ნომერი. კედლის გაზეთის ირგვლივ თავს იყრიან 25-ამდე კედლკორები. რაც შეეხება მუშკორთა წრეს, იგი არ იყო ჩამოყალიბებული, მეცადინეობდა მხოლოდ [illegible] წრე, რომელმაც უკვე გაზ. „მარტაკოხში" დაიწყო წერა.

ანგარიშში აღნიშნული იყო აგრეთვე ნაკლიც. კრებამ ძველი სარედაქციო კოლეგიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩია ახალი რედკოლეგია 7 კაცისაგან, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას; მან 9 ივლისს გამოუშვა მორიგი კედლის გაზეთის მე-7 ნომერი სათაურით „წითელი მეკოლოფე". გაზეთი, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით დამაკმაყოფილებელია და ეხება ქარხნის ყოფა-ცხოვრებას, წარმოებას და სხვ., რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს მის ხელმძღვანელთ.

ვუსურვებთ მათ მუშაობას წარმატებას.

მუშკორი ვანო.

ლითონტრესტის მე-2 ქარხანა

8 ივლისს შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, დღიურ წესრიგში იდგა ქარხნის გადატანა ყოფ. ხოშტარიას ქარხანაში გადატანის მიზნით, თავდაცვის კვირეულის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის გამგემ ამხ. ტერ-ავეტიკოვმა, რომელმაც გაუზიარა კრებას თავისი მოსაზრება ქარხნის გაფართოების შესახებ. ქარხანა შესაკეთებლად ლითონ-ტრესტს 30.000 მანეთი აქვს გადადებული ხარჯთ-აღრიცხვით.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიზანშეწონილად სცნო გადადგმული ნაბიჯი და სურვილი გამოთქვა ოქტომბრამდე ქარხანა გადატანილ იქნას ახალ ბინაზე.

მეორე საკითხი გააშუქა ამხ. იუზბაშევმა, რომელმაც გასაგები ენით განმარტა თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა და მოუწოდა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო ამხანაგებს ჩაეწერონ ავიაქიმის საზოგადოებაში.

დამსწრეთ სურვილი გამოთქვეს ავია-ქიმის წევრობაზე და არა წევრობის ჩაბმან ამ საზოგადოებაში.

შაქრო ნავთლუღელი.

გადაავარჩინეთ სპეკულიანტებს

(ქუთაისის აღმასკომის საყურადღებოდ)

ქალაქ ქუთაისში აკაკი წერეთლის ქუჩაზე (კახიანოურში) არის ვინმე გაბრიჩიძეების ორი დუქანი: ერთი საწვრილმანო და მეორეც სასადილო. გარდა ამ ორი დუქნისა ამ რაიონში არ მოიპოვება არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო და აღნიშნულ ვაჭარს მიცემული აქვს სრული საშუალება გაყვლიფოს ახლო-მახლო მცხოვრებნი.

გაბრიჩიძე ძალიან გამოცდილი კაცია, იგი ყოველ დილით - უთენია გამოდის ბაღდათიდან მომავალ სოფლელებს შესახვედრად, ხელის ფასად იძენს მათგან ჩამოტანილ პროდუქტებს და იქვე სამაგიეროთ გლეხებზე ერთი-ორად ჰყიდის ქალაქის ნაწარმოებს.

საჭიროა არის აქ ქუჩაზე აიხსნას ერთი კოოპერატიული სავაჭრო.

მუშკორი დოტო.

სცენები „ზაქტპოს" მაღაზიასთან

— ეე, ძია შვილო, საით მიგაქვს, ჯერ ფული დასტოვე.

— მაიცა რა, კაცო, ფულს ხვალ მოგცემ.

— ეხლა მოიტა, ან არა და საქონელი დამიბრუნე... ყვირის ისევ პირველი.

— ვაჰ, რა ფინთი ვინმეა,—ჯავრობს მეორე,—კაცო, ადამიანი ხარ თუ ძაღლი,—გეუბნები ეხლა თან არა მაქვს მეთქი.

— არა გაქვს—ჩემი საქონელი უკან მოიტა.

ამდენი ვიწვალე, საქონელი ძლივს გამოვაძვრინე „ზაქტპოდან", განა ჩემი შრომა ფული არ ღირს? მოიტა—და ქაღალდში გახვეულ მანუფაქტურას ერთი-მეორეს ხელიდან სტაცებენ.

— მაიტა.

— მაიცა, ვაჰ! და ასე დაუსრულებლად.

ხალხი გროვდება და კითხულობს რაშია საქმე.

გამირკვა:

„ზაქტპოში" ვილაცას მსუქანი ხელი ტრიალებს, რომელიც კერძო პირებზე ჰყიდის იშვიათ საშოვნელ ფართალს და იქვე „ზაქტპოს" წინ დალალები ერთი-მეორეს ეჭიდებიან. ერთი დალალი ცოტა მეტ ფასში აძლევს ფართალს მეორე დალალს, ზედმეტ თანხას სახელოთ ჰპირდება და ამიტომ დავობენ. ისინი კოოპერატივის საქონლით თავისუფლად ვაჭრობენ. მუშკოოპის მაღაზიებთანაც ხშირია ასეთი ამბები.

საჭიროა ეს გათამამებული ხალხი დაისაჯოს

მუშკორი ა. გვ—ძე.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— **მოიჯარადრის ონებები.** თბ. 1-ლი კლასის ბუფეტი იჯარით აქვთ აღებული მოიჯარადრე კვარაცხელიას და ცხომელიძეს: მათთან 13 კავშირის წევრი მუშაობს, სამი მათ შორის არაა დაზღვეული. თუმცა გააფრთხილეს ისინი ამის გამო. ჯამაგირის მიცემასაც ძლიერ აგვიანებენ და „დღეს - ხვალობით" აჭიანურებენ საქმეს, ამის გამო გამო-კვების კავშირის ადგილკომმა ადმინისტრაციულ ფურცელიც კი გამოიტანა, მაგრამ დაგვიანება ძველიც და ახალიც მატულობს.

ქალბატონი ცხომელიძე კი, რომ მოიშორებია თავიდან მუშები ბორჯომის ქ. № 12-დან გადაიდა 1-ლი კლასის ქალთა საპირფარეშოში ბინათ და თავისი ოთხი ოთახი შვილებს დაუტოვა დაქირავებით შემდგომ, თვითონ კი საბინაო დავთარიდანაც ამოიწერა: ვითომც მას არაფერი გააჩნია. რომ თავიდან მოიშოროს მუშების დავალიანება. ისინი ასე გაიძახიან: „არაფერი გვაქვს და რას წაგვართმევენ"-ო.

ამის სინამდვილე ვინმემ აუცილებლათ უნდა გამოარკვიოს.

ვ-ღ.

— **უხეშად გვეპყრობა.** თბ. საქონლის სადგურზე უფროს მუშათ მუშაობს ვ. ზარაბაძე, რომელიც ძლიერ უხეშად და უჟღირად ეპყრობა თავის ხელქვეით მუშებს. ხშირათ არის შემთხვევა, როცა ზარაბაძე წუნუას ძლიერ გავლენის ქვეშ ქუჩური ლანძღვებით უმასპინძლდება საწყობებში მუშებს.

კარგი იქნებოდა, რომ ამ ვაჟბატონს ვინმე ლაგამს ამოსდებდეს.

ქვიშხეთელი.

— **გაგვიხათეთ ქუჩა.** მე19 უბანში შრომის ქუჩაზე ერთი სანათური გვქონდა და ისიც ჩაგვიქრეს — არც ზაჰესის და არც სხვა სინათლე. გვეუბნებიან ქუჩის ფარნები უნდა გააკეთოთ, თორემ დაგვიჯარიმებთო. საჭიროა „ტელ"-ის სამმართველომ ყურადღება მიაქციოს ჩვენ მუშათა უბანს.

მუშა გ. ამირიძე.

მუშათა ქრონიკა

— **მესირეების შტატის გადიდება.** ბათომის საწარმოო მიმართვა ექსპლოატაციის სამსახურის პირველ განყოფილების უფროსს გაადიდოს სადგ. ბათომში მესირეთა შტატი 4 კაცით.

— **საჩვენებელი ნიშნები და ბუკები.** სადგ. ბათომის მესიგნალეებისათვის საწარმოო თათბირმა გადასწყვიტა შეიძინოს საჭირო რაოდენობა საჩვენებელ ნიშნებისა და ბუკებისა.

— **ჭრა-კერვის კოლექტივის დაარსება.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირმა უმუშევარ ქალებისათვის თბილისში მოაწყო ჭრა-კერვის კოლექტივი.

— **სასადილო უმუშევართათვის.** შორაპნის სამაზრო პროფბიურო ახლო მომავალში ქ. ზესტაფონში გახსნის იაფ-ფასიან სასადილოს.

— **პროფწრის დაარსება.** ხაშურის უფკავშირმა საჭიროდ სცნო ქ. სურამის რადიო-[illegible] პროფწრის დაარსება.

— **პროფბიუროს პლენუმი.** 15 ივლისს შორაპნის პროფბიურო ქ. ჭიათურაში იწვევს ამავე პროფბიუროს გაფართოებულ პლენუმს.

— **მსროლელთა წრის დაარსება.** ხაშურის ადგილობრივი რკინის გზის კლუბში დაარსდა მსროლელთა წრე.

ვ. ჯონ ბრაუნი თბილისში

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან

გუშინ დილით ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირის გენერალური მდივანი ვილიამ ბრაუნი მიიღო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა, რომელთანაც ბრაუნს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

საუბრის დროს ბრაუნს აინტერესებდა, თუ როგორ ხორციელდება არჩევნები, როგორ არის მოწყობილი ადგილობრივი ხელისუფლება, როგორი დამოკიდებულებაა საქართველოს და საკავშირო მთავრობებს შორის და სხვა. ყველა ამ კითხვებზე ამხ. ქართველიშვილმა დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა ბრაუნს.

საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს სახკომსაბჭოდან ბრაუნი გაემგზავრა საქართველოს პროფსაბჭოში, სადაც მას საუბარი ჰქონდა პროფსაბჭოს მდივანთან ამხ. მაჩაიძესთან.

ამხ. მაჩაიძემ ბრაუნს დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა საქართველოს პროფმოძრაობის, პროფკავშირთა წევრების რაოდენობის, ცალკე კავშირების და არჩევნებითი სისტემის შესახებ.

ნაშუადღევს ბრაუნმა დაათვალიერა ქალაქის ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილები.

ვ. ბრაუნის გამგზავრება

საღამოს ვილიამ ბრაუნი და ამხ. მორის ხოლდმანი გაემგზავრენ ბაქოში, სადაც დარჩებიან ორი-სამი დღე.

ბაქოდან ბრაუნი დაბრუნდება ბათომში და იქიდან ზღვით გაემგზავრება ყირიმში, საიდანაც შემდეგ ჩავა მოსკოვში.

ვ. ბრაუნი თავის შთაბეჭდილების შესახებ

ბაქოში გამგზავრების წინ ვილიამ ბრაუნმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები, რომლებიც მან მიიღო თბილისის დათვალიერებისაგან.

— ინგლისის პრესა,—სთქვა ბრაუნმა,—მეტად დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს, რადგან საქართველო 1917 წლიდან 21 წლამდე მენშევიკების ხელში იყო. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის პრესა თითქმის ყოველდღე ბეჭდავდა წერილებს ბოლშევიკების ინტრიგების შესახებ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ამიტომ მე მოხარული ვიყავი, როდესაც საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საბჭოთა კავშირში. ჩემი სიხარული განსაკუთრებით გაიზარდა, როდესაც მე ჩამოვედი საქართველოში, რომ პირადათ გავსცნობოდი ბოლშევიკების „ბატონობის" ნიმუშებს. მე აქ დავათვალიერე ფაბრიკები, ქარხნები, გამასწორებელი სახლები და სხვადასხვა დაწესებულებები და იმ დასკვნამდი მივედი, რომ თუ არსებობს სადმე ნამდვილი ტირანია, ეს მხოლოდ ინგლისშია.

საქართველოში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იშვიათმა ჰუმანიურმა მოპყრობამ პატიმრებისადმი, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის თანდათანობითი ზრდამ, სახალხო განათლების საქმემ, ერთა შორის სრული მშვიდობიანობის დამყარებამ და დიდმა შედეგებმა აღმშენებლობის დარგში.

გამასწორებელი სახლების შესახებ მე უკვე გამოვსთქვი ჩემი აზრი, ეხლა მინდა შევეხო დანარჩენ ფაქტებს, რომლებმაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ასეთია სხვათა შორის შრომის ნაყოფიერების გავლენა თქვენი მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთ თამბაქოს ფაბრიკაში მე გავიგე, რომ შრომის ნაყოფიერება 1921 წლიდან გაიზარდა 351 პროცენტით, შრომის ხელფასი კი ამავე დროის განმავლობაში გაიზარდა 234 პროცენტით. ინგლისში ჩვეულებრივ შრომის ნაყოფიერების გადიდება ნიშნავს მუშების უფრო მეტად გაყვლეფას და მწარმოებლების შემოსავლის გადიდებას. განსაკუთრებით გამაკვირვა მე იმ მზრუნველობამ, რომელსაც იჩენს თქვენი მთავრობა ფართო მასსებში განათლების გავრცელების საქმისადმი. საქართველოში განათლების საქმეზე იხარჯება რესპუბლიკის ბიუჯეტის 46 პროცენტი მაშინ, როდესაც ინგლისში ამ საქმეზე იხარჯება მხოლოდ ათი პროცენტი. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ მოწაფეების რიცხვი 94 ათასიდან, რომელიც იყო 1917 წელში, გაიზარდა 268 ათასამდე, მასწავლებლების რიცხვი კი 4.200-დან 8.880-მდე. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ეწევიან ცალკე პროფკავშირებიც მაშინ, როდესაც ინგლისის ტრედიუნიონები ამ საქმეზე არაფერს არ ხარჯავენ.

მე განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვა თქვენი აღმშენებლობითი მუშაობის ტემპს. 1925-26 წელში თქვენ აღმშენებლობაზე დაგიხარჯავთ 7 მილიონი მანეთი, 26-27 წელში კი 12 მილიონი მანეთი, ე. ი. 70 პროცენტით მეტი. ეს იმ დროს, როდესაც თქვენ თითქმის მოწყვეტილი ხართ მთელი მსოფლიოსაგან და არავითარი კრედიტებით არ სარგებლობთ.

თავისთავად ცხადია, რომ აღმშენებლობის ასეთი პროგრესი საბჭოთა ქვეყანაში მეტად აშინებს ინგლისის კონსერვატორებს. მათ იციან, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ სწარმოებს ისეთი აღმშენებლობა, როგორიც საბჭოთა კავშირში. ეს უკანასკნელი გარემოება იზიდავს ინგლისის მუშების ყურადღებას, რაშიაც არ არის დაინტერესებული ინგლისის [illegible] მთავრობა და ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმარობს ხელი შეუშალოს თქვენს მშვიდობიან შრომას.

რაც შეეხება ერთა შორის მშვიდობიან განწყობილებას, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმმა ეხლა უკვე აშკარად დაამტკიცა, რომ იგი ერთად-ერთი სოციალური ფორმაა, რომელსაც შეუძლია გადასწყვიტოს ნაციონალური საკითხი.

მართალია, ტეხნიკურად თქვენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილები ხართ, მაგრამ თქვენი აღმშენებლობის პროგრესი იმდენად დიდია, რომ თქვენ ჩქარა დააღწევთ თავს ამ ჩამორჩენილობასაც. თქვენ სდგეხართ ერთად-ერთ სწორ გზაზე, თქვენი მუშაობა ამტკიცებს, რომ საბჭოთა სისტემა სწორია. თქვენმა მიღწევებმა უნდა დაარწმუნოს ყველა ქვეყნების მუშები იმაში, რომ იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობა თანდათან იშლება, თქვენი მეურნეობა მტკიცდება და ვითარდება.

თქვენი თვითეული მიღწევა აღმშენებლობის ფრონტზე თანდათან მეტ საშიშროებას უმზადებს ყველა ქვეყნების კაპიტალისტებს. ამიტომ არის, რომ ინგლისის და სხვა ქვეყნების ბურჟუაზია ემზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მე არ მინდა აქ რაიმე ვიწინასწარმეტყველო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ინგლისი ვერ გაბედავს აშკარად დაესხას თავს საბჭოთა კავშირს.

მე ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო, რომ ინგლისის თვითეული პროფმუშაკის მთავარ ამოცანას ამჟამად შეადგენს ის, რომ მან ყველა ზომები მიიღოს ომის თავიდან ასაცილებლად. და ინგლისის მუშების თვითეული ბელადი, რომელიც უარს იტყვის ამ ამოცანის შესრულებაზე, გახდება იმ საქმის მოღვაწედ, რომლისთვისაც ის იბრძვის.

„საქ. მარგანეცის" შეთანხმება ა.-კ. რკინის გზებთან

თბილისში დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს და სააქციო საზ-ბა „ქართული მარგანეცი"-ს წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. კომისიამ სადგურ ჭიათურაში, შორაპანში და ფოთში გამოიკვლია მარგანეცის გადაზიდვის პირობები.

ყველა იმ საკითხებში, რომლებიც აქამდე გამოურკვეველი იყო, ეხლა უკვე მიღწეულია შეთანხმება.

მარგანეცის ექსპორტის გადიდების გამო, რკინის გზა სადგ. ჭიათურაში დგამს ვაგონების ასაწონ მესამე სასწორს. „ქართული მარგანეცი"-სათვის საჭირო ნავთის პროდუქტების გადასაზიდათ ვიწრო გზაზე მავალ ცისტერნების პარკი გადიდებული იქნება 10 ცისტერნით.

მთელი მოძრავი შემადგენლობა, რომელიც მუშაობს მარგანეცის გადაზიდვაზე, შეკეთდება კაპიტალურად. შეთანხმების თანახმად, სადგ. შორაპანში განზრახულია მარგანეცის მექანიკური გადამტვირთველის მოწყობა. გადამტვირთველს „ქართული მარგანეცი" ახლო ხანში მიიღებს უცხოეთიდან მექანიკური გადამტვირთველის დადგმა მიღებული აქვს თავის თავზე აქციონერს.

რკინის გზამ თავის თავზე მიიღო სადგ. შორაპანში მძლავრი ამწევი მანქანის დადგმა. იგი აუცილებელია უცხოეთიდან მიღებულ მოწყობილებათა გადასატვირთავად ფართო ლიანდაგის ვაგონებიდან—ვიწრო ლიანდაგის ვაგონებში.

მარგანეცის გაზიდვა მომავალში უფრო გაიზრდება, რადგან მარგანეცით დატვირთულ ვაგონების დახარისხება იწარმოებს არა ფოთში, არამედ შორაპანში.

იმ განსაკუთრებული პირობების გამომუშავებამდე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული საკონცესიო ხელშეკრულებით, აქციონერმა მიიღო თავის თავზე დამატებითი ხარჯები დაკავშირებული ფოთში მარგანეცით დატვირთული ვაგონების მიყვანასთან ნავთსადგურში დატვირთულ ვაგონების მარგანეცის ხარისხის მიხედვით განწესრიგებისათვის ზღვის ნაპირზე კონცესიონერი გზას მისცემს საათის განმავლობაში 7 მან. 32 კაპეიკს, რაც გზის შემოსავალს გაადიდებს 300—400 მანეთით ყოველდღიურად.

კონცესიონერმა თავის თავზე მიიღო 4 მწონავის და 4 მესრის შენახვის ხარჯები. თუ კონცესიონერი დააყენებს მარგანეცით დატვირთულ ვაგონების განტვირთვას, გზის სასარგებლოდ იხდის ფულს, საერთოდ მიღებულ წესის მიხედვით.

ლიბანის სანატორიუმი

ლიბანის სანატორიუმი, რომელიც შენდება 1924 წლიდან, უკვე დამთავრდა. სანატორიუმი აგებულია ზღვის დონედან 1.368 მეტრის სიმაღლეზე. სანატორიუმის მთავარ კორპუსს, რომელიც გარშემორტყმულია ფიჭვნარებით, უჭირავს 480 კვად. საჟენი. სანატორიუმი წარმოადგენს გრძელ ორსართულიან შენობას, რომლის ყოველ ოთახს მიდგმული აქვს პატარა აივანი. ყველა ოთახებს ფანჯრები სამხრეთისკენ აქვს. თვითეული საავადმყოფო ოთახი ნავარაუდევია ორი ავადმყოფის მოსათავსებლად. კედლები შეღებილია ზეთის საღებავებით. ოთახების მორთულობა შეიცავს ორ-ორ სპირალიან საწოლს, ერთს პირსაბანს, ორ-ორ მაგიდას და ერთს ტანისამოსის შკაფს.

სანატორიუმის ცენტრალური შენობა ოთხსართულიანია. აქ მოთავსებულია დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც ორას კაცს დაიტევს. ამ დარბაზში გაიმართება კრებები, კონცერტები, კინო-სეანსები, ლექცია-მოხსენებები.

სანატორიუმის გვერდით არის სასადილო შენობა, რომელიც სანატორიუმს დახურული გალერეით უერთდება. სასადილოს ქვეშ მოთავსებულია სამზარეულო.

სანატორიუმის სახურავზე მოწყობილია სოლარიუმი, რომელიც ავადმყოფებს საშუალებას მისცემს ისუნთქონ მთის მშრალი ჰაერით.

სანატორიუმის გარშემო აგებულია შემდეგი დაწესებულებები: 63 ცხენის ძალიანი ელექტროსადგური, აბანო, სამრეცხველო, კანტორა და 4 შენობა მოსამსახურე და საექიმო პერსონალის მოსათავსებლად. ამ ჟამად სწარმოებს ამ შენობათა შინაგანი მოწყობა.

ცხრა წყაროდან სანატორიუმისათვის გამოყვანილია წყალსადენი. ამ ჟამად სწარმოებს და მოკლე ხანში დამთავრდება მუშაობა კანალიზაციის მოსაწყობად.

სანატორიუმის გახსნისთვის საჭირო ყველა აუცილებელი სამუშაოები თითქმის დამთავრებულია. აგვისტოს პირველ რიცხვებისათვის სანატორიუმი ემზადება ავადმყოფების პირველი პარტიის მისაღებად.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სრულიად საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობა

ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს შეიტანოს ამიერ-კავკასიის ცაკის 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვაში 21.555 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს ტუბერკულიოზთან მებრძოლთა ორგანიზაციების სრულიად საკავშირო მეოთხე ყრილობის მოწვევას ქ. თბილისში.

შაბიამანის დამზადების გაფართოვება

შაბიამანის საზღვარგარეთიდან შემოტანის აკრძალვის გამო, ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სომხეთის სახკომსაბჭოს დაამუშაოს საკითხი შაბიამანის დამზადების გაფართოვების შესახებ ალავერდის ქარხნებში.

კომუნალური მეურნეობის განსავითარებლად

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ დაადგინა იმ თანხებიდან, რომელიც შემოდის 1924—25 წლის ბიუჯეტის კომუნალური ფონდიდან გაცემულ სესხის დასაფარავად, დაარსებული იქნეს სპეციალური საბრუნავი ფონდი, საიდანაც დახმარება უნდა მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს კომუნალური მეურნეობის განსავითარებლად შემუშავებულ ღონისძიებების განხორციელებისათვის.

ა.-კ. შრომის კომისარიატ.

კოლეგია

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები:

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარი—ამხ. ა. ი. იაშვილი, მისი მოადგილე და ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსი — ამხ. ა. ა. ბანოვიჩი, აზერბეიჯანის შრომის სახალხო კომისარიატიდან ამხ. **გრიგორიანი,** საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატიდან ამხ. **ს. თოდრია,** სამეურნეო ორგანიზაციებიდან ამხ. **ხაჩიევი** და ერთი წარმომადგენელი სომხეთიდან, რომელსაც წამოაყენებს სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატი.

ნავთის შადრევანი

სოფელ კესამანის მიდამოებში, ელდარის რაიონში (სიღნაღის მაზრა) გლეხებმა აღმოაჩინეს ჭა, რომლიდანაც ამოდის ნავთი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთამადნო განყოფილების მსწავლულმა თანამშრომელმა ინჟინერმა ზიბერტმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ ომის წინ ელდარის რაიონში ფრანგების კომპანია ახდენდა ნავთიან ადგილების გამოკვლევას.

არსებული მასალები მოწმობენ, რომ, როგორც ელდარის, ისე შირაქის რაიონში ნავთის დიდძალი მარაგი მოიპოვება. ვარაუდით, ამ რაიონებში ნავთიან ადგილების სივრცე აღემატება აფშერონის ნახევარ-კუნძულზე არსებულ ნავთიან ადგილების სივრცეს.

ტეხნიკური კულტურების შემოსავლიანობა

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს შეიტანოს დასამტკიცებლად ა.-კ. სახკომსაბჭოში, გადამუშავებული პროექტი დადგენილებისა სპეციალური და ტეხნიკური კულტურების შემოსავლიანობის საშუალო ნორმების შესახებ; პროექტის შედგენის დროს ამ.-კ. ფინსახკომმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი დებულებებით.

ხელოვნური ბალახის თესვა ყველგან გათავისუფლებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ერთი დესეტინა თამბაქოს შემოსავლიანობა დაწესებული უნდა იქნეს ყველა რესპუბლიკებში 150 მანეთის რაოდენობით, გარდა აფხაზეთისა, სადაც ნორმად რჩება 226 მანეთი.

ჩაის პლანტაციების შემოსავლიანობის მიმართ რჩება შარშანდელი ნორმა—160 მანეთი. მანდარინის პლანტაციებისათვის დაწესებულია 400 მანეთი დესეტინაზე.

სომხეთის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა ბოსტნის ნათესების შემოსავლიანობის ნორმად 400 მანეთის დაწესების შესახებ 195 მანეთის მაგივრად უარყოფილი იქნა; ამავე დროს ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას დაევალა დაამუშაოს საკითხი მომავალ წელში ბრინჯის ნათესების სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით შეცვლის შესახებ ამიერ-კავკასიის მთელს ტერიტორიაზე.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდში 17 მან.

ალექს. სეფაშვილი, ვანია ავაზაშვილი, ანდრია სამუკაშვილი, ვასო ქანდაურიშვილი, ზურაბ ღვინიაშვილი, რომან კოკორაშვილი, გიორგი მოსაშვილი, ვანო ღვთისიაშვილი, ალექსანდრე სიჟმაშვილი, ოთარ გურასპიშვილი, ვასო სეფაშვილი, გიორგი ლეკიაშვილი, შაქრო ტოჩილაშვილი, პეტრე ცუკილაშვილი, დათა იბრემაშვილი, ვასო სეფაშვილი, ხ. სეფაშვილი.

—

მცხეთის სასოფლო გლეხკომს შემოაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად 30 მანეთი და ვიწვევ შემდეგ გლეხკომებს: ზემო ავჭალის, ქვემო ავჭალის, გრდანის და დიღომის.

მცხეთის გლეხკომის თავმჯდომარე **ა. ბარსევანიშვილი.**

—

რედაქციამ მიიღო სოფ. მუხრანში კოოპერაციის დღეს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად გამართულ სეირნობიდან შემოსული 37 მან. და 85 კაპეიკი.

ამხ. გიორგი არჩუაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის და ყველა სახალხო მოსამართლეებს.

ტარასი მგალობლიშვილი.

—

ამხ. გიორგი არჩუაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავის ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: იასონ ჟორდანიას, იპოლიტე თოფურიას, ვანია გეგეჭკორს, ბივია ცავაას, პანტელეიმონ კვარაცხელიას; ოლია ელიავას, ზინა ჯახაიას, მათიკო ჩიქოვანს, ვალოდია მიქაძეს, ლავრენტი ჯანჯღავას, დიომიდე ჯანჯღავას; დავითი გაბისონიას, კალისტრატე წოწორიას, ზოსიმე წოწორიას, სანია კვირაიას, მიხა ლაზარტუავას, სევასტი ხუროძეს, ფილიპე მამარდაშვილს, ლადო მონიავას, იოსება ლაგვილავას, მოსე გვილავას, იასონ გეგეჭკორს, თეიმურაზ ხარებავას, არჩილ კვეკვესკირიას, გრიშა დიმიტრისძე ცანავას, ბესარიონ ჯიქიას, პავლე სურმავას, ვანო გაბუნიას, არტემ გაბისონიას, ვალოდია დგებუაძეს, ალექსი ბაჩილავას, გერასიმე ნიკოსძე ცანავას, ნოე მელიტონისძე გეგეჭკორს, კაპიტონ ჯანჯღავას, კოწია ცავაას, თამარა ადამიას, რაჟდენ ქაჯაიას, ისაკი ბარაულს, სიმონ წოწორიას, რაჟდენ ხელაიას, გრიგოლ ლუკასძე გაბისონიას, კოწია გაბისონიას, იასონ შოშისძე გაბისონიას, მარკოზ ალექსისძე გაბისონიას, გიორგი კოსტასძე ხელაიას, ივანე (ჭიჭიკო) ძიძიგურს, ალექსანდრე ღურჯუმელიას, ერასტო ჭოლოკავას, იასონი ბართაიას, არტიმონ ბართაიას, არისტრახ თოფურიას; იონა მარკოზიას; გრიშა ხუროძეს, კოსტა ჭიჭილუას, გიორგი ისაკისძე სულავას, სევასტი სურმავას.

პეტრე წოწორია

—

ამხ. გიორგი არჩუაშვილის და დანელიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად.

კ. ძამოევი.

—

ამხ. გიორგი არჩუაშვილის გამოწვევის თანახმად, შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამხ. მარო ხახუტაშვილს, თამარა ჭელიძეს, მარო ჩიხლაძეს, სოფიო მაყაშვილს, გერონტი კოკელაძეს, სონია კენჭაძეს და არამ ბაბახანოვს.

თამარა შოშიაშვილი.

—

ამხ. ზონიას და პაპეს გამოწვევის თანახმად, შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ „ზაჰესის" და „რიონჰესის" თანამშრომლებს: ვახტანგ ქართველიშვილს, შაქრო ვაჩნაძეს, ინჟინერებს ალ. ჩიქოვანს, დავ. ხერხეულიძეს, ნიკ. ხაჩატუროვს, გიორგი ხუნდაძეს, პეტრე ნერსესოვს, სერგო შანშიევს, არკადი ფარსადანოვს, სიმონ ჩიქვილაძეს, მიხეილ ჯულელს, შოთა ყარალაშვილს; კონსტ. დევდარიანს, ალ. შელიას, ლონგინოზ ჩიჯავაძეს, აბრამ ზაკარდონსკის და დავით ჯავახიშვილს.

გ. ლორთქიფანიძე.

—

ამხ. ვარლამ გოლაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გამეზარდაშვილი კალისტე, მოდებაძე შალიკო, კილაძე ილიკო, მაღლაკელიძე ვასილ, მეგრელიშვილი ილია, თეთავსუ ჩაჩანიძე, სანდრო ბოგვერაძე; ოკიმე ფოფხაძე, იაკინთე თხელიძე, მიშა ბრეგვაძე, გერვასი ბრეგვაძე; ნესტორ ჯორჯიკია; მიხა ჩუბინიძე; გრიშა მღდლაძე, კოლია საყვარელიძე, შალიკო თუთუფერიძე, გრიშა ჭუასელი, ელიაზარ ქავთარაძე, დათიკო მაჭარაშვილი, გრიშა ახვლედიანი; ონისიმე მოდებაძე და ბიქტორ გიორგაძე.

მიხა შარიქაძე

ამხ. გერცელ ბააზოვის გამოწვევით შემომაქვს ჰაეროპლან: „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ მოქალაქეებს: დ. თურდოსპირელს, პოლიო ირეთელს, ილა მოსაშვილს, ლადო მაჭავარიანს, ვეფხო ფშაველს, ნარკან კურდღელაშვილს, პროფესორ გ. ახვლედიანს, დარია ახვლედიანს, ლიდია მეგრელიძეს, აკაკი ფაღავას, შიო მღვიმელს, კოტე ქავთარაძეს, გრ. საქარიჭედელს, დავით ლიხელს, თედო ბეგიაშვილს, დონს, პავლე საყვარელიძეს, სიმონ ქვარიანს, შალიკო მურავიოვს, მიშა ლვამიჩავას, ლევან აბელიშვილს, კ. ბოგდანოვსკის, შ. ჯანბერიძეს, რევაზ რევაზიშვილს, ალ. ქუთათელს, ათანასე ხარაბაძეს, დოროთე ფირცხალავას, აკაკი გვახარიას, აკაკი ქავთარაძეს, ალ. თორაძეს, პეტრე ზუმბაძეს, მიშა ბრეგაძეს, ვანო ხელაიას, სამსონ ნუცუბიძეს; ვასიკო სიფრიშვილს, ალეკო მდივნიშვილს, მიშა თაბუკაშვილს მიშა კანკავას, დავით ასათიანს, ვალოდია ნიკოლაიშვილს, ვალოდია კახიანს, ვანო ჯაბუას, კირილე ჩხარტიშვილს, შალიკო ქილაძეს, ვარლამ გელოვანს, ბესარიონ მიხ. დოქვირს, გიორგი ანტ. ჩიმაკაძეს, ვარლამ ძიძიგურს, მატრო ძიძიგურისას, რადიონ ძიძიგურს, ბიქტორ მელაძეს, კონსტ. ხუროძეს, შალვა ძიძიგურს, სპირდონ ძიძიგურს, გრიგოლ ხელაიას.

ლავროს ძიძიგური.

—

ამხ. იასონ ფირცხალავას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებელ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სოსო ბესელიძეს, სიმონ წერეთელს, ვლად. ბახტაძეს, ნიკოლოზ ლაჭყეპიანს, არჩილ შენგელიას, ალიევს, იუზბაშევს, ანდრო დგებუაძეს და შიო ნაკაშიძეს.

ამბერკი ქანთარია.

—

ცირა გოგნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეონიდა ვაშაკიძეს, ზინა მეუნარგიას, შუშანიკა დავითაშვილს, ნატალია ვახვახიშვილს, ნინა მეგრელიძეს, ქსენია დოლიძეს, ირაკლი ლონიშვილს, სიმონ გოგვაძეს, გოგი რუხაძეს და კოტე გაბაძეს.

ოლია ფრანგიშვილი.

—

ამხ. გ. მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად.

სონია მეკინლოვა.

—

ამხ. გერცელ ბააზოვის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის სასარგებლოდ ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიშა გაბუნიას, ექ. გ. კეკელიას, ექ. ე. ზაქარაიას, ექ. კ. ნარიტუშვილს, დავით ბააზოვს, მიშაა ნარსიას, პარმენ თოთიბაძეს, ბესარიონ მელიქაძეს, კაპიტონ მელიქაძეს, სანდრო თურქიას, ნიკო გრიგოლიას, ვარლამ ლომიას და ირაკლი ლომიას.

დავით აჯიაშვილი

—

„თბილისის პროლეტარიატის" ასაგებათ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ. კარაპეტ გარიბოვს, სან. ცქვიტიშვილს, დაბაისელს, დათიკო ღოღობერიძეს, გ. ავაქოვს, არ. დოშოიანს, ს. სანაძეს, მერკომ ხაჩატუროვს, ილიკო ჩხიკვიშვილს, ილიკო ნარჩემაშვილს, ბუღდან აზიანს, ხანგულოვს, ვ. მიროშნიკოვს, ვარსენიკ ჩილინგაროვს და სუმბა ხაჩატუროვს.

ვანო ქირქაშიძე.

—

ამხ. ბაბულია ჯორბენაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ევა ოქუაშვილს, მარგალიტა კვარაცხელიას, მინადორა მიროტაძეს, ანეტა რთველაძეს, ქეთო დუმბაძეს, ნინა ჯღამაძეს, ერიკო საყვარელიძეს, მარო დოლიძეს, თამარა დოლიძეს, მარო დოლიძეს, ბაბულია დოლიძეს.

ქისა მეგრელიშვილი.

—

შემაქვს მაყვალა გოგნიაშვილის გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებათ ერთი მანეთი და ვიწვევ მარგო ხოჯაშვილს, ნინო სეხნიაშვილს და ჟორა მარჩილაძეს.

ლენა ზარაფიშვილი.

შემაქვს მაყვალა გოგნიაშვილის გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებათ ერთი მანეთი და ვიწვევ ბენო მანჯგალაძეს.

გივი ზარაფიშვილი.

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ამხ. ჯიჯილავას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გ. შარაშენიძეს, ალ. ბურჭულაძეს, ი. სამსონიას, შ. მახარაძეს, კ. გვარჯალაძეს, ერმ. თოდრაძეს, არტ. მჭედლაძეს, ლ. მამალაძეს, ლ. გიორგაძეს, მ. დოლიძეს, პ. ბარამიძეს, პ. ჭანტურიას, ნ. ჟღენტს ი. შონიას, ვ. კვაჭანტირაძეს, შ. ცინცაძეს, ს. ა. ცინცაძეს, ვ. ა. მეგრელიშვილს, ლ. რამიშვილს, კ. ცერცვაძეს.

ზ. ა. მეგრელიშვილი.

ქვემოთ მოყვანილი შემოწირულებათა სია იბეჭდება ხელმეორეთ, რადგან პირველად ტექსტში შეცდომა იყო დაშვებული.

ამხ. მიშა ახალაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 10 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ფრიდონ ფრიდონოვს, ილია მელიას, სარდიონ მაღალაშვილს, დავით პურადაშვილს, სევერიანე ჩიქოვანს, ევსევი თოდუას, სევერიანე ლიპარტიანს, იოლა მაისურაძეს, ხარლამპი ბალუაშვილს.

აკაკი ჯიბლაძე.

ამხ. ივანე ჯიჯილავას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს 10 (ათი) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ფოთიდან:

კალანდაძე ივანე, ცომაია აკაკი, გაბუნია დომენტი, კვაჭაძე ევსები, გერსამია გრიგოლი, ალექსანდრია ნესტორი, კოკაია ირაკლი, გაბრავა არსენი, აფხაზავა დიმიტრი, კაკულია რემანოზი, გაბუნია იოსები, სვანიძე გიორგი, ართილაყვა ერასტი, მიმინოშვილი ალექსანდრე, კვაჭანტირაძე ვიქტორ, ზემლიცკი კონსტანტინე, კაჭარავა ვიქტორი, თურქიანცი მელიკი, ზიგვავა პავლე, კლდიაშვილი ვალიკო, ჩიჩუა ნიკოლოზ, ჩხაიძე ერმილე, ჩოჩია პავლე, კაკულია გრიგოლი, კაჭარავა ვლადიმერი, დგებუაძე მიშა, კვანტალიანი მიტროფანე, ქაქუთია ნესტორ, გაბელაია ტერენტი, მუსერიძე ალექსანდრე, კოპალეიშვილი ემელიანე, ნიკურაძე ლავრენტი, წურქავა ლავრენტი, ესაკია სანდრო, კვანტალიანი ოლიფანტე, ალხაზოვი ვანიკა, მაჩკალოვი პანაიოტი, მეტაქსა ივანე, ალხაზოვა რუბენი, ლაშხი ევგენი და კოკაია ივანე.

ახალ-სენაკიდან

ტიტრინი ნიკოლოზ, ჭანტურია ძუბა, ჯავახია ვასილ, გვასალია ერასტი, ოქროპირ, ბიგვავა მიხეილი, გუგუშვილი კლიმენტი და ძიძიგური კლიმენტი, წულეისკირი ანტონი და გაბელია კონსტანტინე.

ვლადიმერ მალანია.

დღეს შემოვიდა 118 მან. 85 კ.
სულ შემოვიდა 4.167 მან. 43 კ.

შემოწირულება მიიღება „კომუნისტი"-ს კანტორაში—რუსთაველის გამზირი 34 —დილის 9 საათიდან შუადღის 4 საათამდე.

კურორტი შოვი

კურორტი შოვი -)?"123456 კლბძრთ ლბჲ ეკონომიურ საბჭოს ა. წ. ივლისის 8-ს დადგენილებით კურორტი შოვი გადაეცა საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს. კურორტის საამშენებლო კომიტეტი გაუქმდა და კომიტეტს გამოეცხადა მადლობა მის მიერ შესრულებულ მუშაობისათვის.

კურორტის მთელი ქონების შესაფასებლად და მისაღებად დაარსდა კომისია ამხ. გ. მამალაძის (თავმჯდომარე), შ. ელიავას და ფინსახკომის წარმომადგენლის შემადგენლობით.

კურორტთა მთავარ სამმართველოს დავალებული აქვს გამონახოს თანხები 1927-28 წ. ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში კურორტების დავალიანების დასაფარავად.

საუღელტეხილო რკ. გზა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა შეუდგეს კავკასიის მთავარ ქედზე საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის საკითხის შესწავლას.

ამ მიზნით გამოყოფილი იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც იმუშავებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობით.

კომისიაში შედიან ინჟინრები: სამოილოვი (კომისიის თავმჯდომარე), ანდრონიკაშვილი, ჰეგიძე, ჯორჯაძე, თუმანიშვილი, შახბუდაგოვი, ეკონომისტი კოვალევსკი, (კომისიის მდივანი).

საჭიროების მიხედვით კომისიის მუშაობაში ჩაბმული იქნებიან ინჟ. კუჩინსკი და ფილდტი და აგრეთვე სხვა სპეციალისტები.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, კომისიის ხარჯების დასაფარავად ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის საშუალებით მიეცა 3.000 მან.

სახელმწ. უნივერსიტეტის

ექსკურსია კავკავში

8 ივლისს თბილისიდან, საქართველოს სამხედრო გზატკეცილით ჩრდ. ოსეთ კავკასიაში გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ექსკურსია პროფ. კ. კეკელიძის ხელმძღვანელობით.

ექსკურსიაში მონაწილეობას იღებდენ პროფ. ახვლედიანი, ულენტი, პროფ. ა. რაზმაძე და უნივერსიტეტის ასისტენტები, სულ 27 კაცი.

10 ივლისს კავკავში ადგილობრივმა ქართულმა ახალშენმა გამართა ექსკურსიის საპატივსაცემო საღამო, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პროფ. კეკელიძე „სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევებისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ". კრებაზე, რომელიც გაიმართა ამხ. შ. ელიავას სახელობის კლუბში და რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო, გამოვიდა აგრეთვე სწავლული—ოსი **მისიკოვი,** რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა ქართულ უნივერსიტეტში იგზავნებოდეს ჩრდილოეთ ოსეთის ახალგაზრდობაც სწავლის მისაღებად და უნივერსიტეტის საქმიანობაში მიზიდულ იქნენ ჩრდილო ოსეთის ახალგაზრდა სწავლულებიც.

კრებაზე გამოვიდნენ ახალშენის მცხოვრებთა წარმომადგენლებიც.

საღამოს შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება კავკავის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებთან სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამეცნიერო კავშირის დამყარების საკითხების შესახებ.

გუშინ ექსკურსია დაბრუნდა თბილისში.

სურებ-ჩოხატაურის გზა

სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვან ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ათი (10) მანეთი.

მიხ. კახიანი.

—:—

ამხ. არჩილ კეკელიძის გამოწვევით შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლათ **ხუთი** მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **აბელი პავლეს ძე თოდრიას, ალეკო ჟოჟიკაშვილს, არსენ არჯევანის ძე თოდრიას, მოსე თალაკვაძეს, გაბრიელ ბებურის ძე თოდრიას, ქრისტეფორე აკაკის ძე ვასაძეს, ბესარიონ ლუკას ძე თოდრიას, საველი ივანეს ძე თოდრიას, სერაპიონ გიგოს ძე თოდრიას და მაქსიმე ფილიპეს ძე თოდრიას.**

ანდრო თოდრია.

—:—

თანახმად ამხ. მელიტონ რამიშვილის გამოწვევისა, შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდში **ხუთი** მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **იონა თადეოზის ძე ჯანელიძეს, იოსებ ნადირაძეს, ელენა ალექსის ასულს კვიტაშვილს, ნატაშა სიხარულიძეს, საშა ისიდორეს ასულს ნიკოლაიშვილს, ანეტა სიმონის ასულს მჟავანაძეს, სოფიკო ოქროპირის ას. ქურციკიძეს, ქეთევან პოლიოს ასულ კალანდაძეს, ქსენია ივანეს ასულ რამიშვილს, ალექსანდრე ილიას ძე ჯაფარიძეს.**

კლარა რამიშვილი.

თანახმად ამხ. ოლია ბარამიძის გამოწვევისა შემომაქვს **ხუთი** (5) მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **შალვა ანთიძეს, ტიტიკო ულენტს, მოსე მამალაძეს, ხარიტონ ანთიძეს, აპალასე მამალაძეს, ელენა კეკელიძეს, გოგოჩა ცინცაძეს, ირაკლი გურგენიძეს, ილია აროშენიძეს.**

ნიკიფორე თავბერიძე.

—:—

ამხ. ს. ქორიძის და ქ. ბარამიძის გამოწვევით შემომაქვს ჩოხატაურ-სურების გზის სასარგებლოთ ათი (10) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **სიმონ დ. ულენტი, გრიშა ხუნდაძე, ნეოფიტე ჭეიშვილი, ნიკოლოზ გოგიშვილი, გიორგი ილარ. სიხარულიძე, სერაპიონ გ. თოდრია, დიმიტრი აბაშიძე, ტარასი აბაშიძე, ვანო ლომთათიძე, ნიკიფორ მელიმონაძე, გიორგი ანტ. კეკელიძე, აკაკი შარაშიძე, კოწია შანიძე, ვასო ანთიძე, არკადი ხუნდაძე, ერემი რევ. იმნაიშვილი, ივანე არჯ. წილოსანი, ხარიტონ ლაშხი, აკაკი ცინცაძე, ექიმი ალ. ეგორაშვილი, ანდრო გრ. კეკელიძე, იაგორ ნიკ. გიორგაძე, დიმიტრი დათ. სიხარულიძე, დათიკო ივან. პაიჭაძე, დიმიტრი პაიჭაძე, ლასიკო მაქ. კეკელიძე, პლატონ ნიკ. გიორგაძე, მიხაკო ლ. შარაშიძე, ილია დათ. სიხარულიძე, კარპეს ბერიძე.**

სევერიანე კეკელიძე.

ქრონიკა

ამხ. მამედ გოგიბერიძის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მამედ გოგიბერიძე.**

ამხ. კოტლიარევსკის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საკოდიფიკაციო კომისიაში ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა ამხ. ს. ა. კოტლიარევსკი.

ექ. ურუსოვის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სავეტერინარო კომიტეტში დანიშნა ექ. **ურუსოვი.**

საქ. წითელი ჯვრის წარმომადგენელი იაპონიაში

საქ. წით. ჯვრის წარმ. იაპონიაში დაინიშნა პროფ. დრაგომანი.

გურიის ნავთი

საქ. წითელი ჯვრის წარმომადგენლად იაპონიაში დაინიშნა პროფ. დრაგომონი.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში უკანასკნელათ მიღებული ცნობებით, გურიის ნავთიანი ადგილების საგამომკვლევო სამუშაოები ამჟამად შემდეგ მდგომარეობაშია:

ომფარეთში დადგმულ კოშკთან ჭაბურღილის სიღრმე დაყვანილია 134 მეტრამდე (დაახლოებით 60 საჟენი). უკანასკნელი ფენების ამოთხრისას კვლავ აღმოჩნდა ნავთით გაჟღენთილი ახალი ფენები. ჭა-ბურღილში ჩასხმული წყალი დაფარულია ნავთით და სიღრმიდან ხცემს ნავთის სუნი.

შირაქის ნავთი

იტალია-ბელგიის სააქციო საზოგადოებამ დაამთავრა ნავთიანი ადგილების გამოკვლევა და შეუდგა საბურღავ მუშაობას.

თათბირი პროფკავშირების ინფორმაციის შესახებ

გუშინ დამთავრდა ა.-კ. თათბირი პროფკავშირების ინფორმაციის შესახებ.

თათბირმა დაადგინა დაჩქარებული იქნეს ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის იმ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, რომელიც ეხება პასუხისმგებელ მუშაკების გამოყოფას საინფორმაციო მუშაობის საწარმოებლად.

თათბირი პროფსტატისტიკის შესახებ

ა.-კ. თათბირი პროფსტატისტიკის შესახებ, რომელიც გუშინ უნდა შემდგარიყო ა.-კ. პროფსაბჭოში, გადაიდო 28 ივლისისათვის.

რადიო-სადგურები სოფლად

სააქციო საზ-ბა „რადიო-პერედაჩა“-მ, ამიერ-კავკასიის ცაკთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, დაამთავრა 200 რადიო მიმღებ სადგურის მოწყობა ამიერ-კავკასიის სოფლებში.

სადგურები დადგმულია აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აფხაზეთის, ზემო-სვანეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის სოფლებში. თვითეული სადგურით შეუძლია ისარგებლოს 50-150 კაცს.

მოსკოველი სტუდენტები თბილისში

გუშინ ქ. თბილისში სამხედრო გზით ჩამოვიდა მოსკოვის პირველ და მეორე უნივერსიტეტების სტუდენტთა ექსკურსია 38 კაცის შემადგენლობით. ექსკურსია თბილისში დარჩება 3 დღე და შემდეგ გაემგზავრება ბათომში.

თბილისის აღმასკომში

◆ **მისალმება გლეხებისაგან.** გუშინ აღმასკომმა სოფ. გოუბნის (ასურეთ. თემი) გლეხების საოფლო ყრილობისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა.

◆ **საბინაო მშენებლობა.** მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისში ახალი სახლების ასაშენებლათ გადადებულია 1.145.000 მანეთი.

◆ **დახმარება უმუშევრებს.** ივნისის განმავლობაში თბილისში მყოფ უმუშევრებს დაურიგდათ დახმარების სახით 36.136 მანეთი.

◆ **მასწავლებელთა გადამზადება.** ივლისის ბოლო რიცხვებში თბ. აღმასკ. განათლების განყოფილების ინიციატივით იხსნება სოფლის ახალგაზრდობის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

◆ **თავისუფალი ადგილები.** განათლების განყოფილების ცნობით, მომავალი სამოსწავლო წლიდან თბილისში და მის მაზრაში არის 100 თავისუფალი სამასწავლებლო ადგილი.

◆ **ახალი ქუჩა და ახალი ხიდი.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებაში ამუშავებენ გეგმას სადგურის ქუჩის გაგრძელების შესახებ საბურთალომდე. სახკინმრეწვის ფაბრიკის უკან; მდ. მტკვარზე აგებულ იქნება ახალი ხიდი.

◆ **პლეხანოვის პროსპექტის გამშვენიერება.** ამჟამად აღმასკომი აწარმოებს პლეხანოვის პროსპექტის ნათალი ქვის ფილაქანით მოგებას, რაც დასრულდება ორ თვეში.

შრომის კომისარიატში

◆ **ახალი ლაბორატორიები.** შრომის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს შემოდგომაზე შეუდგეს შრომის ჰიგიენისა და უშიშროების ტეხნიკის ლაბორატორიების მოწყობას.

◆ **კულტმუშაობა უმუშევრებში.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა დაამუშაოს უმუშევართა შორის კულტურული საქმიანობისათვის შესაფერი ხარჯთაღრიცხვა.

სხვადასხვა

◆ **ლიტერატურის გაიაფება.** რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამმა თავდაცვის კვირეულის განმავლობაში სამხედრო ხასიათის ლიტერატურაზე დაუკლო ფასებს 20 პროცენტით.

◆ **ნავთსადგურის გამოსაკვლევათ** ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველოს ტყვარჩელის კომისიამ დამატებით გადასცა 600 მანეთი მდ. არძიკვაზე; ზღვის შესართავთან ნავთსადგურის ადგილის გამოკვლევის დასამთავრებლათ.

◆ **ღამის თავშესაფარი.** თბილისში, სართიანის ქუჩაზე აგებენ 2-სართულიან ღამის თავშესაფარს, სადაც მოწყობილი იქნება აბანო, სამკითხველო, სალექციო ოთახი და საექიმო პუნქტი. შენობის აგება ჯდება 165.000 მანეთი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან აივაზიანს; ბორჯომიდან—ჯიშკარიანს, ოზურგეთიდან—ულენტს, წაღვერი—პროფ. მოსეშვილს; ბაქოდან—ხალაპიანცს, მესტიადან—ჯაფარიძეს, ოდესიდან—ელიგულაშვილს; ხონიდან—ფირცხალავას, კრასნოდარიდან—სარქისიანცს, ცემიდან—ნიკოლეიშვილს; წაღვერიდან—მანუსაძეს, ბაქოდან—გოლოსოვს, ოჩამჩირიდან—მარტის ქუჩა; № 4.

◆ **ჯანმრთელობის დარგის მუშაკთა კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე ყოფ. სანტ. განათლების თეატრის დარ-ში დანიშნულია ჯანმრთელობის დარგში მომუშავეთა საერთო კრება.

ჯანსახკომში

◆ **სამკურნალო ქსელის გამოკვლევა.** გუშინ წინ საქ. ჯან. სახ. კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე და მისი თანაშემწე ამხ. გ. მამალაძე გაემგზავრენ ბორჯომში, წაღვერში, ბაკურიანში, აბასთუმანში და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სამკურნალო ქსელის გამოსაკვლევათ. ჯანსახკომის მოვალეობას ასრულებს ამხ. ფრანგულიანი.

მიწათმოქმ. კომისარიატში

◆ **ნამყენების გაიაფება.** მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებით თითო ცალი ამერიკული ვაზის ნამყენი გაიყიდება 12 კაპ.; ხოლო ხილის ხის ნამყენები ცალი—50 კაპ.

◆ **სეტყვასთან ბრძოლა.** თელავის მაზრაში მოახდინეს საზღვარგარეთიდან მიღებული სეტყვასთან საბრძოლველ მაშხალების გამოცდა. გამოცდამ კარგი შედეგი გამოიღო.

◆ **ტყის კვირეული.** ტყის კვირეულის ჩატარებისას თელავის მაზრაში გაწმენდილია 50 დესეტინა; ხოლო დაირგა 1 დესეტინა ახალი ტყე.

—:—

შემთხვევები

მეურმეების გაძარცვა

გუშინ საღამოს სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო ცნობა, რომ კუმისის მიმართულებით თბილისიდან მიმავალ მეურმეებს თავს დაესხა 6 შეიარაღებული ყაჩაღი და ყველანი გაძარცვეს. მეურმეებს წაართვეს ფული და თბილისში ნაყიდი ნივთები.

ბოროტმოქმედების ადგილას გაემგზავრენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

◆ **თავის მოწამვლა.** გუშინ, შუადღისას იოდით თავი მოიწამლა მარიამ სავანელმა (შერემეტიევის ქ., № 41).

თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ქურდობა აღმასკომში.** გუშინ თბილისის აღმასკომის სააღმშენებლო სექციიდან მოიპარეს პორტფელი სხვადასხვა საბუთებით და ტეხნიკური გეგმებით.

◆ **ქურდის დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დავით ყანდარელის ბინის გამქურდავი ალასი ომუგოვი.

◆ **ქურდობა.** გუშინ დილით გაქურდეს მოქ. მიკირ. მანუკოვის ბინა (სოლომონ. ქ., № 28); ეჭვით დაპატიმრებულია გაბრიელ გაბროევი.

სატელეფონო მაგისტრალი

თბილის-ბათომს შუა

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს თბილისს-ბათომს შუა გაჰყავს პირდაპირი სატელეფონო მაგისტრალი. მაგისტრალის გაყვანა დაწყებულია. მაგისტრალი უკვე გაყვანილია თბილისიდან მცხეთამდე და ბათომიდან ქობულეთამდე. ამ ჟამად მუშაობა შეჩერებულია მანამდე, ვიდრე რუსეთიდან მიღებული არ იქნება მავთულის გასაბმელი ბოძები, რომელიც სამმართველოს შეკვეთილი აქვს ყაზანში. ბოძების პირველი პარტიის მიღებისთანავე მუშაობა პირდაპირი მაგისტრალის გასაყვანად თბილისს-ბათომს შუა განახლდება ორი მიმართულებით: ზესტაფონიდან—მცხეთამდე და ზესტაფონიდან—ქობულეთამდე.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 14 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექციას: მ. მიკირტუმაშვილს, მ. მიკირტიჩიანს, ა. ცაფიევს, ა. მანუკიანს, დ. კარახანოვს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ნ. ილურიძეს, ლ. რიკოვს, თ. ავეტისოვს, ე. კვირკველიას, ს. მიქელაძეს, ა. საფაროვს, და ა. კანუზოვს.

შავ მუშათა მე-3 სექციიდან: გ. პანჩავიძეს, ნ. გენკაძეს, გ. როსტომაშვილს, ს. თევარაძეს, ი. ბრიაჟინსკის, შ. ქართველიშვილს, ს. სარქისოვს, ა. ხაჩატუროვს, კ. მანველოვს, ს. ფულარიას, თ. ბეჟანიშვილს, ვ. ცისკარიძეს, ქ. მარტიროსოვს, ა. მიქაელიანცს, ა. გონაშვილს, ა. ჯაბახიძეს, მ. მარკოზოვს, პ. ოგანესიანს, ნ. ნარუზოვს, მ. კულოიანცს, მამედ-ისმაილ-ოღლის, გ. ნუდანოვს, გ. ხაჩატუროვს, კ. აპოიანცს, მ. პოღოსოვს, ე. სარქისიანს, მ. ზაქრიაშვილს, ხ. გინოიანცს, ა. მიკირტჩიანს, კ. ტამიროვს, ვ. კალანდაროვს, უ. ვეიბოვს, ი. გრიგოლიას, ო. მხითარიანცს, ი. იაკობაშვილს, ს. ძნელაძეს, ვ. აგაჯანოვს, გ. დავოიანცს, ა. ზაქაროვს, გ. გოგილაშვილს, მ. თაფლიაშვილს, ვ. ვართანიანს, ი. კორგანოვს, ც. ზადიშვილს, ლ. ფილოიანცს, სალიმ-ოღლის, ა. აირაპეტოვს, გ. კერვალიძეს, ლ. მანუკულოვს, ა. მახარაშვილს, მ. მოსესიანცს, გ. ხაჩატუროვს, თ. აბრამოვს, ა. პოღოსიანს, ო. მანუკოვს, ალი-ოღლის, ა. მანუკიანცს, ა. ნავარსატოვს, ი. შეშაბერიძეს, ვ. ბრანდს, მ. თაზაშვილს, ვ. ქარომიძეს, ტ. კაზარიანცს, ა. ტონიანცს, ნ. მჭედლიშვილს, ფ. გოგიაშვილს, ს. ბარაბაძეს, ს. ტრანოვის, გ. ელიზბაროვს და ა. მინასოვს.

მეშვიდე სექცია გზავნის: გ. გონაძეს, ნ. ცუპბას, შ. კარტიევს, მ. ლაზებნის, ვ. გორდოიაცს, ა. აჯალოვს, ს. ჯიოევს, ე. დაჩრილიას, და ე. მარგარეთელს.

დანარჩენ სექციებიდან გამოძახება არ არის.

ხელოვნება

„ივერიადა“

პირველი შრომის კოლექტივის სიმფონიურ კონცერტების რეპერტუარში შეტანილია ბიქტორ დოლიძეს „ივერიადა“, რომელიც წარმოადგენს ქართული სიმფონიური შემოქმედების დიდ ნაწარმოებს. ამ ნაწარმოებს ავტორი უწოდებს სიმფონიურ პოემას, მაგრამ „ივერიადაში“ მოცემული ქართული ხალხური თემები თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ სერიოზულ სიმფონიურ ნაწარმოებად როგორც მუსიკალური შინაარსის მხრივ, ისე იმით, რომ ის აკმაყოფილებს სიმფონიური ნაწარმოების მოთხოვნილებებს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბიქტორ დოლიძის ამ ნაწარმოებში დაცულია სიმფონიის ფორმები, ნაწარმოები პოლიფონიურია და მას ახასიათებს ევროპიული ჰარმონიზაცია, რომელშიც სჭარბობს აღმოსავლური (ქართული) კოლორიტი. მელოდიები აღებულია წმინდა ხალხური ნიმუშებიდან, მაგრამ ლამაზი და სრულხმოვანი ჰარმონია აძლევს მას შინაარსიან (მელოდიური სურათის მხრივ) ხასიათს. ლამაზია პირველი თემა „მერცხალი“—სიმბოლიური გადახრა, აგრეთვე ლამაზია მეორე მეტად მელოდიური თემა ლირიული იერით და კახურ და გურულ კილოკავებზე აგებული შემდეგი თემები (აქ დაცულია ხასიათი, განსაკუთრებით რიტმი).

როგორც სჩანს, კომპოზიტორს უმუშავნია თავის პირველ დიდ სიმფონიურ ნაწარმოებზე, რომელსაც ეტყობა ორკესტროვკის დამუშავება და ცალკე ინსტრუმენტების მელოდიების გამოყენება. დირიჟორ კარდაშევს კარგად შეუსწავლია ეს სიმფონიური პოემა. მწყობრი ორკესტრი, გამოყოფილია ძირითადი თემები.

მუსიკოსი.

მუსიკა მუშათა კლუბში

სახელმწიფო ბალეტის მსახიობებმა თბილისში შეადგინეს საბალეტო ხელოვნების კოლექტივი, რომლის პირველი წარმოდგენაც გაიმართა საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბში. პირველად დადგმულ იქნა „მიმოდრომა სანათურთან“ სადაც სახ. ოპერის ბალეტმეისტერმა სერგეევმა ლამაზი ქორეოგრაფიული სცენებით დასურათა ეპიზოდი ამერიკის თანამედროვე ქუჩის ცხოვრებიდან. მიმოდრამაში მონაწილეობდენ — **ჭაბუკიანი, სერგეევი, დმიტრიევი, დავიდოვი.** ბალეტის ყველა მონაწილეებმა ცოცხლად დასურათეს ამერიკის ქუჩის თავაშვებული ცხოვრების საშინელებანი. ქორეოგრაფიულ ხერხებში მსახიობნი მისდევენ საბალეტო ხელოვნების ახალ მიმართულებას.

საბალეტო დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღეს საბალეტო დასის საუკეთესო ძალებმა, აღსანიშნავია ესპანური ცეკვა (**ჩიკვაიძე და დმიტრიევი**). მეტად არა დამაკმაყოფილებელია სურათი „ვამპირ“. მას არ ეტყობა სილამაზე, ხელოვნობა (ბეგთაბეგოვი, ბარხუდაროვი), კარგია **ჭყონია და გვარამაძე.**

მორიგ საღამოს გაიმართა საორკესტრო მუსიკოსთა პირველი შრომის კოლექტივის სიმფონიური კონცერტი. საკონცერტო პროგრამაში შეტანილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩაიკოვსკის ნაწარმოებნი, შესრულებულ იქნა მეოთხე სიმფონია, უვერტიურა შექსპირის დრამა „რომეო და ჯულიეტა“-დან. კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვ. ა.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

დღეს კინოებში

„მინიონში“—„შოპენის მე-15 პრელიუდია“.
„არფასტოში“—„ლიუსეტა“.
„დარბაზში“ — „მომაკვდავი ერები“.
„ოდეონში“ — „საღამოს შვიდ საათზე“.
„პალასში“ — „ბავშვი სენდენიდან“.
„აპოლოში“—„შეიხი“.

წყაროს წყალი

თბილისისათვის

როგორც ცნობილია, ავჭალის წყალსადენი დღე-ღამეში იძლევა 1 ნახ. მილ. ვედრო წყალს. ამასთან ეს წყალი ძვირი ჯდება და მალე ის ვერ დააკმაყოფილებს თბილისისა და მისი მიდამოების მოსახლეობას, ამ უკანასკნელის ზრდის გამო. ამიტომ მორიგ საკითხად არის გადაქცეული ახალი წყალის წყაროების გამოძებნა.

ამ მიზნით თბილისში 9 ივნისს მოსკოვიდან ჩამოვიდენ პროფესორი **ილინი** (მოსკ. სახ. უნივ.), **სურინი** და **სამოკატოვი**, რომლებიც მოწვეული არიან თბილისის აღმასკომის მიერ.

პროფ. ილინის სიტყვით, წალკის, ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროები საუკეთესოდ გადასწყვეტენ დღის წესრიგში წამოჭრილ საკითხს. ადგილობრივი სპეციალისტებს გამოკვლევით, უფრო ხელსაყრელია ნატახტარის წყაროების გამოყენება. ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გამორკვევა, თუ რომელ ვარიანტს მიიღებს თბილისის აღმასკომი. ეს საკითხი გადაწყდება დასახელებულ წყაროების გეოლოგიურად და ტეხნიკურად გამოკვლევის შემდეგ.

სეტყვის შედეგები

თელავის მაზრაში

სათემო საექსპორტო კომისიებმა დაამთავრეს იმ ზარალის გამორკვევა, რომელიც მიაყენა ივნისის დამლევს მოსულმა სეტყვამ თელავის მაზრის სამეურნეო რაიონებს. კომისიების დასკვნით მეტად დაზარალებული არის 25 სოფელი, სადაც დაახლოვებით განადგურებულია 1600 დესეტინამდე ვენახი, 600 დესეტინამდე პურის ყანები, ხე-ხილის ბაღები და ბოსტნები. წელს ბოსტნებში სრულიად განადგურებულია წელს ბოსტნებში სრულიად განადგურებული საზამთროები, ნესვები და სხვა ბოსტნეული.

სიღნაღის მაზრაში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ რუისპირის რაიონზე (სიღნაღის მაზრა) გადაიარა გრიგალმა და სეტყვამ, რომელმაც ძლიერ დააზიანა (50 პროც.) ვენახები. დაზიანდა ბევრი ხეხილი და დაცვივდა დიდძალი ვაშლი დასხვა ხილი. (ადს).

სასამართლო

დ. გორდაძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში უნდა მომხდარიყო ოთხი მოწმის: ამილახვარის, კალანდარაშვილის, ცინცაძის და ორაგველიძის ხელმეორედ დაკითხვა გორდაძის საქმის გამო. რადგან აღნიშნულ მოწმეებიდან ორი არ გამოცხადდა, სასამართლოს სხდომა გადაიდო.

სასამართლოს შემდგომი სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

დედობილის მოკვლა

გასულ წლის 21 დეკემბერს მჭადისჯვრის (დუშეთის მაზრა) თემაღმასკომში გამოცხადდა სოფელ შუახევის მცხოვრები, ლადო ხუბულური და განაცხადა, რომ მან ხანჯლით მოჰკლა თავისი დედობილი ტასო ხოსიშვილი.

საქმის შინაარსი ასეთია: სოფელ შუახევში ცხოვრობდა ერთი მარტოხელა ქალი ტასო ხოსიშვილი. მარტო ცხოვრება გაუჭირდა და გადასწყვიტა შვილად აეყვანა ვინმე. არჩევანი შეაჩერა იმავე სოფლის მცხოვრებ ლადო ხუბულურზე. ხუბულურიც სიამოვნებით დათანხმდა ტასო ხოსიშვილის წინადადებაზე, გაიტანა თავისი წილი ოჯახიდან და მივიდა თავის დედობილის ოჯახში. რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ისინ ერთმანეთთან როგორც დედა-შვილი. მუშაობდენ და ირჩენდენ თავს.

გასულ შემოდგომაზე, ლადო ხუბულურმა ქირინახულის შენახვის და ოჯახურ სამუშაოს გათავების შემდეგ, თავისი დედობილი წამოიყვანა თბილისში, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი ზამთრის განმავლობაში დარჩენილიყო. მოთავსდენ ლადოს ძმის ბინაზე. გავიდა ორი კვირა და ლადოს დედობილი დაიკარგა უგზო უკვლოდ. შეწუხდა ლადო. დაუწყო ძებნა.

გავიდა დრო და ლადოს უთხრეს, რომ მისი დედობილი ცოლად გაჰყვა ვინმე ბადილა ავლოხაშვილს.

იწყინა ეს ამბავი ლადო ხუბულურმა. მაშინვე გაემგზავრა თავის სოფ. თავის სახლს რომ მიუახლოვდა, დაინახა, რომ კარები შიგნიდან იყო ჩაკეტილი. დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოეხმა. ხუბულურმა ძალით შეამტვრია კარები და დაინახა, რომ ოთახში იწვა ბადილა ავლახაშვილი.

ხუბულურმა იმ წამსვე ამოიღო ხანჯალი და გაეშურა ავლახაშვილისაკენ. უკანასკნელმა სცადა გაქცევა, მაგრამ ხუბულურმა მოასწრო ხანჯლის გაქნევა და ყური ჩამოათალა. დაჭრილი ავლახიშვილი გაიქცა. ხუბულური მიუბრუნდა თავის დედობილს, რამოდენიმეჯერ ჩასცა ხანჯალი და მოჰკლა.

ლადო ხუბულურს მიესაჯა რვა წლის თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ხუბულური არის მიწის მუშა, რომ მან გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული და სასჯელი შეუცვალა სამი წლის ციხით.

შურისძიება

ეს ამბავი მოხდა სოფელ შანკევანში (დუშეთის მაზრა). **ზურაბ მუზაშვილმა** გასული წლის შემოდგომაზე თავის ქალი ნუცა დანიშნა ვინმე ალექსი ქეთოშვილზე და მალე ქორწილი უნდა გადაეხადა.

ერთ დღეს ზურაბ მუზაშვილმა ურმით შეშა წაიღო თბილისში გასასყიდათ. ზურაბის მეზობელმა ელიოზ ბოლოთაშვილმა გაიგო ზურაბის გამგზავრება და გადასწყვიტა მისი ქალის მოტაცება თავის ამხანაგის გიორგი არგანიშვილისათვის. იმ დღესვე წავიდა მასთან, უამბო, რომ ხელსაყრელი დრო ეხლა არის, რადგან ზურაბი სახლში არ არისო, შეუჩნდა და დაითანხმა. ღამით თავს დაესხენ მუზაშვილის ოჯახს და ძალით გაიტაცეს ნუცა.

ზურაბი დაბრუნდა. გაიგო ეს ამბავი და მაშინვე გაეშურა თავის ქალის საძებრად. აღმოაჩინა ქალი. დუშეთის მილიციამ დააპატიმრა არგანიშვილი, ხოლო ქალი დაუბრუნა მამას. ხელის შემწყობი ელიოზ ბოლოთაშვილი გაიქცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბოლოთაშვილი გამოჩნდა თავის სოფელში. სოფლელებმა ის დააპატიმრეს. ხელშეკრული ბოლოთაშვილი ხელში ჩაუცეს ზურაბ მუზაშვილს. როცა სოფლის საბჭოში მიჰყავდათ ბოლოთაშვილი, ზურაბ და საბა მუზაშვილები მიეპარენ მას უკანიდან და თავში დაუშინეს კეტები. ისინი იძახოდენ: „ჩავქოლოთ ეს სოფლის მავნე და ამაწიოკებელიო“. მათ მაგალითს მიბაძეს ზურაბის ნათესავებმა, დაუშინეს ქვები ბოლოთაშვილს და იქვე მოჰკლეს.

საბრალმდებლო სკამზე იჯდა 20 კაცი.

ზურაბ და საბა მუზაშვილებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით. დანარჩენებს მიეცათ გაფრთხილება.

გაფლანგვა

ბერნარდ ფერშტეინი მსახურობდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველოში სამგზავრო ნაწილის გამგის თანამდებობაზე. მან იქ მუშაობის დროს გაფლანგა სახაზინო ფული 3.161 მანეთის რაოდენობით.

საქმე გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში. ფერშტეინს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 ნახ. წლით. მან უნდა დააკმაყოფილოს სამოქალაქო ძიება 3.161 მანეთის რაოდენობით.

დახვრეტა ყაჩაღებს

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით დახვრეტა მიუსაჯა სამ ყაჩაღს: 1) **სანდრო ირემაშვილს, 2) შაქრო ლაზარაშვილს, და გიგა გოძიაშვილს.**

საქმე გაირჩა სიღნაღში. მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი აღძრეს უზენაეს სასამართლოს წინაშე, საქმე უკვე მიიღო უზენაესმა სასამართლომ და გაირჩევა 16 ივლისს.

ბიბლიოგრაფია

„ლენინი ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ“

თარგმანი ი. იოსელიანისა

სახელგამი 1927 წ. გვ. — 212, ფასი—1—30 კ.

სარეცენზიო წიგნი მდიდარ მასალას იძლევა ტროცკიზმის საფუძვლების გამოსარკვევად. განსაკუთრებით საინტერესოა მისი გაცნობა დღეს, როდესაც ტროცკიზმის საფუძველზე გაერთიანებული ოპოზიცია გააფთრებით ილაშქრებს კომინტერნისა და საკ. კომ. პარ. ხელმძღვანელობის წინააღმდეგ; ამ ბრძოლაში თანამედროვე ტროცკიზმი ჩვენ გვევლინება თავის ძველი ისტორიული სახით. ამ „ისტორიული“ ტროცკიზმის წინააღმდეგ არის მიმართული ლენინის ნაწერები, რომელიც გამოცემულია ამჟამად ცალკე წიგნად. ის გარემოება, რომ ტროცკი დღემდის მტკიცედ სდგას თავის ძველ პოზიციაზე, რომ ის არსებითად იმეორებს თავის ძველ, რევოლიუციის მიერ დაგმობილ, შეხედულებებს, ნათლად სჩანს მისი წერილიდან ოლმინსკისადმი—„გულწრფელად ვაცხადებ, —ამბობს ტროცკი,—მე სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებთან უთანხმოებაში ყველაფერში ვცდებოდი“ და შემდეგ „რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების ჩემ მიერ დაფასება უთუოდ სწორად მიმაჩნია“, კიდევ მეტი, ტროცკი ფიქრობს, რომ მისი შეფასება რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებისა „სავსებით ეთანხმება პარტიის პოზიციას 1917 წლიდან“. სჩანს ტროცკის განცხადება, რომ ის, თუმც ბრძოლით, მაგრამ მაინც სავსებით და მთლიანად მივიდა ბოლშევიზმთან, არ ყოფილა სავსებით სწორი. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ტროცკის თვალსაზრისით მისი მისვლა ბოლშევიზმთან იყო ერთგვარი ურთიერთ—დათმობის, კომპრომისის შედეგი:

თავის წერილებში ლენინი დაუნდობლად ამხელს ტროცკის პოზიციას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ყრილობებზე, მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას რეაქციის ხანაში, მის მუდმივ მერყეობას ბოლშევიკებისა და მენშევიკებს შორის წარმოებულ ბრძოლაში. ამ წერილებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ტროცკის თავიდანვე ეჭირა გაურკვეველი პოზიცია, ყოველთვის გამოდიოდა შემრიგებელის და „გამაერთიანებელის“ როლში. „არც ბოლშევიკები, არც მენშევიკები, არამედ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია“—ასეთი იყო ტროცკის ფორმულა. ამ გაურკვეველმა პოზიციამ გამოიწვია ლენინის გესლიანი შენიშვნა „საბრალო ფრაზის გმირის“ შესახებ, რომელიც ფაქტიურად მხარს უჭერს ლიკვიდატორებსა და ოპორტუნისტებს.

ლენინი აკრიტიკებს ტროცკისა და პარვუსის პერმანენტული რევოლიუციის თეორიას, რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა ანალიზს, რომელიც ტროცკის, თვალსაზრისით თითქოს „სავსებით ეთანხმება პარტიის პოზიციას 1917 წლიდან“! ტროცკის მსჯელობას ლენინი უწოდებს „მარქსისტულად შეფარდებულ ლიბერალურ შეხედულებებს“, „ლიბერალურ ზღაპრების ბავშვურ გულუბრყვილობით განმეორებას“.

ასევე უარყოფითად ახასიათებს ლენინი ტროცკის პოზიციას იმპერიალისტური ომის პერიოდში. ტროცკის პოზიციას ომის საკითხში ლენინი უწოდებს „პასიურ რადიკალიზმს“, „რევოლიუციონური მარქსიზმის ეკლექტიზმით შეცვლას, **პრაქტიკულად ყველაფერში** (კურსივი ავტორისაა) სოციალ-შოვინისტებთან შეთანხმებას“.

წიგნში მოყვანილია აგრეთვე დისკუსია პროფკავშირების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921-22 წლებში. ლენინი გადაჭრით უარყოფს ტროცკის მოთხოვნილებას, რომ პროფკავშირები სასტიკად „გაიწმინდოს“ და მასში გადატანილი იქნეს სამხედრო დისციპლინა. ტროცკის წინადადების მიღება პროფკავშირების გადახალისების შესახებ, ისეთ პირობებში, როდესაც პროფკავშირები მრავალი ძაფებით დაკავშირებულია გლეხობასთან, ლენინის თვალსაზრისით ნიშნავს გლეხობის როლისა და მნიშვნელობის დაუფასებლობას, პროფკავშირების გადაქცევას ჩვეულებრივ სახელმწიფოებრივ ორგანოებად, მისთვის დამახასიათებელი ადმინისტრატიული და დისციპლინარული ფუნქციებით, პროფკავშირების სამხედრო დისციპლინით განსაზღვრა, მის მრავალმილიონიან წევრთა ინიციატივის და თვითმოქმედების ჩაკვლა. ლენინის თვალსაზრისით სრულიად მოსპობს პროფკავშირების მნიშვნელობას, როგორც პროლეტარული დიქტატურის აუცილებელი საფუძვლისა.

აღსანიშნავია, რომ წიგნს გამოცემის მხრივ მრავალი ნაკლი აქვს. ლენინის წერილებს საერთოდ წინ დართული აქვს რედაქციის განმარტებანი, რუსულ ორიგინალში ეს განმარტებანი დაბეჭდილია უფრო წვრილი შრიფტით და გარკვევით არის გამოყოფილი საკუთრივ ლენინის წერილებისაგან, ბრჭყალებით, ან ვარსკვლავებით. ქართულ თარგმანში კი განმარტებანი აწყობილია, ისეთივე შრიფტით, როგორც თვით ლენინის წერილები, და ამავე დროს სრულიად არ არის მათგან გამოყოფილი, რაც ბადებს სრულ გაუგებრობას და ტექსტების ერთი მეორეში არევას. (მაგ., გვ. 140 თავი „კაუტკიანელობა“ და ასე ყველგან). მეორე, ორიგინალში კურსივით დაბეჭდილი წინადადებანი, თარგმანში უმეტეს შემთხვევაში ჩვეულებრივი შრიფტით არის აწყობილი, ყოველივე ეს უნდა მიეწეროს გამომცემლობის დაუდევრობას.

თარგმანი საერთოდ დამაკმაყოფილებელია, თუმც ზოგან გვხდება გაუმართავი, მძიმე და უხეშათ გამოთქმული წინადადებანი—მაგ.— „პროლეტარიატისა და გლეხობის კოალიციას გამიხნული (!) აქვს...“ ,,სადავეში უფრო მაგრად მოგვექიმა“ და სხვა.

მკითხველი.

ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 6—7.

1927 წელი გვ. 77, ფასი 40 კაპ.

„სოფლის კომუნისტის“ უკანასკნელი ნომერი ცხადყოფს, რომ ჟურნალი უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მართლაც გადაიქცა სერიოზულ სახელმძღვანელო ორგანოთ სოფლის კომუნისტისათვის, მორიგი ნომერი მდიდარია მასალით და, რაც ღსანიშნავია, მასალა კარგად არის შერჩეული. იგი პასუხს აძლევს თითქმის ყველა დღის წესრიგში დასმულ აქტუალურ საკითხებს. ჟურნალი იხსნება ფ. მახარაძის წერილით: „ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირი“, ავტორი ხაზს უსვამს ომის საფრთხეს, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობიდან, და ამასთან დაკავშირებით გზადაგზა აშკარავებს მე-2 ინტერნაციონალის პროვოკაციულ და მოღალატურ მოქმედებას.

რედაქცია კარგად მოქცეულა, რომ გადმოუბეჭდია ჟურნალში „მარჩულინის წერილი და სტალინის პასუხი“ ჩინეთის საკითხის შესახებ. სტალინი განსაზღვრავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის სამოქმედო ხაზს. რევოლიუციის არსებულ საფეხურზე, და სავსებით ააშკარავებს ოპოზიციის ძირეულ შეცდომას ჩინეთის საკითხში. მოჰყავს რა არგუმენტათ ლენინის სიტყვა წარმოთქმული კომინტერნის მეორე კონგრესზე.

ა. ჭყონია თავის წერილში „საქ. კომ. პარ. ცაკას და ცენ. საკან. კომ. გაერთ. პლენუმის შედეგები“ ეხება პლენუმზე განხილულ საკითხებს.

საერთაშორისო საკითხების შესახებ ჟურნალში მოთავსებულია ორი წერილი: დ. გვაზავა—„მომავალი ომი“ და ალ. პაპავა—„საერთაშორისო ფრონტზე“. თავის საკმაოდ ვრცელ წერილში დ. გვაზავა იხილავს საერთაშორისო გართულების გამომწვევ მიზეზებს და მომავალი ომის ხასიათს. ჟურნალი ითვალისწინებს ენერგიულ სამხედრო სამზადისის საჭიროებას, რომელიც აუცილებლობით წამოიჭრა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ამხ. ვ. იმედაძე—თავის წერილს უძღვნის სოფლად სამხედრო პროპაგანდის საკითხს. აღსანიშნავია შუშანიას წერილი „რადიო სოფლად“. სამწუხაროა, რომ ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ უბრალო სტატისტიკური ცნობებით რადიო-სადგურების შესახებ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე წერილები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე: ვ. გოგილაძე—„კოლექტიური მეურნეობა ჩვენში“, და ი. ბუაჩიძე—„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა“.

ადგილობრივი ცხოვრება საერთოთ კარგად არის დაყენებული, ეტყობა ჟურნალს მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული ადგილობრივ ორგანიზაციებთან. გაუგებარია მხოლოდ ა. ბზეკალავას წერილის—„ქვეყნის თავდაცვა და პარტიული ორგანოები“—ადგილობრივ ცხოვრებაში მოთავსება. ჟურნალის გამოცემა ხვდება „თავდაცვის კვირეულს“, მით უფრო საჭირო იყო ამ წერილის უფრო თვალსაჩინო ადგილზე მოთავსება. ბიბლიოგრაფიული განყოფილება საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

ა. მ—ი.

ბრძოლა უმუშევრობასთან

200 კაცის გაგზავნა სამუშაოზე

თბილისის აღმასკომისა და შრომის ბირჟის ინიციატივით დაწყებულია საზოგადო სამუშაოები ვაკეზე, ნაძალადევში და ვერაზე ახალ ქუჩებისა და გზების გასაყვანად. სამივე პუნქტზე ჯერ-ჯერობით მუშაობს მხოლოდ 50 უმუშევარი.

გუშინ გაგზავნილ იქნა მოთხოვნილება კიდევ 150 უმუშევარის გამოსაყვანად. ყველა სამუშაოებისათვის გადადებულია 47.000 მანეთი. აქედან აღმასკომმა გადასდო 32.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა გაცემულია უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან.

მუშაობა დაიწყო 1 ივლისიდან და გასტანს სამი თვე.

სასპორტო სტადიონი

შრომის ბირჟას უმუშევრობასთან ბრძოლის სექცია პროფკავშირთა საბჭოს წინადადებით შეუდგა დიდი სასპორტო სტადიონის მოწყობას ვაკეზე, ყოფ სასულიერო სემინარიის ახლო.

სტადიონის სამუშაოთა შესასრულებლად ყოველდღიურად საჭირო იქნება 100 მუშა. სულ სტადიონის გაკეთება დაჯდება 36.000 მანეთი. მუშაობა დასრულდება პირველ ოქტომბრისათვის.

სტადიონი მოწყობილი იქნება ძველი რომაული სასპორტო მოედნების მიხედვით და დაიტევს რამოდენიმე ასეულ ათას მაყურებელს.

სტადიონის სამუშაოებზე მოწვეული არიან უმუშევრები. მუშაობა დაიწყება 13 ივლისიდან.

ქურდობის სიმულიანტები

დღემდე სისხ. სამ. მილიციას აწუხებდა ერთი „მოდის“ სიმულიანტი ქურდები, რომელთაგან სისხ. სამ. მილიციაში შემოდიოდა მრავალი განცხადებები. ეს ქურდები სწერდენ, რომ მათ ჯიბიდან ამოაცალეს ან პორტფელიდან მოსტაცეს რამოდენიმე ათასი მანეთი სახაზინო ფული. შემოჰქონდათ რა ამგვარი განცხადებები, ეს გულუბრყვილო ხალხი (მეტ შემთხვევაში მოლარეები) ფიქრობდა, რომ მათ შერჩებოდა მათ მიერვე ჩადენილი გაფლანგვა.

სწორედ მას შემდეგ, რაც ამგვარ განცხადებების მიხედვითვე სისხ. სამ. მილიციის მიერ დაპატიმრებულ იქნა მთელი რიგი ამგვარი სახაზინო ფულების გამფლანგველ-სიმულიანტებისა, უკვე 4-5 თვეზე მეტი გავიდა და სისხ. სამ. მილიციაში არც ერთი განცხადება ამგვარად ფულების „დაკარგვისა“ არ შემოსულა.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ახალი მოდის სიმულიანტ-ქურდებმა. აი მაგალითად „მიასტორგის“ მოლარე აცხადებს, რომ დაკეტილი მეტად საიდუმლო და ცეცხლისაგან უვნები სალარო მეორე დილით, როცა ის, მოლარე გამოცხადდა სამსახურში, დახვდა ღია, საიდანაც მოპარულია 1.500 მანეთი. სისხ. სამ. მილიცია კი სათანადო გამოკვლევის შემდეგ დარწმუნდა იმაში, რომ ამ შემთხვევაში ქურდობას ადგილი არ ჰქონია. სახაზინო ფულების მოყვარულ მოლარეს სურვილი ჰქონია გაფლანგულ თანხის ქურდობის-სიმულიაციით შერჩენა.

მეორე უფრო დამახასიათებელი შემთხვევა გამოიხატება შემდეგში:—შეშის მთავარი საწყობი აცხადებს, რომ მისი სალარო გაქურდულია, საიდანაც წაღებულია 3.000 მანეთამდე ფული. მოლარე სამსახურიდან წასვლისას დარაჯ მილიციელს აბარებს ვითომ დაკეტილ სალაროს და როცა დილით სამსახურში ცხადდება, აღმოჩნდება, რომ სალარო გაღებულია (ალბათ „სული წმინდის“ მოვლენით). მაგრამ სისხ. სამ. მილიცია ამგვარად გადმოსროლილ ანკესს არ წამოეგო. აღნიშნულ სალაროს გამქურდველები, თვით მოლარეები და მათი მოკავშირეებით დაპატიმრებულია და პასუხისგებაში არიან მიცემული.

საჭიროა ამგვარ მოლარეებმა სხვადასხვაგვარ ხრიკებს თავი დაანებონ და თვალის ჩინივით გაუფრთხილდნენ სახაზინო ფულს.

სისხ. სამ. მილიც. უფროსი **თოფურია.**

ფირფიცარის ექსპორტი

პროფ. **როდერი** შეუდგა საქართველოში წიფლის ფირფიცარის დასამზადებელი დიდი ქარხნის დასაარსებლათ სხვა და სხვა საკითხების შესწავლას და ქარხნის პროექტის დამუშავებას.

წიფლის ფირფიცარი, პროფ. **როდერის** განცხადებით, ითვლება იშვიათ მასალათ. ასეთი ფირფიცარის დასამზადებლათ სულ ყველა სახელმწიფოებში მუშაობს მხოლოდ რამდენიმე ქარხანა.

წიფლის ფირფიცარს ხმარობენ ძვირფასი ავეჯეულობისათვის, მუსიკალური იარაღებისათვის და ძვირფასი დგამებისათვის. ჩვეულებრივი წიფელა არ ვარგა ფირფიცარის დასამზადებლათ, საამისოდ საჭიროა წიფლის განსაკუთრებული ჯიშები, როგორიც ამერიკაში, პოლონეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში მოიპოვება.

საქართველოში, როდერის განცხადებით ბევრია ასეთი ჯიშის წიფელა, განსაკუთრებით გომის რაიონში ყოფ. საფალავანდოს ტყეებში. ამ ტყის წიფელა გამძლეობით ბევრათ სჯობია, მაგალითად პოლონურ წიფელას.

საკითხის სავსებით შესწავლის შემდეგ როდერის პროექტს განიხილავს სატყეო მრეწველობის ტრესტი და ს. მ. უ. საბჭო.

ნარევი

დათვი—ძაღლი

ირკუტსკიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს ძაღლი, რომელსაც აქ რამოდენიმე ხნის შემდეგ გაუჩნდა ლეკვი, რომელიც ძლიერ წააგავს დათვის ბელს. ალიკ (დათვ-ძაღლის სახელია) ძაღლის თვისებებითაც არის დაჯილდოვებული, მაგრამ არც დათვის თვისებები აკლია.

მას თეთრი, ხუჭუჭი ბალანი აქვს, უყვარს თაფლი, ღორის ძვალს, პურს არ სჭამს, ხორცი უყვარს, უყვარს აგრეთვე ხეზე ასვლა, ყეფს გაურკვევლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბურტღუნობს. ძაღლებთან ჩხუბში მოხდენილად ხმაროობს ტორებს. ჭიდაობს დათვივით.

კისერი აქვს მოკლე, ვერ იბრუნებს, უკანა ფეხები მოკლე, წვივები მაღალი აქვს.

პატრონი (ალექსანდრე გურსკი—ალექსეევის ქ. № 12) ძალიან უყვარს.

სურათზე—შერეული ძაღლი—დათვი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მატარებლის სარეკორდო სისწრაფე

ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისში დამყარებულ იქნა მატარებლის მოძრაობის სისწრაფის რეკორდი. ლონდონ-ბირკენხედის რკინისგზის ხაზზე გაუშვეს სპეციალური სწრაფი მატარებელი, რომელიც იწონიდა 250 ტონას (15.000 ფუთს). მატარებელმა საათში გაიარა 135 კილომეტრი.

„კეთილ ინებეთ, გადაუხვიეთ გზიდან“

ასეთი გადაჭარბებით თავაზიანი შეძახილია. მიმართავს გაუფრთხილებელ მგზავრებს ახალი მანიშნებელი მოწყობილობა, რომელიც დადგმულია ზოგიერთ ავტომობილზე ამერიკაში და წარმოადგენს ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატისა და ფონოგრაფის შეერთებას. ავტომობილის „საყვირის“ ასეთი გრგვინვისებური გაფრთხილება შორ მანძილზე ისმის.

ტანკის გაუმჯობესება

ამერიკულ ტანკებზე დადგმულია მეტად მარტივი და ამავე დროს მოხერხებული აპარატი რომელიც საშუალებას აძლევს ტანკის უფროსს დაინახოს ყველაფერი, რაც ტანკის გარშემო ხდება და ამავე დროს სავსებით იცავს მას მტრის ტყვიებისგან.

ტანკის უფროსს თავს ახურავს ორი კონცენტრიული ცილინდრი, დამზადებული ფურცლოვან ფოლადიდან. ცილინდრებს აქვთ ვიწრო ვერტიკალური ხვრელი. ცილინდრები სწრაფად ბრუნავენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ ბრუნვის გამო ტანკის უფროსი ხედავს ოდნავ დაჩრდილულ, მაგრამ სავსებით გარკვეულ არეს. ცილინდრების ხვრელები იმდენად ვიწროა და მათი ბრუნვა იმდენად სწრაფად ხდება, რომ ტყვიების მოხვედრის საფრთხე სავსებით აცილებულია.

ხე და ქაღალდი, რომელიც არ იწვება

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ნორვეგიაში გამოიგონეს განსაკუთრებული ნივთიერება, რომლითაც ჟღენთავენ ქაღალდს ან ხეს და მათ ცეცხლი აღარ უჩნდება. ახლად გამოგონებული ნივთიერებით გაჟღენთის დროს ქაღალდისა და ხის არც ფერი და არც სხვა თვისებები არ იცვლება. ცდისათვის ააგეს სახლი ხის მასალიდან. შიგნივ კედლები გააკეთეს კარტონიდან. მთელი შენობა და შიგნივ მოთავსებული ნივთები გაჟღენთეს ახლად აღმოჩენილი ნივთიერებით. სცადეს ცეცხლის წაკიდება სახლისათვის შიგნიდან და გარედან, მაგრამ უშედეგოთ.

ელვის ღირებულება

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა **ვილსონმა** გამოიანგარიშა რაოდენობა ელექტრონის იმ ენერგიის, რომელსაც შეიცავს ელვა. თითეული ელვის დროს იხარჯება 30.000 კილოუატ-საათის ენერგია. ეს ენერგია საკმაოა საშუალო ზომის ბინის გასანათებლად ხუთი წლის განმავლობაში. ღირს ეს ენერგია 5.000 მანეთი. ყოველ წუთში დედამიწაზე ადგილი აქვს 2000-დი ელვას, რომელთა დროს იხარჯება 2 ბილიონი ცხენის ძალის ენერგია. ეს სიმძლავრე 1.000-ჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიოში არსებულ ყველა ელექტრო-სადგურების ძალოვნობა.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—10 ნ. 1388

პირველად თბილისში ახალი მხატვრული სურათი
,,ლიუსეტა“
ორიგინალური სიუჟეტი. იშვიათი ანსამბლი

გრანდიოზიული სურათი
,,მომაკვდავი ერები“
2 სერია, 12 ნაწილი, ელენა მაკოვსკაიას მონაწილეობით. ორივე სერია ერთად

სეზონის ერთი საუკეთესო სურათთაგანი
,,სამთა სიყვარული“
დადგმა რეჟ. ა. რომის, სცენარი შკლოვსკის. მთავარ როლებში: ქმარი—ბატალოვი, ცოლი—ა. სემიონოვა, მესამე—ფოგელი.
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა.

ანონსი: მალე საუკეთესო მხატვრული ისტორიული სურათი ,,ტარას ტრიასილო“

„სახელმწიფო ბანკის თანამშრომელთა“
მუშათ საბინაო-საამშენებლო კოოპერ. ამხანაგობა
აცხადებს, რომ 26 ივლისს დღის 3 საათზე სახელმწიფო ბანკის შენობაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სამი საცხოვრებელი სახლის აგებაზე ელიავასა და ჰონქაძის ქუჩების კუთხეში მდებარე მიწის ნაკვეთზე, ღირებულებით 400.000 მან-დე.
საჭირო ცნობებისა, კონდიციებისა და მუშაობის შესახებ ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება
ყოველდღიურათ
სახელმწიფო ბანკის შენობაში (აღმასკომის ქუჩ. № 5)
10 საათიდან 1 საათამდე.
2—1 ნ. 1449 გამგეობა.

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—22

დაიკარგა ქუჩაში ჩემი შვილების—[illegible]თინა და ირმირანის დაბადების საბუთები. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ვალერი მიხ. ძე ბილანიშვილი. (უფ.)

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 26 102

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

„საიმპორტო სასოფ.-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების თვითღირებულების (ფრანკო — რონოდა — ბათომი) [illegible] შესახებ“.

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახკომისარიატის ა.-წ. ივნისის 13-ის დადგენილებისა, № 6, ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს სია ხარჯების იმ მუხლებისა, რომელიც განსაზღვრავენ საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების თვითღირებულებას ფრანკო რონოდა ბათომში:

1) სას.-სამ. მანქანებისა და იარაღების საფაქტურო ღირებულება.
2. ხარჯების გადახდის უზრუნველსაყოფად (გარანტიისათვის) და პროცენტი კაპიტალზე საქონლის შესყიდვის მომენტიდან ბათომის საბაჟოში მის მიღებამდე—5 პროც.
3) სათამასუქო გამოსაღები—0.25 პროც.
4. სავაჭრო წარმომადგენლობის პროცენტები—2.215 პროც.
5. ჩაწყობა-ჩალაგების ნამდვილი ღირებულება.
6. დაზღვევა „სიფ“-ამდე—0.645 პროც.
7. ფრახტის ღირებულება გაგზავნის სადგურის რონოდამდე ფაქტიური ხარჯების მიხედვით.
8. დატვირთვა-განტვირთვის ხარჯები ნამდვილი ღირებულების მიხედვით.
9. ბაჟი და საბაჟო გამოსაღები.

§ 2.

განსაზღვრულ იქნეს საზღვრითი დანარიცხი ამა დადგენილების პირველ §-ით გათვალისწინებულ თვითღირებულებაზე მანქანების შემომზიდველი ორგანიზაციებს საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 2 პროც-ის რაოდენობით, რაც საფაქტურო ღირებულებას დაერიცხება.

§ 3.

სასოფ.-სამ. მანქანების გაცემის დროს მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის ამა დადგენილების პირველ და მეორე §§-ით დაწესებულ საბითუმო საგასაცემო ფასებზე უნდა დაერიცხოს 0,5 პროც. სტანდარტიზაციისთვის.

§ 4.

საიმპორტო სას.-სამ. მანქანებისა და იარაღების საცალო ფასები განსაზღვრულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ამა დადგენილების პირველ და მეორე §§-ით განსაზღვრულ საბითუმო საგასაცემო ფასებს უნდა დაემატოს 0.5 პროც. სტანდარტიზაციისთვის, 12 პროც. მთელი საქონლის გამტარი ქსელის სავაჭრო ხარჯების დასაფარავად და ნამდვილი ხარჯები ტარიფისა და შარაგზით გადაზიდვის ღირებულებისა.

§ 5.

დაწესებულ იქნეს შემდეგი განაწილება 12 პროცენტიანი დანარიცხისა საქონლის გამტარი ქსელის ცალკე ერთეულობს შორის:

1) მანქანებით მოვაჭრე ცენტრალურ ორგანიზაციისთვის („ზაკსელმაში“)—2.5 პროც.
2) კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის რესპუბლიკანური ორგანიზაციებისთვის—1.5 პროც.
3) ძირითადი ქსელისთვის—8 პროც.

შენიშვნა 1: კოოპერ. და სახ. ვაჭრობის რესპუბლიკანური ორგანიზ. გათვალისწინებულ. დანარიცხი 1.5 პროც. რაოდენობით დაწესებულია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც რესპუბლიკანური კოოპერატიული კავშირები თავიანთი ძირითადი ქსელის მომარაგებას საკომისიო საფუძველზე აწარმოებენ საკუთარი თანხებისა და სესხად მიღებულ კაპიტალზე ხარჯების გაწევის გარეშე. [illegible] შემთხვევაში კი, როდესაც ასეთი მომარაგება სწარმოებს სახელმწიფო ან საბანკო თანხების მონაწილეობით, რომელშიც კოოპერატივები პროცენტებს იხდიან, მაგრამ საკუთარ საწყობში მანქანების გადაზიდვის გარეშე დანარიცხი არ უნდა აღემატებოდეს 2.5 პროც-ს, ხოლო თუ მომარაგება სწარმოებს საკუთარი თანხებისა და საწყობის მონაწილეობით, მაშინ დანარიცხი არ უნდა აღემატებოდეს 4 პროც-ს, რისთვისაც სათანადოთ შემცირებული უნდა იქნეს ძირითადი ქსელისათვის დაწესებული დანარიცხი.

შენიშვნა 2: მომხმარებლებისათვის ცალობით გაცემის დროს საერთო დანარიცხი სასტანდარტიზაციო პროცენტის დარიცხვის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 12 პროც. ამა დადგენილების §§-ით 4 და 3-ით განსაზღვრულ ფასების მიმართ.

§ 6.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქ. ს. ს. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიებს ევალება ფხიზლათ ადევნოს თვალ-ყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 7.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 8.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ვრცელდება აგრეთვე იმ ხელშეკრულებებზე, რომელიც უკვე დადებული იყო ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე მანქანების შემომზიდველ და მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციებსა და საქონლის გამტარი ქსელის ცალკე ერთეულებს შორის, რომლის მიხედვითაც ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტისთვის პროდუქცია არ ყოფილა ჩაბარებული.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

შ.-ვ. მომწესრიგებელ განყოფილების უფროსი **ბერელაშვილი.**

1927 წ. 20 ივნისი.

იურიდიული დახმარება

შრომის უნარის დაკარგვის (ავადმყოფობის და სხვ.) დროს გასაცემ დახმარების მაქსიმუმის შესახებ

პასუხი

დაზღვეულს, შრომის უნარმოკლებულს, დამზღვევი სალარო გასცემს დახმარებას მაქსიმალურად მხოლოდ 180 მანეთის რაოდენობით. წამოწყება-დაწესებულება არ არის სრულებით ვალდებული გასცეს თავის ავადმყოფ თანამშრომელს მის ხელფასსა და აღნიშნულ დახმარებას შორის არსებული განსხვავება იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფის ხელფასი აღნიშნულ დახმარებას აღემატება.

პარტკალენდარი

— დღეს 14 ივლისს, საღამოს ექვს საათზე ს. კ. პ. (ბ) კომიტეტის ქალთა განყოფილების ბინაზე შესდგება თათბირი.

— **ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის** თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომში, დღეს ხუთშაბათს 14 ივლისს, საღამოს ექვს საათზე ყოფილ სარაიონო კლუბში იწვევს რაიკომის გაფართოებულ პლენუმს.

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ილიკო და რძალი ჯულიეტა მეგრელაძეები, დაი ეკატერინე და სიძე სიმონ ქარცივაძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი
ალექსანდრე (პეტია) პავლეს ძე
მეგრელაძე
დაკრძალვა მოხდება 15 ივლისს, ვერის ახალ სასაფლაოზე, ნაშუადღევის 5 საათზე. ცხედრის გამოსვენება იმავე სასაფლაოს ეკლესიიდან.
(ე)

ზესტაფონის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით გლოვობენ მათთვის დაუვიწყარ ქუთაისის საოლქო ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიო-ტელეგრაფის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის
იოსებ (ჭიჭიკო) იუსტინეს-ძე
მარგველაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას.
(დე3)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ალვასი გაბრიელის ასული, შვილად წოდებული ალასი (იგივე გოგუცა), ძმისშვილი სოფიო ბერიძის ასული ციხაძე, ცოლისძმა ივანე დუმბაძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
პლატონ სოლომონის-ძე ბერიძე
რომლის დაკრძალვა მოხდა ქ. ოზურგეთში ოთხშაბათს, 13 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1453

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან. $^1/_2$ წლით . . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 ივლისს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1450

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი
ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს 1927 წ. დღის 2 საათზე № 8 მარინსკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარიამ და კარაპეტ სიმონოვების მოძრავ ქონებას: სახლის ავეჯეულობას შეფასებულს 305 მანეთად, ავეტიკ ნალბანდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 14 ივნისს 1927 წ. თარიღით. № 2444 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3319

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.